საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მონოლოგი

და

პირისპირ

თბილისი - 2009

უაკ 821(082)

კრებული საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი "«ებლიტფოზე»" განხორციელებული პროექტების _ «მონოლოგები» და «პირისპირ» _ საფუძველზე მომზადდა.

განკუთვნილია მათთვის, ვისაც ძალიან უყვარს ლიტერატურა და აინტერესებს ლიტერატურული სივრცის ძველი და ახალი ამბები.

ნინო თარხნიშვილი - ამელი

ლიმნიანი მონოლოგი

დღეს დავიღალე. ახლა რომ მკითხო, რამ დაგღალაო, მართლა ვერ გეტყვი. უბრალოდ, დავიღალე და მორჩა. ახლა ღამეა, ჩემი კომპიუტერის საათი ზუსტად 23 საათსა და 58 წუთს აჩვენებს. მარიტას უკვე სძინავს, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ გვერდზე არ მიდგას და კლავიატურაზე თითებს არ აკაკუნებს. გიო რაღაც ფილმს უყურებს და ცდილობს, როგორმე მაიძულოს, რომ ავდგე და ჩაი დავუსხა, მაგრამ არაფერი გამოსდის. აი ნახე, თუ არ ადგეს ორ წუთში და თვითონ თუ არ დაისხას, სულ ასე იცის... უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში უკვე იმდენი ინტერვიუ ჩავწერე და დავწერე, რომ ვეღარ ვითვლი. ჰოდა, უკვე დაახლოებით ათი დღეა, ვწუწუნებ, რომ ამ ინტერვიუებმა შეიწირეს მუზები და დარჩნენ ჩემი მოთხრობის პერსონაჟები უსახლკაროდ _ მოთხრობის გარეშე, დაფანტულები და როგორც მკვლელს ესიზმრება ხოლმე საკუთარი მსხვერპლი ღამღამობით, ასე მესიზმრებიან მეც ჩემი პერსონაჟები, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ჯერჯერობით ვერაფერი მოვუხერხე. არადა, ყოველ დილით საკუთარ თავს პირობას ვაძლევ, რომ საღამოთი კიდევ ერთ წინადადებას მაინც მივუმატებ ჩემს დაუსრულებელ მოთხრობას, მაგრამ სულ ტყუილად.

ერთი შიში დამჩემდა ამ ბოლო დროს და, მგონი, ეს ჩემი თავმოუბმელობაც ამის ბრალი უნდა იყოს: სულ მეშინია, რომ ჩემი ახალი მოთხრობა წინაზე ცუდი გამომივა, ჰოდა, იქნებ ამიტომაც ვწელავ დროს? არ ვიცი, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, გასამართლებელი საბუთი კი მაქვს მყარი: არ მცალია და მორჩა. მაგრამ ერთი ის მითხარი, ეს მოუცლელობის ამბავი ჩემს პერსონაჟებს როგორ ავუხსნა? მაგათ რაში აინტერესებთ, მე დღეში ორ ინტერვიუს ვწერ თუ ოცს? მაგათთვის მთავარია საკუთარი ადგილები მივუჩინო მოთხრობაში და ბედის მწერალივით ყველას თავისი განაჩენი გამოვუტანო...

აი, ამ მონოლოგს რომ დავამთავრებ, მერე მოთხრობის წერას გავაგრძელებ: პირობას ვდებ, თუმცა, დედას არ ვიფიცები, რა იცი, რა ხდება, ტყუილზე დაფიცების ბავშვობიდანვე სასტიკად მეშინია.

ჰო, ამ დღეებში წიგნის მაღაზიები უნდა დავიარო. მოკლედ, ისე აღმოჩნდა, რომ საკუთარი წიგნი წამლადაც კი აღარ მომეპოვება. უკანასკნელი ეგზემპლარიც გავაჩუქე და დავრჩი ხელცარიელი. როგორც გავიგე, ჩემი «ქალთარაფერა» აღარ იყიდება, მაგრამ ისე როგორ იქნება, რომ ამ დიდ ქალაქში ერთი წიგნის მაღაზიაში მაინც ვერ მივაგნო ერთ «ქალთარაფერას»...

ზუსტად სამი წლის წინ კი, მაშინ, როცა წერა დავიწყე, მართლა ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ჩემს მინიატურებს წიგნად ავკინძავდი და მარტო წიგნად აკინძვასაც არ დავჯერდებოდი და «საბა 2006»-ის ნომინანტიც გავხდებოდი. ეს იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ოჯახის წევრებმა არც კი დამიჯერეს. არადა, ყველაფერი მართლა ძალიან უცებ მოხდა. მახსოვს, როგორ ვუკითხავდი ჩემს ქმარს პირველ მინიატურებს და ის კი დამცინოდა ხოლმე.

მერე კი აუდიტორია ნელ-ნელა გაიზარდა და საჯარო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ჩემი პირველი ლიტერატურული საღამოც მოეწყო. წინა საღამოს იმდენი ვინერვიულე, ხალხი არ მოვა-მეთქი, რომ ხმა ჩამიწყდა. არადა, მეორე

დღეს საჯარო ბიბლიოთეკის მესამე კორპუსთან შეკრებილი ხალხი რომ დავინახე, მივხვდი, თურმე ხალხს ვაინტერესებ.

ჰოდა, ის შიში, ზევით რომ ვლაპარაკობდი, ზუსტად ამის ბრალია: მინდა, რომ მკითხველი ჩემს მოთხრობებში ყოველთვის ახალს, განსხვავებულს და საინტერესოს კითხულობდეს. ჰო, სულ დამავიწყდა მეთქვა, ზუსტად ერთი წელია, რაც მინიატურებს აღარ, თუ ვეღარ ვწერ. ახლა, რომ ვკითხულობ ჩემს ძველ ნაწერებს, მართლა გულით მიკვირს, როგორ ვახერხებდი მინიატურების წერას, ანუ როგორ ვატევდი სულ რამდენიმე წინადადებაში იმ სათქმელს, რისთვისაც ხანდახან სქელტანიანი წიგნებიც კი შეიძლება დაიწეროს. მოკლედ, დასრულდა მინიატურების ეტაპი. ახლა მოთხრობებს ვებრძვი, უფრო სწორად, ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობებს ვებრძვი და როდემდე გაგრძელდება ეს ბრძოლა, მარტო ღმერთმა იცის.

და, რაც ყველაზე მთავარია, ახლა გიო ჩემით ამაყობს კიდეც. იმ დღეს სრულიად შემთხვევით წამოსცდა: იცი, ერთი ჩემი ნაცნობი ჟურნალისტი მოვიდა ჩემთან და მითხრა, შენი ცოლი ძალიან მაგრად წერსო.

აი ასე «მაღიარეს» ოჯახში...

აი, ხომ ვამბობდი, გიო ჩაის დასასხმელად გადის სამზარეულოში...

_ აუ, გეხვეწები, მეც დამისხი რა, ანდა მოიცადე, მე მოგიმზადებ გემრიელ ჩაის _ ლიმნიანს და «მალინიანს»...

<u>მარსიანი</u>

უსათაურო მონოლოგი

განგებამ მრავალნაირი ნიჭი დამაბერტყა თავს _ ლექსებსაც ვწერ, პროზასაც, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებსაც; რელიგიურ-ფილოსოფიური ესეის ჟანრშიც კი მომისინჯავს კალამი; გარდა ამისა, ვხატავ კიდეც და მუსიკასაც ვთხზავ (მართალია, პროფესიონალურად არა, მაგრამ პროფესიონალთა დიდ უმრავლესობაზე უკეთესად); ოღონდ, სამწუხაროდ, მე ამ მუსიკის ნოტებზე გადატანა არ შემიძლია _ არასოდეს მივლია მუსიკალურ სასწავლებელში, არც რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა მისწავლია; მე მხოლოდ ხმით შესრულება შემიძლია ამ კომპოზიციებისა, რომელთაგან ბევრი საგუნდო გახლავთ და ამიტომ ცალ ხმაში შესრულებული, ისიც ჩემი გაუვარჯიშებელი ხმით, ისეთი ვერ გამოდის, როგორიც უნდა იყოს; მუსიკა ლექსი ხომ არაა, მხოლოდ ქაღალდი და კალამი კმაროდეს მის შესაქმნელად: მე შემსრულებელთა კოლექტივი მჭირდება _ ძირითადად ვოკალისტები, თუმცა ინსტრუმენტული ფონიც (ვთქვათ, სინთეზატორზე დამუშავებული) არ მაწყენდა; ყველაფერ ამას კი ფული სჭირდება, რომელიც მე არა მაქვს. ჩვენში ხომ მეცენატობის ევროპული გაგება არ არსებობს, ჩვენებურ მეცენატებს საზოგადოებისათვის უცნობი ხელოვანის წარმოჩენა არ აინტერესებთ; ისინი ამჯობინებენ, რომელიმე ტაძრის მშენებლობა დააფინანსონ, ან, ვთქვათ, სახელგანთქმულ თეატრალურ კოლექტივს დაეხმარონ, რაც, ცხადია, კარგი საქმე გახლავთ, მაგრამ ამის გაკეთება ნებისმიერ ფულიან კაცს შეუძლია, თუ მოისურვებს; საზოგადოებისათვის უცნობი გენიოსი ხელოვანის აღმოჩენას კი განსაკუთრებული ალღო, უტყუარი გემოვნება, დიდი სულიერი კულტურა სჭირდება: სწორედ ამით განსხვავდება ჭეშმარიტი მეცენატი უბრალოდ დიდი ფულის მქონე პიროვნებისაგან, რომელსაც მეცენატობითაც მოესურვა თავის გამოჩენა.

მაგრამ ევროპული დონის მეცენატებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენში პრაქტიკულად შეუძლებელია იმგვარი სპონსორის თუ მენეჯერის პოვნაც, რომელსაც დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამი ურჩევნია: მე დარწმუნებული ვარ, ვინც დღეს ჩემზე ფულის დახარჯვას გაბედავს, ხვალ-ზეგ ათმაგად (იქნებ ასმაგადაც) აუნაზღაურდება; მარტო მუსიკას არა, მხატვრობასაც ვგულისხმობ: მიუხედავად ჩემი «არაპროფესიონალიზმისა», მე შემიძლია იმგვარი ნაწარმოებების შექმნა (მაქვს კიდეც შექმნილი), რომელთაც ერთდროულად ექნებათ მხატვრული და კომერციული ღირებულება; ოღონდ პროდუქტიული მუშაობისათვის სახელოსნო და სახატავი მასალა მჭირდება, ეს კი ცოტა როდი ღირს. ჩემთვის აუცილებელი ღვთიან-მადლიანი სპონსორი, მენეჯერი თუ მეცენატი ჯერჯერობით არსად ჩანს, ვარ ეს ციდან ჩამოვარდნილი მარსიანი კოლეგა-მეგობართა გარემოცვაში, რომლებიც სულ იმას ჩამჩიჩინებენ, რომ «ილუზიებს არ უნდა ავყვე» და «რეალისტურად» ვუყურო მოვლენებს, ანუ უნდა დავიჯერო, რომ მე არაფერი გამომივა და ამ ჩემი მხატვრობითა თუ მუსიკით წარმატებას (მით უმეტეს, კომერციულს) ვერ მივაღწევ.... შეძახებამ ხე გაახმოო, ნათქვამია; მეც ამგვარი შეძახებებით მახმობენ ჩემი კეთილისმყოფელნი, რაც თავი მახსოვს, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დააგვირგვინეს ეს საქმე, ჯერ კიდევ მაქვს რაღაც იმედები შემორჩენილი....

დასაწყისშივე მოგახსენეთ, მწერალი რომ ვარ, შემდეგ კი მხატვრობასა და მუსიკაზე საუბარს შევყევი; მწერლობაში ხომ მაინც პროფესიონალი ვარ, მაგრამ არც ამ სფეროშია ჩემი გზა ია-ვარდებით მოფენილი: წლების წინ, როცა მეტი რაოდენობის ჟურნალ-გაზეთები ემსახურებოდა ლიტერატურას, საკმაოდ ხშირად ვიბეჭდებოდი, «კავკასიურმა სახლმა» ორი წიგნიც გამომიცა; ახლა იმ ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებიდან ბევრი აღარ დარჩა და რაც დარჩა, ისიც იმდენად ვიწროდ კლანური გახდა, რომ მათ ფურცლებზე ჩემი ნაწერების დაბეჭდვა პრაქტიკულად გამორიცხულია (მე ხომ არც ერთ კლანს არ ვეკუთვნი); წლების წინათ რაღაც კონკურსებშიც მივიღე მონაწილეობა («პენმარათონი», «საბა»...), თუმცა, უშედეგოდ: სულ სხვებს უღიმის ფორტუნა (რომელსაც უსამართლო და არაკომპეტენტური ჟიურის სახე მიუღია) და ამ მარსიდან ჩამოვარდნილ მარსიანს ზედაც არ უყურებს....

რეკლამა, პიარი, იმიჯი... _ გამუდმებით ისმის ეს საშინელი სიტყვები ჩვენს ირგვლივ და ამ სიტყვებში ჩადებულ შინაარსზეა დამოკიდებული დღევანდელი ხელოვანის ბედი: ვიღაცეები, თუ მოისურვებენ, უნიჭოს გენიოსად გამოაცხადებენ და გენიოსს _ უნიჭოდ, და ამას საკმაოდ ხშირადაც სჩადიან...

მე კი მაინც ჯიუტად ველოდები უფლის მიერ ჩემთვის გაჩენილ სპონსორს, მენეჯერსა თუ მეცენატს...

თუ მართლა არსებობ, მალე გამოჩნდი, შე ღვთიან-მადლიანო!

23.03.2008

<u>მაია კილაძე</u>

ზევსის დაქალის მონოლოგი

დავდივარ ქუჩაში და ვეძებ რითმას. არა, პოეტი არ ვარ, არც მოყვარული მელექსე. უბრალოდ ლექსის თარგმანს შევეჭიდე. რაღა უბრალოდ, ამაზე ბრალიანი და რთული

საქმე არც არსებობს ალბათ. ნებისმიერ ლიტერატურას მხოლოდ მკითხველი ასულდგმულებს. როგორც ენა, რომელზეც არ მეტყველებენ, კვდება, ასევე კვდება ყოველი დაწერილი (ახლა უკვე აკრეფილი) ფრაზა. აკრეფა ვახსენე და აქვე ვიტყვი, დღეს ყველას, ვინც წერს, საშუალება აქვს (რა თქმა უნდა, თუკი კომპიუტერთან მიესვლება), რომ საკუთარი ნააზრევი სამზეოზე გამოიტანოს, ნუ კომპიუტერის ეკრანზე მაინც. ეს კარგია, პირველ რიგში იმიტომ, რომ შეგიძლია დარჩე ანონიმური, რაც იმის გარანტია, რომ იქნები უფრო გულახდილი, თამამი და ასევე გულახდილ და თამამ კომენტარებს მოისმენ იმაზე, რასაც წერ. ანუ უცხო თვალით შეხედავ საკუთარ შემოქმედებას. გალაკტიონი, რომელიც სხვებზე წინ თვითონ აფასებდა საკუთარ თავს და გენიოსს უწოდებდა, დაინტერესებული იყო იმით, რას ფიქრობდნენ მასზე. სამწუხაროდ, აღარ მახსოვს, წერილის ადრესატი, მაგრამ გალაკტიონი თხოვს, რომ თუკი სკოლის მოსწავლეების თემებში რამე ჩანაწერს შეხვდე ჩემთან დაკავშირებით, გადამიწერე და გამომიგზავნე, საინტერესო იქნება ერთი ჩვეულებრივთაგანის აზრის მოსმენაცო. და როდესაც გალაკტიონი არ ხარ, რა თქმა უნდა, უფრო მეტად გაინტერესებს, რას ამბობენ შენი მკითხველები. ისინი აცოცხლებენ შენს შემოქმედებას, გზრდიან, მაგრამ რაღაც მომენტში, გმართავენ კიდეც. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე. მივხვდი, რომ დავიჭირე, რა მოსწონთ ჩემს ნაწერებში და შემდეგი ჩანახატი იყო ამ მოწონებულის გამძაფრება. სხვანაირად რომ ვთქვა, მოვიპარე ჩემი მკითხველის გრძნობა, დავურთე ჩემი ხელმოწერა და ისევ ჩემს მკითხველს დავუბრუნე. მანაც ტაში დამიკრა. შევშფოთდი, როდესაც ეს რაღაც კომერციული ელემენტი აღმოვაჩინე (აქ არაა ფინანსურ დაინტერესებაზე ლაპარაკი, კეთილგანწყობას ვყიდულობდი, მაგრამ ვყიდდი ჩემი ნაწერების სულს. არ ვწერდი იმას, რასაც მე ვგრძნობდი, არამედ იმას, რაც მოსწონდათ). ეს რომ აღმოვაჩინე, კინაღამ ხელი ავიღე წერაზე. კიდევ კარგი გონს მალე მოვეგე. საშინელებაა, როდესაც ავტორი არაა გულწრფელი, ისევ დავიწყე საკუთარი გრძნობების ჩანიშვნა. მაგრამ თუ ზედმეტად სუბიექტურია ავტორი და მხოლოდ თვითონ ესმის ის, რასაც წერს, მაშინ გამოდის, რომ მხოლოდ ფურცელზე გადმოაქვს ის, რაც მასში დაგროვდა, გეგონება წყალს ატანს ცუდ სიზმარს. მაგრამ როდესაც თარგმნი, ამას იმიტომ ვერ გააკეთებ, რომ უბრალოდ ვეღარ იტევ ემოციებს. თარგმანი ყველა სხვა მხატვრულ ლიტერატურაზე მეტადაა გათვლილი მკითხველზე. ის, რაც შენ წაიკითხე და მოგეწონა, გინდა, რომ სხვასაც გაუზიარო. აი, აქ რთულდება ყველაფერი. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ საქმე პოეზიას ეხება. ლირიკას მაქსიმალური სუბიექტიზმი ახასიათებს. ვიღაცამ განიცადა, ვერ დაიტია და ლექსად აქცია. შენ წაიკითხე, იგრძენი და ახლა გინდა სხვამაც იგრძნოს. ამ სხვამ არ იცის ის ენა, რა ენაზეც ორიგინალია დაწერილი. შენ საკუთარ თავზე იღებ გადაუმშობლიურენო შენი მიწონებული პოეზია. ჯიუტობს ფაქტი, რომ რაც არ უნდა კარგად იცოდე ენები, ორი ენა ერთზე არ დავა, ანუ აბსოლუტურად იდენტურ ლექსს ვერ მიიღებ შენს ენაზე, რაც არ უნდა კარგად თარგმნო. ან შინაარსი უნდა უმსხვერპლო ამ საქმეს, ან რითმი და მელოდია. ლექსი კი ამ ორის ერთობლიობაა და ცალსახად ვერ იტყვი, რომელი იწვევს შენში ემოციას. აბა წარმოიდგინე გალაკტიონის «ლურჯა ცხენები», ვინ უნდა თარგმნოს, რომ შეინარჩუნოს სახეებიც და მუსიკალობაც. ეს მთარგმნელზე იმდენად არაა დამოკიდებული, რამდენადაც გარე ფაქტორებზე. ორი სხვადასხვა ენა მაინც ორი სხვადასხვა ენაა, განსხვავებული იდიომებით, განსხვავებული მელოდიებით. მთარგმნელი დილემის წინაშეა. აი, მაგალითად იზა ორჯონიკიძემ თარგმნა ბერძნულიდან და ქართველი მკითხველი თუ ბერძნულ პოეზიას იცნობს, მისი დამსახურებაა. მაგრამ იცნობს კი? ქალბატონი იზა კარგი პოეტია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მისი თარგმანები ბერძნული ლექსის მოტივებზე დაწერილი

აბსოლუტურად დამოუკიდებელი ლექსია. გამომცემლობა «ლოგოსმა» ახლახან გამოსცა «ახალი ბერძნული პოეზიის ანთოლოგია», სადაც საკმაოდ კარგი თარგმანებია შესული და პრიორიტეტი ამ თარგმანებისთვის შინაარსთან მაქსიმალური სიახლოვეა. კარგია, ქართველი მკითხველი იცნობდეს ბერძნულ პოეზიას. ბევრი ლიტერატურული მოვლენა და პროცესი რაც ბერძნულმა პოეზიამ განვლო, არ უნდა იყოს უინტერესო ქართველი ავტორ-მკითხველებისთვის. მაგალითად ის, რაც დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში ხდება, ძალიან მაგონებს ბერძნულ სურეალიზმს. ეს ხდება მეოცე საუკუნის 40-იანი წლების საბერძნეთში. ამ მიმართულებას სამი დიდი წარმომადგენელი ჰყავს _ ენგონოპულოსი, ემბირიკოსი, ელიტისი. როგორც მიიჩნევენ, სურეალიზმის გამომწვევი მიზეზი ის გახდა, რომ იმ პერიოდში ძირითადად პროზა დომინირებდა და ბერძენ პოეტთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, ახალი ხერხების გამოყენებით მკითხველის ყურადღება პოეზიისკენ მიეპყრო. ეს, შეიძლება ითქვას, არის შიშველი პოეზია, რომელიც იყენებს ვერლიბრს, პოეზიას პროზის ფორმით წერს და სავსეა აბსოლუტურად სიზმრისეული სახეებით, არარეალური შედარებებით, ჭარბია ეროტიკაც, ცხოველურ ინსტიქტებამდე დასული გრძნობების პოეტური აღწერა, რასაც, დღევანდელ ლიტერატურულ საიტებზე გამოქვეყნებულ მასალებს თუ გადავხედავთ, ქართულ თანამედროვე პოეზიაშიც აღმოვაჩენთ. აქვე მინდა აღვნიშნო განსხვავებაც, ქართულ თანამედროვე მწერლობაში ამ ხერხს თითოეული ავტორი იყენებს საკუთარი ორიგინალურობისთვის ხაზის გასასმელად. ის, რასაც დღეს ვწერთ და ვკითხულობთ, არის პროტესტი, სურვილი გამორჩეულობისა. ამიტომ ყველა ცდილობს რაც შეიძლება შორს გაექცეს ყველაფერს დადგენილს და უკვე არსებულს, ლექსი დაწეროს, მაგრამ არ ჰქონდეს ლექსის ფორმა, თამამად ილაპარაკოს გენიტალიებზე, არ მოერიდოს უცენზურო სიტყვებს, რაც შეიძლება წარმოუდგენელი სახეები გამოიგონოს... სამწუხაროდ, ყველა ერთად გავექეცით ყველაფერ ძველს, რასაც უკვე გაცვეთილს ვუწოდებთ და ყველამ ერთ წერტილში მოვიყარეთ თავი. 180 გრადუსით შევტრიალდით, ოღონდ შევტრიალდით ყველა ერთად და ჩვენდაუნებურად, ვწერთ აბსოლუტურად ერთნაირად, ვერც კი ვხვდებით, იმდენად ვემგვანებით ერთმანეთს და რა საოცარი ტემპებით ვახუნებთ იმას, რაც ცოტა ხნის წინ ახალი და განუმეორებელი იყო. ვბაძავთ უკვე საკუთარ თავსაც და საკუთარ მოგონილ მხატვრულ სახეებს ვაბანალურებთ. ამ საერთო ხმაში ვკარგავთ იმათაც, ვინც მართლა ღირსია, რომ წლების შემდეგ ანთოლოგიებში საპატიო ადგილი დაიკავოს. დღევანდელი ლიტერატურული მოვლენების უცხო თვალით შეფასება არ შეგვიძლია, რადგან ჩვენ თავად ვქმნით ამ რეალობას. ეს ყველაფერი ჯერ მაჭარია და როდესაც დაღვინდება, უკვე სხვა თაობა შეაფასებს. ერთი ნამდვილად ვიცი, ის თაობა, რომელიც სხვა თვალით შეხედავს დღევანდელ ლიტერატურას, აუცილებლად დაინახავს, რომ საოცრად ბევრს ვსაუბრობთ სიკვდილზე, სუიციდზე. საოცრად სევდიანი და სასოწარკვეთილი თაობის შთაბეჭდილებას დავტოვებთ. და ალბათ ვართ კიდეც. ისევ ბერძნებს მივუბრუნდები, ზუსტად ამ განწყობის ლექსებს წერენ პირველ-მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში მოღვაწე ბერძენი პოეტები. კარიოტაკისი, რომელიც ახალი მიმართულების ფუძემდებლად ითვლება, შეიძლება ითქვას, სიკვდილის მომღერალია. სუიციდი მისი პოეზიის მთავარი თემაა. ლექსიც აქვს სათაურით «იდეალური თვითმკვლელობები». აღსანიშნავია, რომ კარიოტაკისი არა მხოლოდ წერდა თვითმკვლელობაზე, არა მხოლოდ ფიქრობდა, საბოლოოდ სიცოცხლე სწორედ თვითმკვლელობით დაასრულა. 32 წლის პოეტმა ჯერ თავის დახრჩობა გადაწყვიტა, ათი საათი ეწვალა ტალღებს. «ღმერთებისა და ადამიანებისგან მოძულებულმა» პოეტმა იგრძნო, რომ მას სიკვდილიც ხელს კრავდა. სიკვდილი, რომლის «კართანაც დიდი ხანია ვარდებით ხელში იდგა».

იგი ნაპირზე გამოვიდა, ერთ-ერთ კაფეში შევიდა, დაწერა თავისი უკანასკნელი სიტყვები: «ვინც ცურვა იცის, დახრჩობას ნუ ეცდება» და იარაღით მოიკლა თავი. მისთვის ხომ «ცხოვრება ღამე იყო, რომელიც არ თენდება», ალბათ ეს ღამე დაასრულა, მაგრამ ვერც მიხვდა, რომ ამ ერთი გასროლით ორ სიცოცხლეს დაუსვა წერტილი. თან გაიყოლა ქალი, ისიც პოეტი, ისიც ბერძენი, რომელიც ოდესღაც კარიოტაკისის სულს შეეხო. «შენ მაშინ ნება დამრთე შენი ჭაბუკური სულის ცეცხლოვანი ჭრილობა მენახა» _ წერდა მარია პოლიდური. მარიასა და კარიოტაკისს ხანმოკლე სამიჯნურო ურთიერთობა ჰქონდათ. ხანმოკლე იყო ფიზიკურად, თორემ განშორების შემდეგაც არ განელებიათ ურთიერთსიყვარული. როდესაც მარიამ კოსტას კარიოტაკისის თვითმკვლელობის შესახებ შეიტყო, ამის შემდეგ მხოლოდ სიკვდილსღა ელოდა. იჯდა სიცოცხლის ზღურბლზე და წერდა ლექსებს, ვიდრე მოვიდოდა სიკვდილი, ეტლი, რომელიც მას მიჯნურთან წაიყვანდა. «თვალებს არ ვხუჭავ, _ წერდა მარია, ვიცი, აღარ აქვს ოცნებას სატყუარა». მისი ოცნების საგანი კოსტასი იყო. «დავიბადე, რადგან შენ შემიყვარე», მიუძღვნა მარიამ კარიოტაკისს. მაგრამ საოცარია, ისინი ერთად დიდხანს არ ყოფილან. ეს ალბათ მარიას ბრალი იყო. მას საოცარი გაორება სჭირდა. მის დღიურებში ერთ გვერდზე საოცარი სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს აბსოლუტურად საპირისპირო შეგრძნებები. მარია ჯერ საოცარი სიმძაფრით აღწერს, თუ როგორ უნდა, რომ ის უყვარდეთ, მაგრამ იქვე აღიარებს, რომ ვერ იტანს, როდესაც მას მამაკაცები შეყვარებული თვალებით უყურებენ. ეგებ მისთვის სულიერი ურთიერთობა იყო მთავარი, იქნებ უბრალოდ ოცნების საგანი ესაჭიროებოდა და რადგანაც კარიოტაკისის სული გაიცნო, შეუყვარდა თავდავიწყებით, ოღონდ შეუყვარდა მისი სული და როდესაც კოსტასი სხვა სამყაროში გადასახლდა, მარიამაც იჩქარა მის ნაბიჯებს ადევნებოდა. ღიმილით ჩასჭიდა ხელი პნევმონიას, რომელსაც ის კოსტასთან უნდა მიეყვანა. და აპრილის ერთ ლამაზ დღეს, მარია ამ სამყაროდან წავიდა. საოცარი პოეტურობაა ალბათ იმაშიც, რომ მარია ამქვეყნადაც სწორედ აპრილში მოვიდა. აპრილიდან აპრილამდე უყვარდა, ოცნებობდა, ელოდა, წერდა, ვიდრე ოცდამეცხრე აპრილს უკვდავი არ გახდა. აკი ამბობდა კარიოტაკისი, როგორ შეიძლება მოკვდეს ქალი, რომელიც უყვართო? კარიოტაკისს სული ეხუთებოდა პროზაულ რეალობაში, ამიტომაც არჩია პოეტური სიკვდილი და მარიასთან ერთად შექმნა უკვდავი ისტორია ლამაზი და ლირიული სიყვარულისა. ამ პოეტებზე უამრავი წიგნი არსებობს. დაბეჭდილია მათი დღიურები პარალელურად, მათი ლექსები თითქმის დიალოგებად და სხვ. სამწუხაროდ მხოლოდ ბერძნულ ენაზე. იმისთვის რომ ამ პოეტებს გაეცნონ, მთელი საქართველო ხომ არ ისწავლის ბერძნულს? არადა მენდეთ, ვისაც ტერენტი უყვარს, მას კარიოტაკისიც შეუყვარდება. ისე მინდა, რომ წაგაკითხოთ მათი ლექსები... დავდივარ ქუჩაში და ვეძებ რითმას. არა, პოეტი არ ვარ, არც მოყვარული მელექსე. უბრალოდ ლექსის თარგმანს შევეჭიდე, აპრილიდან აპრილამდე რომ წერდა გამიჯნურებული პოეტესა.

«როდესაც მშვიდი საღამო ჩამოდგება,
იგი მე მომიხმობს უსიტყვოდ, ტკბილად,
რათა წყვდიადში გავყვე ნება-ნება.
ნაბიჯი მისი უტყვი და მტკიცე იქნება,
ჩემი რწმენა კი _ მხურვალე, რომ უჩუმრად
ჩემი ნაბიჯები შენ ერთს აგედევნება...».

ნინო ნადირაძე

სხეულიდან გასულის მონოლოგი

რომ დავიბადე ეს თავისთავად ცხადია. რომელიმე წელსა და რიცხვშიც რომ მოხდებოდა ეს, ესეც ბუნებრივია.

მთავარია, რომ ეს ზამთარში მოხდა. ვიყავი მტირალა და ამსი გამო მამა ხშირად დაატარებდა ბალიშს ოთახიდან ოთახში. ვთამაშობდი მარტო, გადმოვიღებდი სათამაშოებს და ისევ უკან დავაწყობდი მოწესრიგებულად, თუმცა ეს წესრიგი იქვე დარჩა, ბავშვობაში და ახლა ზოგადად მოუწესრიგებელ ადამიანად ვითვლები.

ჩემი სწავლა-განათლებისათვის ძალა ნამდვილად არ დაუშურებიათ ჩემს მშობლებს. ჩემი პროფესია ისევ და ისევ წიგნს უკავშირდება.

საერთოდ, მთელი ჩემი სიცოცხლის ხაზით მთლიანად ვუკავშირდები წიგნს. თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, ღრმა ბავშვობიდან წიგნზე შეყვარებული ნამდვილად არ ვყოფილვარ. ჩვენი ურთიერთობა მერე აეწყო და სამუდამოდ დავუკავშირდით მე და წიგნი ერთმანეთს.

დავდიოდი საბავშვო ბაღში, არასდროს ვიძინებდი და არც სხვებს ვაძინებდი, რაც საბნის ახდასა და ბავშვების გაღვიძებაში გამოიხატებოდა. მერე სკოლა იყო და უფრო სერიოზული ცოდნის ნიაღვარი, მეგობრები, ოხუნჯობა და ცხოვრების ნეიტრალური პერიოდი. ჩვენი სამეგობრო წრე გვქონდა. ვცდილობდით რაღაც შეგვექმნა, ხან გაზეთი, ხან ჟურნალი გამოვიგონეთ, ხან მკითხველთა კლუბი, სადაც ვისხედით წრეში, ვკითხულობდით წიგნებს და მერე ვსაუბრობდით ამაზე, გვქონდა ათასგვარი პოლემიკა. კედლებზე ვწერდით საღებავებით ლექსებიდან საყვარელ ფრაზებს; ამის გამო კედლებს თეთრად გვიღებავდნენ, ჩვენ კი ისევ ჯიუტად ვწერდით. ერთხელ თვითონვე გვაიძულეს შეგვეღება, მაგრამ რამდენიმე დღეში ისევ წარწერებიანი და ლექსებიანი კედლები დახვდათ, საბოლოოდ კი ისევ თვითონვე შეგვეშვნენ და ჩვენს ამ გამარჯვებით უბედნიერესები ვიყავით. იყო სპექტაკლებიც, უამრავი შემოქმედებითი ღონისძიება. ეს ყველაფერი ზუსტად თერთმეტ წელიწადში დამთავრდა. მერე თსუ. უნივერსიტეტი მუდამ მენატრება, ყველაზე მშვენიერი ხანა, თუ ბანალური არ ვიქნები. უნივერსიტეტზე იმდენს ვილაპარაკებ, მთელი ღამე დამჭირდება, ამიტომ აქვე შევჩერდები.

ახლა რომ მკითხოთ რას საქმიანობო, იმას კი არ გეტყვით, ვმუშაობთქო, ვწერ და ვწერ და კიდევ ერთხელ ვწერ-მეთქი, გიპასუხებთ. ყოველთვის ვწერდი. მართალია «აღუს» შემდეგ კალამი არ მომითხოვია, მაგრამ რასაც ადამიანის გაცნობიერებული, შეგნებული ნაწილი ჰქვია ცხოვრებისა, მართლა სულ ვწერ და ვწერ. ერთხელაც ვიგრძენი, რომ ვეღარ ვეტეოდი, ვეღარ ვატევდი რაღაცეებს ჩემში, ჩემებურად აღვიქვამდი მზე, სიცოცხლეს, დროის ჩემებური შეგრძნება მქონდა, ჩემეული ფერი იყო ყველა და ყველაფერი. სული შიგნიდან მიბაგუნებდა და მანგრევდა, სხეულიდან ამოძრომა მინდოდა, ჰოდა, დავჯექი და დავწერე, თუმცა, არ ვიცი როგორ გამომივიდა და გამომდის.

ვწერ ყველაფერზე, ყოველთვის, ყველგან. სენივით შემეყარა, ბატონებივით, მაგრამ ამას არც შელოცვა შველის და არც არაფერი. შემოვიდა სხეულში და ლექსებად დამაყარა.

მიყვარს ღმერთი, სიცოცხლე და მეგობრები. ვცდილობ რამენაირად მოვიპოვო ადამიანების სიყვარული და გავცე უფრო მეტი, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, უკან

ცოტა თუ მიბრუნდება და ეს მიმოცვლის და ჩანაცვლების ფორმულა დაფაზე ერთ მიტოვებულ, ამოუხსნელ განტოლებას ჰგავს...

თუმცა, სადღაც წამიკითხვას _ რასაც გასცემ, იმას თუ უკან ელოდები, წასულია შენი საქმეო. ალბათ, ჩემი საქმეც ასეა, მაგრამ ვსწავლობ არ დაველოდო და ბოლომდე დავიცალო საყვარელი ადამიანებისათვის.

ვცდილობ, საერთოდ ყველაფერი ვისწალო. ნებისმიერი რამ, ნებისმიერი ადამიანისაგან, ცხოველისაგან და ფრინველისგანაც კი. ბავშვისგან, მოხუცისგან, ძაღლისგან, მტრედისგან, რომლისგანაც შეგიძლია შესანიშნავად ისწავლო სიფრთხილე. ძაღლისგან, რომლისგანაც შეგიძლია ისწავლო, თუ როგორი უნდა იყო ერთგულებაში. ბავშვისგან, რომლისგანაც შეგიძლია ისწავლო თუ რა არის სისუფთავე სულის, სისათუთე მზერის. მოხუცისგან, რომლისგანაც შეგიძლია ისწავლო ის, რომ ხე მიწიდან კი არა, ფესვებიდან იზომება და კიდევ უამრავი რამ, რასაც მოხუცის მოჭმუჭნული უპეებიდან ამოიკითხავ.

წარმოუდგენელია ჩემთვის სუნთქვა მუსიკის გარეშე, ისევე როგორც ლექსების გარეშე. ვაგროვებ ჰიტების კოლექციას (კომპიუტერში).

მიყვარს ნინო ქათამაძე და სამოცდაათიანი როკი. ბევრი... მიყვარს კიდევ...

ვარ ტერენტომანი. ტერენტის ჩემი ბალიშის ქვეშ სძინავს. მისით მესუნთქება პოეზია. ტერენტიზეც დაუსრულებლად ვისაუბრებდი, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის.

ზემოთ ავღნიშნე, ვწერ-თქო და საქმიანობაზე კი არაფერი ვთქვი, პროფესიულ საქმიანობას ვგულისხმობ. ვმუშაობ ჩემი სპეციალობის მონათესავე სპეციალობით და ისევ წიგნს უკავშირდება ეს ყველაფერი, თუმცა მუშაობისას ფრაზების, სიტყვების, რითმების და ჩემი განზომილებების გარდა არაფერი მიტრიალებს თავში. საბედნიეროდ, საქმეს ეს ჯერ ცუდად არ დატყობია და მგონი, მიმართლებს.

სხვა რაღა გითხრათ: ვარ ერთი ჩვეულებრივი გოგონა, ჩემებური სამყაროთი. მინდა ღმერთის მოსაწონი ვიყო და ვცდილობ ჩემებურად ვისუნთქო..

<u>*გვანცა ჯობავა*</u>

მონოლოგი მზის საქანელიდან

სანამ წერას შევუდგებოდი, სამუშაო მაგიდას მიმჯდარი უკმაყოფილო სახით დიდხანს ვათამაშებდი კალამს, დაწყება ყოველთვის მიჭირს... ყოველ ჯერზე ვებრძვი შიშს, რომ ერთ სიტყვასაც ვერ გავცემ... მაგრამ ვხუჭავ თვალებს და ხელჩაკიდებული სიტყვები თავად შემოდიან ჩემში...

თვალები რომ გავახილე, შევამჩნიე, მზე საქანელაზე შემომჯდარიყო და თავის ღიმილა სხივებს მაფრქვევდა. ეტყობა შეამჩნია, რომ უხასიათოდ ვიყავი და ჩემი გამხიარულება გადაწყვიტა... ჰოდა, ახლა მეც ჩამოვუჯექი საქანელაზე და მასთან ერთად ვქანაობ ცის თაღზე...

დაბადება არ მახსოვს... ალბათ გასაკვირიც არაა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ზუსტად შუაღამეს დავიბადე და, დედაც დიდხანს არ მიწვალებია ხანგრძლივი ტკივილით. დღემდე ასეთად დავრჩი, ყველგან მიმეჩქარება, ყოველთვის მგონია, რომ ვაგვიანებ, ყოველთვის ისე ხდება, რომ ძალიან ადრე მივდივარ და მერე უსასრულოდ ველოდები, როდის დადგება დათქმული დრო...

სანამ სკოლაში მივიდოდი, ჩემს დას შევნატროდი და სკოლაზე ვოცნებობდი. სკოლაში რომ მიმიყვანეს, ახლა უმაღლეს სასწავლებელზე დავიწყე ოცნება. უმაღლესში

მოვეწყვე თუ არა, მეორე დღიდან სამსახურზე ავნერვიულდი, და ახლა, როცა უკვე ვმუშაობ, იმაზე ვფიქრობ, ნეტავ რამდენ ხანს ვიცოცხლებ-მეთქი. მეშინია, რომ ვერაფერს მოვასწრებ. მთელი ჩემი 22 წლის სიცოცხლე წიგნს, ფურცელსა და კალამს უკავშირდება და ეს სამი საგანი უკვე ჩემი სხეულის შემადგენელი ნაწილები მგონია.

ბავშვობაში მელაკუდაზე, ბაჭიასა და ასეთ საყვარელ ცხოველებზე ლექსები თუ ვიცოდი, აღარც მახსოვს. თავიდანვე მუხრან მაჭავარიანს, ანა კალანდაძესა და «ვეფხისტყაოსნის» პროლოგს მასწავლიდნენ მშობლები. სკოლაში რომ მივედი, მას მერე ლადო ასათიანის კითხვა და დასწავლა დავიწყე და ჩემი პირველი ლექსიც სწორედ მას მივუძღვენი. მაშინ, ალბათ, 8-9 წლის ვიქნებოდი...

მერე უმაღლესი... მომავალ სპეციალობას რომ მეკითხებოდნენ, ჩემი პასუხი იყო: _ «წიგნი» (საგამომცემლო-სარედაქციო საქმეს დავეუფლე). პირველი საკონფერენციო თემა რომ დავწერე და კონფერენციაზე წავიკითხე, ლექტორმა ღიმილით მკითხა, შენ შემთხვევით ლექსებს ხომ არ წერ, ამ სამეცნიერო საკითხებზე ასეთი პოეტური გადახვევებით რომ მესაუბრებიო?

თარგმნაც ამ დროს დავიწყე., აღარც მახსოვს, პირველად რა გადავთარგმნე და რატომ. მგონი, ლადოს ერთ-ერთი ლექსი ინგლისურად... ისე ჩავები ამ საქმიანობაში, გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, რაღაცნაირად ჩემდა უნებურად მოხდა. ამას გარეშე პირებმა შეუწყვეს ხელი, რისთვისაც უზომოდ ვემადლიერები მათ. იქამდე კი თოჯინებივით ვეთამაშებოდი უცხო სიტყვებს, ხან აქეთ შევაბრუნებდი, ხან იქით და ამას არავის და არაფრის გულისთვის არ ვაკეთებდი, ისე, უბრალოდ, სრულიად უმიზეზოდ, და არც ვიცოდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი ერთ-ერთი მომავალი პროფესია.

ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, რომ მამამ ტერენტი გრანელის წიგნი გამომიტანა, დამიდო და წაიკითხეო, მითხრა. წიგნს მინაწერი ჰქონდა: «გამოუსწორებელ გრანელისტს!» ეს წოდება მამასი ყოფილა. იმ დღიდან ეს წიგნი საწოლის თავთან მიდევს და მამას უკვე მინიჭებულ წოდებაში ვეცილები. მერე ტერენტის თარგმნა დავიწყე, მაგრამ ჯერ მხოლოდ დავიწყე...

დღეეს? დღეს მაგისტრატურის სტუდენტი ვარ და თან ვმუშაობ. პროფესია _ «წიგნი», ანუ ჩემი ამჟამინდელი მეორე სახლი გამომცემლობაა. ერთწლიანი სამუშაო გამოცდილების შედეგი არის რამდენიმე რედაქტირებული, რამდენიმე ნათარგმნი და გამოცემული წიგნი.

გარდა ამისა, ახალი ლიტერატურული ჟურნალის «ქართული მწერლობა» სარედაქციო ჯგუფის წევრი ვარ.

რაც შეეხება, ჩემს ლექსებს, ერთადერთხელ დაიბეჭდა ჟურნალ «ლიტერატურულ პალიტრაში», ესეც სხვათა ძალისხმევით. არ ვარ ამ მხრივ აქტიური, იმიტომ, რომ მე მხოლოდ პოეზიის მოყვარული ვარ და მეტი არაფერი. მხოლოდ ლიტერატურულ საიტებზე ვაწყენ თავს მკითხველს ჩემი ნაწერებით. არადა, რა ვქნა, ორჯერ დავანებე ლექსების წერას თავი და ორჯერვე ჩემდა უნებურად განვაახლე. პირველად რომ დავანებე IX-X კლასში ვიქნებოდი. დავანებე და მთლიანად დავწვი, თუ სადმე რამე მქონდა მიჯღაბნილი. დღეს კი ვფიქრობ, რომ უნდა ვწერო მანამ, სანამ მეწერება და თავი არავის შევაწყინო ჩემი ლექსებით...

ლადო ასათიანი წერდა: «ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნებაო...»
მე არ ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნება, ხანგრძლივი, თუ როგორი, მაგრამ იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ერთადერთი, ვის და რის გარეშეც ცხოვრება გამიჭირდება, ეს უფალი და მისი მფარველობაა. ის ერთადერთია, ვისაც ვეყრდნობი, ვისაც ხელზე ვეჭიდები და მის გარეშე თუ დავრჩი, ალბათ, ფეხმოტეხილ მაგიდასავით

გადავყირავდები. ასეთ ფეხმოტეხილსა და უფუნქციოს კი ვერავინ გამომიყენებს, ჰოდა, ალბათ, ადგება «სახლის პატრონი» და ნაგავში გადამაგდებს...

მაგრამ, არა... მე მჯერა უფლის... მას ჩვენ, ყველა, ძალიან ვუყვარვართ... ღმერთი ხომ სიყვარულია..

ვანო ჩხიკვაძე

მწერლის მონოლოგი

1947 წლის 5 ოქტომბერს, მეჯვრისხევიდან კირბალში მიმავალი დედაკაცი, ეფრესხევთან დააყაჩაღეს და, სახელოში შემალული, ცხვირსახოცში გამოკრული რამდენიმე მანეთი წაართვეს.

ქალი მეჯუდის ნაპირზე გამართული ბაზრობიდან მოდიოდა. სუნელების გაყიდვით აღებული ფული ფეხებში მიუგდო ორ თვალებამდე ქუდჩამოფხატულ მძარცველს (მაშინ ნიღბები არ იყო მოდაში), განასკვულ ცხვირსახოცს ხელი რომ დასტაცეს და უკანმოუხედავად შეერივნენ მინდორზე დაცემულ ხშირბინდს.

წამოვიდა გაცეცხლებული, ბრაზით კრიჭაშეკრული შემოვიდა ეზოში და... ახარეს, შვილიშვილი შეგეძინაო.

უცებ გადაიყარა დარდები, ვიღას ახსოვდა დანაკარგი, ამის ჭირის სანაცვლო იყოსო, დახედა ჩვრებში გამოკრულ ჩვილს და სხივჩამდგარი თვალებით მოეფერა.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს _ ბავშვი მე ვიყავი, ქალი კიდევ _ ბებიაჩემი, მედგარი, შეუპოვარი, მრავალჭირგადანახადი, მაგრამ გაუტეხელი დედაკაცი.

იმ დღიდან მოყოლებული ერთმანეთისთვის ხელი არ გაგვიშვია. როგორც თითქმის ყველა ბებიას, იმასაც, კაბის შიგნით მიკერებულ ჯიბეში მუდამ მოეპოვებოდა რაიმე ნუგბარი, პირის ჩასატკბარუნებელი, რომელსაც მე მიზოგავდა ხოლმე. მაგრამ ჰქონდა ულამაზესი სიტყვებით, გამოთქმებით, ჯადოსნური ამბებით თავმოდგმული უხილავი «ჯიბეც», რომლიდანაც, როგორც ზღაპარში, რამდენიც არ უნდა ამოეღო, «ჯიბეს» თუ არ ემატებოდა, არაფერი აკლდებოდა.

მე ამ «ჯიბემ» გამზარდა და გააღვივა ჩემში მწერლობის სურვილი.

პირველი ლექსი, ალბათ, ხუთიოდე წლის ვიქნებოდი, რომ გამოვთქვი (მაშინ ჯერ წერა-კითხვა არ ვიცოდი) და მივუძღვენი სოფელში სტუმრად მყოფ თბილისელ გოგოს.

ეს იყო პირველი ლექსი და... პირველი სიყვარული.

გაცრუებულმა სიყვარულმა (გოგო აგვისტოს მიწურულს თბილისში წაიყვანეს), ლექსების თხზვაზეც ამაღებინა ხელი, მაგრამ მაშინ უკვე გორის პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, როცა ისევ შემომიჩნდა ეშმაკი თუ ანგელოზი (ოჰ, ეს სიყვარული) და მივიწყებულ «ხელობას» მივუბრუნდი.

დავდიოდი გორის მასწავლებელთა სახლის ბიბლიოთეკაში, ლიტერატურულ წრეში, სადაც, პირველად, პოეზიის საღამოში მონაწილეობისთვის დამასაჩუქრეს ლადო ასათიანის ლექსების წიგნით.

მოსწავლეობის პერიოდიდან მოყოლებული, ჩემი წერილები, ჩანახატები, ლექსები ქვეყნდებოდა გორის გაზეთ «გამარჯვებაში», სალიტერატურო კრებულ «ლიახვში», რომელიც ოთარ ჩხეიძის რედაქტორობით გორში გამოდიოდა.

1972 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, უნივერსიტეტის მწერალთა წრის რამდენიმე წევრი, უკვე «სახელგანთქმულები» ვიყავით ლიტერატურის მოყვარულთა შორის, რასაც მოჰყვა პუბლიკაციები ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში.

პირველი წიგნი «ნათდება» (გამომცემლობა «მერანი»), გამოვიდა 1973 წელს.

ამავე წელს მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად.

დღემდე გამოცემული მაქვს ოცდაათამდე პოეტური და პროზაული წიგნი, საბავშვო ნაწარმოებების კრებულები, ვარ ავტორი მრავალი პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილის, თარგმანის, სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებისა.

1985 წელს, ჩემმა საბავშვო მოთხრობების წიგნმა «ორი კაცი» მიიღო საქართველოს კომკავშირის პრემია (იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, არცთუ იშვიათად, ნამდვილ ლიტერატურასაც ანიჭებდნენ პრემიებს).

1997-99 წლებში მივიღე მწერალთა კავშირის პრემიები.

2002 წელს, საერთაშორისო ასოციაცია «კვალის» კონკურსში გამარჯვებული ჩემი პიესა «ორი მდინარის შესართავთან...» დაიდგა გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრში, რომელიც 2003 წლის შემოდგომაზე, ვაჩვენეთ ამერიკაში «ქართული კულტურის დღეზე».

ჩემმა ნოველამ «კოხტა თამრო», დაიმსახურა ლიტერატურული კონკურსის «პენ-მარათონი 2003»-ის პირველი პრემია, ამავე წელს მესამე პრემია მივიღე ჟურნალ «ომეგას» ლიტერატურულ კონკურსში «ლუარსაბ თათქარიძე».

2006 წელს ჩემმა «ზამთრის წიგნმა» დაიმსახურა ლიტერატურული პრემია «საბა», ხოლო ნოველამ «ახადელების რძალი», გაიმარჯვა პორტალ ლიტერატურა.გე-ს მიერ ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში «წერო»...

ვერ ვიტყვი, რომ ბებიაჩემის «ჯიბე» უბარაქო გამოდგა, მაგრამ იქ ჯერ კიდევ საკმაოდ მეგულება «ნუგბარი»...

ჩემი ნაწარმოებები თარგმნილი და გამოქვეყნებულია მრავალ უცხო ენაზე. ლექსები, მოთხრობები და რომანი «ჩიტები ზამთარში» რუსულად ცალკე წიგნებად გამოიცა.

მიწვევით თუ შემოქმედებითი მივლინებით ბევრ ქვეყანაში ვიმოგზაურე.

სხვადასხვა წლებში ვმუშაობდი გაზეთ «ნორჩი ლენინელის» და «ახალგაზრდა კომუნისტის» კორესპონდენტად, სატელევიზიო თეატრის რედაქტორად, გორის პრეფექტის მოადგილედ...

და, რაც მთავარია:

მყავს მეუღლე, შვილები და შვილიშვილები...

21.03.2008

<u>ვასილ გულეური</u>

CV-ის მონოლოგი

საკუთარ თავზე საუბარი, მით უფრო წერა, სქელტანიანი რომანის დაწერაზე რთული მგონია. ამიტომ, საქმე რომ გავიიოლო, შედარებით მარტივ ფორმას ავირჩევ.

დაახლოებით ისეთს, დღეს ყველა სამუშაო ადგილზე მიღებისას უცხო ენის ცოდნასავით სავალდებულო რომაა _ CV ანუ Curriculum Vitae. ამით დღეს ასე შემოჭრილ «ინგლისურომანიასაც» მოვუხდი ხარკს. ერთს კი შევეცდები, ზედმეტად ოფიციალური და მშრალი არ გამომივიდეს ჩემი «ცხოვრების აღწერა».

სიმშრალეს რომ თავი ავარიდო, დასაწყისშივე ვიტყვი, რომ თუმცა დიდი ვერაფერი მოცურავე ვარ, ზღვა მიყვარს. ბავშვობაში ჩემთვის გაგრა და სოხუმი ასოცირდებოდა ამ

სიტყვასთან, დღეს ბათუმი გახდა ჩემთვის «ზღვის ქალაქი» და არა მხოლოდ ზღვის, არამედ უპირველესად ადამიანების გამო, ბათუმი ჩემთვის ძალიან ახლობელია.

ახლა ისევ ბავშვობაში დავბრუნდები. დავიბადე 1971 წლის 19 აგვისტოს, გორში. წელიწადის თორმეტ თვეთაგან აგვისტო ყველაზე მეტად არა მხოლოდ იმის გამო მიყვარს, რომ ჩემი დაბადების თვეა, არამედ იმიტომაც, რომ შემოდგომის დაწყების მომასწავებელია. ზაფხულის ბოლო და შემოდგომის დასაწყისი ყველაზე საყვარელი დროა, ფერიცვალობა კი, ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დღე-სასწაული.

ბავშვობიდან გატაცებული ვიყავი ხატვით. ცოტა მოგვიანებით, ფოტოგრაფიამ დამაინტერესა და დღემდე ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობაა. პირველი წარმატება 1997 წელს გაბროვოს სატირისა და იუმორის საერთაშორისო ბიენალზე გამართულ ფოტოგამოფენაში მონაწილეობა იყო. ყველაზე დასამახსოვრებელი კი 2000 წელს თბილისში გამართული ფოტოკონკურსი და მეორე საპრიზო ადგილი. უფრო სწორად, კონკურსის ჟიურის წევრის, გოგი გვახარიას შეფასება, რომელიც რადიო «თავისუფლებისთვის» მიცემულ ინტერვიუში უთქვამს და თუმცა მე არ მომისმენია, მეგობრებმა სიტყვასიტყვით გადმომცეს.

ჩემთვის ფოტოგრაფია ისეთივე ხელოვნებაა, როგორც მხატვრობა, მუსიკა, პოეზია... თუმცა, რატომ ჩემთვის? ეს ხომ მართლაც ასეა.

მახსოვს, 80-იან წლებში, ყოველი თვის ბოლოს სკოლიდან როგორ მივიჩქაროდი ჟურნალ-გაზეთების ჯიხურში ჩემს ნაცნობ დეიდა მაროსთან, რომელსაც ჩემთვის გადანახული ჰქონდა გერმანული და ჩეხური «ფოტოგრაფია», «სოვეტსკოე ფოტო».

საერთოდ, წიგნების ყიდვა მიყვარდა ძალიან. სასკოლო ბუფეტისთვის განკუთვნილი ფულით კვირის ბოლოს რამდენიმე წიგნს შევიძენდი ხოლმე. დღეს ვეღარც წიგნს იყიდი «სასკოლო დანაზოგით» და გორში წიგნების მაღაზიებიც აღარ შემორჩა.

მახსოვს, მერვე კლასში ვიქნებოდი, «მსოფლიო ლიტერატურის საბავშვო ბიბლიოთეკის» გამოცემა რომ დაიწყო. ასეთ წიგნებს მაშინ მხოლოდ ხელმოწერით თუ შეიძენდი. ამ ხელმოწერის ქვითრის ხელში ჩაგდებაც არ იყო იოლი საქმე. რომ ვერაფერი გავაწყე, არც ვაცივ, არც ვაცხელე და პირდაპირ «კომუნისტის» რედაქციას გავუგზავნე წერილი და ვთხოვე, დამხმარებოდნენ.

დიდი იმედი არ მქონია, მაგრამ ორიოდე კვირის შემდეგ, გაზეთის პირველ გვერდზე ჩემი წერილი რომ დაიბეჭდა, ცოტა ხანში კი ფოსტითაც მივიღე შეტყობინება, მიბრძანდით შესაბამის ადგილზე და ხელმოწერის ქვითარი მიიღეთო, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მართალია, ქვითარი მივიღე, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ტომის საყიდლად გამომადგა _ მერე ისე აირია ქვეყანა, მთავარია წიგნის საყიდელი ფული გქონოდა კაცს, ქვითარი და ტალონი ვისღა უნდოდა.

არ ვიცი, რამდენად იქონია ამ შემთხვევამ გავლენა ჩემს ჟურნალისტიკით დაინტერესებაში, მაგრამ წერა ყოველთვის მიყვარდა. ჟურნალისტობაზეც ვფიქრობდი, მხატვრობაც მაინტერესებდა, მაგრამ სკოლა რომ დავამთავრე, ავდექი და არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩავაბარე. არც მინანია _ არქიტექტურა იმდენად მრავალმხრივი დარგია, ისეთი პედაგოგები მასწავლიდნენ, რომ სტუდენტობის ექვსი წელი ჩემთვის დიდი სკოლა იყო.

სხვათა შორის, ჩემს ლიტერატურულ ცდებსაც პირველად სწორედ სტუდენტობის დროს მოჰყვა წარმატება, როდესაც ედგარ პოს და ჰენრი ლონგფელოს ლექსების თარგმანები იმ დროისათვის გამომავალ ლიტერატურულ გაზეთებში «რუბიკონი» და «მესამე გზა» დაიბეჭდა.

საბავშვო ლექსებზე სერიოზული ფიქრი მაშინ დავიწყე, როცა პირველი ვაჟი შემეძინა. ვიდრე მეორეც შეგვემატებოდა, ერთი რვეული კი დავაგროვე, მაგრამ იქიდან მხოლოდ რამდენიმე ლექსი მიმაჩნდა გამოსაქვეყნებლად, რომლებიც მალე ჩემი ბავშვობის საყვარელ ჟურნალ «დილაში» დაიბეჭდა. მერე, საბავშვო ლექსები ჩემს შვილებთან ერთად გაიზარდნენ და ერთხანს ისევ თარგმანმა გამიტაცა.

ერთი წლის წინ, ლიტერატურულ კონკურს «წეროს» მეორე პრიზი, რომელიც საბავშვო ლექსებმა მიიღო, ჩემთვის ახალი სტიმული აღმოჩნდა _ დღეში რამდენიმე ლექსს ვწერდი. ასე, რომ ჩემი ლექსები, შეიძლება ითქვას, ბავშვებივით არიან _ ხან «წეროს მოჰყავს», ხან «კომბოსტოში ვპოულობ»...

<u>იკა ქადაგიძე</u>

ქვიშის მონოლოგი

ქვიშის ორბიტაზე რაიმე გსმენიათ?

მას, ვინც ქვიშის ცხედარზე დააბიჯებს, მუდამ სამყაროს უცნობი განზომილება ენატრება. ეს მე ვარ: ქვიშის პოეტი. ბავშვობაში ჩუმი, დამჯერი. დილიდან საღამომდე სახეზე წიგნაფარებულს ხუმრობით მემუქრებოდნენ, რომ უყურადღებობისთვის სამაგიეროს აუცილებლად გადამიხდიდნენ და რადგან ჩემი ხმის გაგონება მძაფრად სწყუროდათ, გარე სამყაროსთან ურთიერთობის მოსაგვარებლად ლექსების წერა მოვიმიზეზე.

ახლა გული მწყდება, რომ თოჯინებით არასდროს მითამაშია, თუმცა ჩემი უნებლიე ბრალეულობა ლექსით «გამოვისყიდე», უკმარისობის გრძნობას მაინც ვერ გავექეცი.

ოჯახის ნებიერი ერთადერთხელ დავისაჯე. სანიმუშო ბავშვის ტიტული მაშინ დავთმე, როცა უფროსები ქვიშის ჭამაში გართულს თავზე წამომადგნენ.

აი, ასე დავუმოყვრდი ქვიშას, რომელიც ჩემი თვითგამოხატვის უნივერსალურ საშუალებად იქცა.

გულწრფელად ვაღიარებ: ჯერ კიდევ 3 წლისა ჯიუტად ვამბობდი, რომ «პოეტი უნდა გამოვსულიყავი». ახლაც ვამტკიცებ, რომ პოეტობაზე უკეთ არაფერი მეხერხება.

სიტყვად გარდაქმნილ ქვიშის მარცვალს ვინმემ სათანადო ხოტბა ხომ უნდა შეასხას?

ჰოდა, ისმინეთ ქვიშის საგალობელი.

ჭირისდღესავით ვუფრთხი, ვინმეს დავემსგავსო, თუმცა ყურით მოთრეული ორიგინალობაც უსაშველოდ გაცვდა რა ხანია!

ვერ ვიტან ხალხს, ვისაც სხვისი დიდება თავში აქვს ავარდნილი.

სხვისი სახელით ტკბობა რა ბედენაა?

ვიღაცის ღვაწლის შეფასებისას მავანს ჰგონია, რომ რომელიმე გენიოსის ყველა ღირსება მას მემკვიდრეობით გადაეცემა.

დღეს ამ წრეგადასულ პატივმოყვარეობას ერთხმად ამბიციურობას უწოდებენ.

სახელის მოხვეჭის უნარი ძველთაგან არცთუ უსაფუძვლოდ მოგვდგამს, მხოლოდ დანაქადნს შესრულება სჭირდება.

თავს თუ დააღალატებ, სიტყვამ რა დააშავა?

მკითხველებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნაფიც კრიტიკოსებს, თანამოაზრეებსა და გულშემატკივრებს რა პირით ეჩვენები?

დღევანდელი გადასახედიდან საყოველთაო რისხვას ნიჭიერი განდეგილი უფრო «იმსახურებს» ვიდრე თანამედროვეობის საცეცებში გახლართული პროვოკატორი.

თავი თუ გიღირს ბრძოლის ორომტრიალში გადაშვება სტიქსის ტალღებთან ჭიდილის ტოლფასია. ვისაც არ ეზარება, ყველა უყოყმანოდ გაგიმეტებს. ყველა დიდების დაფნის გვირგვინს ეპოტინება. საკუთარი სამყაროს შექმნის ახირებითაა ატაცებული, სულწასულობს, გამომცემლობების საალყო იერიშის პარალელურად გავლენიან თანამოკალმეებზე მოუღლელად ნადირობს, მაამებლურ წერილებსა და ლექსებს დაუსრულებლად ახვავებს, დარბის, პოპულარულ ჟურნალში მოსახვედრად ცხრაპირ ტყავში ძვრება და ყურმოკვრითაც არ იცის, რომ სადღაც «დაუსტამბავი» მწერლებიც არსებობდნენ, ისინი რედაქციებს კარს არ უმტვრევენ, ინტრიგების ხლართვაში გაუწაფავებს წინასწარ ჩაწყობილ კონკურსებში მონაწილეობა გულზე არ ეხატებათ, ხშირად ტექნიკის ანბანსაც დაუდევრად ეკიდებიან და ხელსაყრელ წამს იმპროვიზაციულ მიგნებებზე «ფლანგავენ».

დროს ვინც განგებ ან უნებლიედ გამორჩა, იმ მოდგმას რა ვუყოთ?

კადრს მიღმა დარჩენილ ტალანტებს ხმა როგორ მივაწვდინოთ?

ჩრდილს შეფარული ნიჭიერება ორგანიზებული უგულებელყოფისგან როგორ დავიცვათ?

ვისაც თვითგანდიდება არ მოსდევს რამდენი საუკუნით მივივიწყოთ?

ჯობდა თქვენთვის ჩემს მოკრძალებულ ტრიუმფსა თუ წარუმატებლობაზე მესაუბრა, მაგრამ ჩემი ოცნება იმდენად ძველისძველი და ნაცნობია, უმწეობაზე მეტად მიმბაძველობის შიში მბოჭავს.

თავის დროზე ჰოლდერლინმა ინატრა: «მინდა ჩემი საქმე ვაკეთო და სული შიმშილილით არ ამომხდეს».

კეკლუცად შეფუთულ პათეტიკურ რჩევა-დარიგებას გულახდილობა მუდამ გადასწონის.

შემოქმედს უზენაესი თავისუფლებისაკენ ლტოლვა ქმნადობის ნიჭის გარდა ყველაფერს ართმევს. ქვეცნობიერად ეჩვევი, რომ სიტყვის მსახურებისას იძულებული ხარ უამრავი ადამიანის კეთილგანწყობა დაკარგო, ბევრი რამ დათმო, სანაცვლოდ ახალი პიროვნება აღმოაჩინო. ადრე თუ გვიან ნამდვილ აღიარებას ეღირსო, თუმცა მე თუ მკითხავთ, მკვდრადშობილი სიტყვის გაცოცხლება ბევრად ადვილია, ვიდრე ირგვლივ მყოფი ადამიანების გულის მოგება.

საკითხავია სიტყვის ხარჯზე ვის რა დასცალდება!

ქვიშაში ეფლობი. თუ შეჰბედე, გასაქცევი გზა მოჭრილია, მისი წიაღი უსიტყვოდაც გშთანთქავს.

ქვიშას აზრის სიმჩატე სძაგს და ჩიტირეკია სნობებს ფეხქვეშ ჩაეშლება.

უნიადაგოდ წარმოქმნილ სიცარიელეს თავის სახელს არქმევს და ...

«წყალნი წავლენ და წამოვლენ,

ქვიშანი დარჩებიანო...»

დროა ჩემი სტრიქონებიც შემოგაშველოთ. ახლახანს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სისხლშიც ქვიშათა სიმძიმე მიღრენს....

სამყაროს მხოლოდ საკუთარი თავის ანაბარა უნდა წარუდგე. ტიტანების თანმდევ დიდებას რომ არ დაეჩაგვრინო, უმჯობესია გზა სხვის დაუხმარებლად გაიკაფო. ადამიანის მეხსიერებაში აღბეჭდვა ამად ღირს.

ქვიშა შემთხვევით აღზევებას ვერ ეგუება...

გურამ მეგრელიშვილი

წითელი წიგნის ერების მონოლოგი

ამას წინათ, ინტერნეტში საიტებს ვათვალიერებდი და ასეთ საინტერესო საიტს წავაწყდი, სადაც აზიელ ესკომოსებს, კრიმელ ებრაელებს, კრიმელ თათრებს, დიდოელებს, პამირის ხალხებსა და სხვათა შორის აფხაზებიც წითელ წიგნში შეტანილ ერებად მოიხსენიება. საიტი რაღა თქმა უნდა რუსული არაა და ამიტომაც გამიკვირდა აფხაზების მსგავს სიაში დანახვა. აფხაზებმა სოხუმი გამახსენა, სოხუმმა თავისი სიამაყე «პიტომნიკი».

ბოლოს სოხუმში 1993 წელს ვიყავი, «მოკრეასფალტისფერი 09»-ით წამიყვანა სენაკელმა მამიდაშვილმა. ამ დეტალებს იმიტომ ვიხსენებ, რომ მაშინ სენაკშიც და სოხუმშიც, «მოკრეასფალტისფერი ძევიატკით» სიარული ისეთივე «მარიაჟობა» იყო, როგორც «ზოლიანი ასტრის» მოწევა, რომელსაც სხვათა შორის, აქეთ, თბილისისკენ ვერ იშოვიდი და რომლის მწარმოებელიც სოხუმის მარლბოროს ქარხანა იყო. ასტრა სწორედ მარლბოროს თუთუნისგან და ქაღალდისგან მზადდებოდა და მთავარი ღირსება არა მხოლოდ გემო, ისიც ჰქონდა რომ «არ ქვრებოდა».

ის დღეები იყო, აი, ფორმიანი ხალხი რომ დადიოდნენ და საბუთებს უმოწმებდნენ ქალაქში შემსვლელ-გამსვლელს და ერთი პირობა კი თქვეს მამიდაშვილებმა მივბრუნდეთო, მაგრამ მაინც შევედით და ვნახეთ სოხუმი.

ბანაობა ჩვენ არ გვინდოდა, საცურაო კოსტიუმები არ გვქონდა არც ერთს და «რამე ხომ უნდა გვენახა» და სწორედ «პიტომნიკში» წამიყვანეს. თვითონ ალბათ ათჯერ მაინც ჰქონდათ ნანახი, მე პირველად ვიყავი.

უზარმაზარი ორმეტრიანი ღობით შემოკავებული ტერიტორია რამდენიმე კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა და ლამის კი გადავიფიქრეთ შესვლა, ბოლოს მაინც შევედით.

სოხუმის «პიტომნიკი» განთქმული იყო თავისი მაიმუნებით, იშვიათი და ცნობილი ჯიშის მაიმუნებით, რომელზეც, როგორც მითხრეს, ცდებს ატარებდნენ.

მნახველები არ ვიყავით ბევრნი, ან დრო იყო არაშესაფერისი, ან იმდენად დიდი ფართობი იყო, ხალხი ცოტად მომეჩვენა, ის კი მახსოვს, ვიფიქრე, ჩემებს ვეტყვი აქეთ გადმოვსახლდეთ და ზღვაც აქ მექნება და მაიმუნებიც-თქო.

გიდი ავიყვანეთ, გიდი, ემუხვარი იყო. გვარი ახლაც მახსოვს, რადგან სიძე მყავს ემუხვარი. ნამდვილი აფხაზი იყო, თეთრი პირისკანით, შავი თმითა და თვალებით. არაფრის დიდებით ქართულად არ დაგველაპარაკა, ჩვენ ვუთხარით რუსული არ ვიცით-თქო და სანამ მეგრულზე არ «შევთანხმდით», საერთო ენა ვერაფრის დიდებით ვერ გამოვნახეთ. ქართული კი იცოდა მშვენივრად, მე მეგრული არ ვიცოდი და ერთი-ორჯერ როცა «მითარგმნეს», გულმა არ მოუთმინა, თუ რა იყო, ჩაგვერია საუბარში და შეასწორა.

რუსულად პასუხის გაცემა, მარტო იმ გიდის სენი რომ არ იყო, ამას მერე, სოხუმში, იმ დღეს, ბევრგან მივხვდი. თუმცა, რუსულად საუბარი მთლიანად სოხუმის «დაავადება» იყო _ არც ერთ მაღაზიაში ქართულად პასუხს არავინ გაგცემდა.

ეს პასუხის რუსულად გაცემა მერე ხშირად მომგონებია, მაშინაც, როცა კლიმოვის აფხაზური ენით აღფრთოვანება წავიკითხე, უამრავი ხმოვნები აქვს ენაშიო და მისივე

აღშფოთებაც _ რუსულის ზედმეტი გავლენა იგრძნობაო და მერეც აფხაზ ბრძენკაცთან მურატ იაგანთან ინტერვიუ რომ ვნახე, სადღაც კანადაში რომაა გადახვეწილი, ქალაქ ვერნონთან და ადგილობრივებს თავის სიბრძნეს უზიარებს თავისივე დაარსებულ **Kebzeh community**-ის სასწავლო ცენტრში. მურატი სწუხდა, მეც და ჩემმა თანამოძმეებმაც დიდი სისულელე ჩავიდინეთ ქვეყანა რომ დავტოვეთ სხვების ხელში და აქეთ წამოვედითო.

სოხუმის «პიტომნიკსაც» ახსენებდა მურატი. სადღა არის «პიტომნიკი» ნელ-ნელა იშვიათის ჯიშის მაიმუნებიც გაქრნენ და გადაშენდნენ, რაც გადარჩა ისინი კიდევ არასწორი შეჯვარებით როგორც ჯიში აღარც არიანო.

სამი დღეა სოხუმის «პიტომნიკზე» ვეძებ ინტერნეტში მასალებს და ვერაფრით მომიძიებია.

მხოლოდ იმაზე წერენ, როგორ ავლებენ აფხაზეთის ტერიტორიის ირგვლივ ორმეტრიან კედელს რუსები.

<u>თამრი ფხაკაძე</u>

თევზის მონოლოგი

fish is mute. fish knows everything.

გორან ბრეგოვიჩ

ჰეი, გორან!

შენ რა, წინა ცხოვრებაში თევზი იყავი?

..... და იცი რომ..... წყალი... სიღრმე... _ სიცოცხლე..... ნაპირი _ აღსასრული .... ანკესი! სიბრიყვის საზომი ....

.....

.....

.....ბადე! .....- ბედისწერა..... .... გემები ზედაპირზე... _ .....უფალო შეუნდე, პოეზია..... ....

..... გემები ფსკერზე _ .....
..... საიდუმლო პროზა .....
.....
.....
.....
..... პატარა, ურიცხვი თევზის ქარავნები _ .....
..... დემოსი!.....
.....
.....
.....
..... ხახადაღებული ვეება თევზები, დიდსტომაქიანი ზვიგენები.....
_ ძლიერნი ამა წყალთა .....
.....
..... ამოფრენის მცდელობები, «თოლიობანა»_ ..... სიგიჟე!
.....
.....
.....
.....
.....ქვირითი _
..... გაუკვდავების დაუცხრომელი ვნება, ...
.....
.....
.....
..... ადუღებული ზეთი ტაფაზე-ჯოჯოხეთი!
.....
.....
.....
თუნუქის ყუთი. კონსერვის ქილა _ .....
..... ამაზრზენი აღიარება .....
.....
.....
.....
..... ჩემი უტყვი მზერა .....
....._ პრეისტორიული გამოცდილება
.....
.....
.....
.....ჩემი გაუძრავებანი ... _ .....
..... პრეისტორიული პოზა .....
.....
.....
..... მზე მსოფლიო ოკეანეში _ რელიგია. .....
.....
.....
.....თევზთა თანავარსკვლავედი _ .....

..... სასუფევლის იდეა
.....
.....
.....
.....
..... პოსეიდონი _ თავსმოხვეული მითი, ...
.....
.....
.....ვენერა _ .....
.....
..... _ არა ჩემი ხილვა! .....
სხვისი.....
.....
..... ჟანგბადის ბუშტულები, სუნთქვა _
მრავალწერტილი .....
.....
.....
.....
.....დუმილი-თავშესაფარი.....
.....
.....
ჰეი! მებადურებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით? .....
.....
.....
.....
.....
მეძიებდეთ და მპოვებდეთ!

<u>დარეჯან სუმბაძე -ანასტასია</u>

ვერცხლისფერი გაზაფხულის მონოლოგი

(ციკლიდან «მინუსუსასრულობა»)

მე მიყვარს, როცა ვიძირები. როცა ვივსები. ჩემი თმებივით მათი ზანტი, მოსავსავე მკლავების ქვეშ როცა ვირწევი. როცა ზღვა ცა თავზე მექცევა. მერე. როცა წყალნი წავლენ, როცა წამოვლენ. როცა აღარსად გეჩქარება. როცა რჩები. ჩემი. წყლებისგან გარეცხილი ქვიშა. როცა აქ ხარ. გვერდით ოთახში. მშვიდი თვლემა. როცა შემომრჩი.

უმეტესად ვერ დაუშვებ იმას, რაც ხდება.

უმეტესად რეალობაა დაუშვებელი.

მე სულ მიჭირდა. დრო მიჭირდა. არარსებული მომავალი. დაუგეგმავი. სასაცილო: დაგეგმო ის, რის არსებობაშიც ეჭვი გეპარება. და სულ მიჭირდა უმთავრესი. უნარებს შორის _ დროის გაყვანის. დრო შემცვლელი მოვლენების. შეფასების კუთხისაც.

შემცვლელი ადამიანების. რა ნათელია მათი სამოსი და რა გამჭვირვალე მათი სარჩულებიც. დღეს! მაგრამ იყოს დღეის დღეში. და ნათელი. ყველაფერი დროზე ადრე. რა ნათელია და რა ადრე ცის მოკლე ჩართვა.

დღეს პირველად დაიქუხა. პირველ ქუხილზე ლოდებს, სიმყარეს ზურგით ვეტმასნებოდით. მაშინ ასე. ოცი ნაბიჯის გამოვლამდე. სიმსუბუქემდე. ახლა უკვე, ასეთების ნაკლებად მჯერა. გავიზარდეთ. ცურვა ვისწავლეთ. მე გავხდი შენი ზღვის ვარსკვლავი. ვერცხლისფარფლება.

და უკვე ვიცი. ის რაც თვალს ჭრის, შეჩვევაა. ერთადყოფნაა. ერთი ფილმის ყურების ემოციური, გაზიარებით დამსგავსებული ნაკვთებია. ჰორმონალური გაზიარებით დამსგავსებული ერთმანეთი. აზრის შეუმცდარი შესაძლებელი გაგრძელებაა. წყლის ნაკადიდან ფონსგასვლაა. გადარჩენაა. როცა იცი ზუსტად ასე გააგრძელებს. მე გაგრძელებ: დამიტოვე ერთი ფიქრი. ერთი ნაფაზი. ერთი ყლუპი ამოსუნთქვა. დამიტოვე. ფიქრის სინქრონი. თუ არსებობს, მაშინ, მიპასუხებდი: შენ შეჩვევა ხარ. განწყობა ხარ: შენ ხარ ომთან ადაპტაცია. როცა მარსი, პლანეტა თუ მფარველი ღმერთი გმართავს. კი არა, თავს არ განებებს. ისინი კი ვერ გვიხსნიდნენ. ერთადყოფნა. როცა ამბობდნენ. როცა გვფანტავდნენ რეალურ და წარმოსახულში. გვინაწილებდნენ. ჩვენ ვეძებდით, რომ ცხოვრება დიდი, გაუხშოვებული კმაყოფილების მერე დამსგავსებოდა ლოდინს წასვლებსა და დაბრუნებებს შორის. რომ ამომეხსნა: ძლიერი ხარ უჯერადო. უფრო ზუსტად ერთის ჯერადი. გაუყოფელი. საკუთარ თავზეც.

მდომებოდა: ვიყო პასუხი. სამაგიერო. ამომეხსნა: რაც თვალს და გულს გაიტაცებს, წარმტაცივით, სისუსტეა. და სიმშვიდის ხელიდან გაცლა. გაცლა შენიდან. სამყაროდან. მოკლე ჩართვისას უმყარესი ელექტრონების განმარტოვება. განწყობა: ომი. მარტოცეკვა. ქუხილისცეკვა. ცეცხლისპლასტიკა. სიზმრის ტერფი დაბიჯებული კაქტუსის ხმას. მაღვიძარას. გადავიწყება ბუმბულებს შორის უძაფო ნემსის, რასაც ოდესმე სისხლმდენამდე უბასრესად წამოეგები.

მშვიდად ვივსები. შენი თვლემის სუნთქვებს შორის ვითვლი პულსის ამოვარდნებს. ყნოსვით გგრძნობ. გდარაჯობ. თითქოს სამოცდაათი წელი გასულიყოს მას მერე, რაც მივები, რაც ამერიე. თითქოს მეპოვოს მშვიდობის ნება. არშეგრძნების ამ გაზაფხულზე. დაშორების-და-ქორწინების გაბზარულზე. აქ, ვერცხლისფერ სიმდორეში, ჩემს ირგვლივ, ფსკერზე. საუკუნეზე. ასე სავსე. მეოცის მერე. ჩაძირული. უფრო ზუსტად. უნდა მიყვარდეს. რომელიც. უნდა.

მგონი თხუთმეტი. მგონი აპრილი.

<u>რუსუდან კაიშაური</u>

ცოცხის მონოლოგი

ცუდი არ იქნებოდა, ცოცხს ვგავდე. ოქროსფერია, წელში გამოყვანილი და წერწეტა. არაჩვეულებრივი თვისებებიც აქვს: ასუფთავებს და რაც არ მომწონს, შლის. თუ ამოვატრიალებთ, ყვავილს ჰგავს. ამიტომ ჩემს ხელში ხან ყვავილია, ხან ფუნჯი. წითელ ბაფთას თუ შეაბამ, გიტარაც შეიძლება იყოს და თოჯინაც. და ბოლოს, ცოცხი ჩემი კვარცხლბეკია, ,,მასზე მდგარი, ვპოეტობ ქალი»...

ამ ბოლო დროს საგნების სიყვარული მომეძალა: მაგ. ჩაიდანი, ლობიო, მაგიდა, ჭაღი, კედელი, ავტობუსი, იატაკის საწმენდი ჯოხი, მტვერსასრუტი და სხვ. რას შვრებიან ისინი ჩემთან? ცდილობენ, მაქსიმალურად დაიცალონ თავიანთი ემოციებისგან.

რაც შეეხება სივრცეს, სადაც ვპოეტობ ქალი, 50//50-ზეა. ყველაფერი რომ მომწონდეს, ან არ მომწონდეს, მათემატიკაში გადავვარდებოდი და ფორმულების ამოხსნით დავკავდებოდი. ახლა სრულყოფას ჩემი ოცნებით ვცდილობ, ნაკლს ლექსებით ვავსებ და ჭუჭყიანს _ პოეზიის აფიშას ვაფარებ. რაც მომწონს, იმას რაღა აღნიშვნა სჭირდება, კარგად ირეკლება იმაში, რაც დამიწერია.

ერთადერთი, რამაც გული გამიწყალა, დროა. მოდასავით მივსდევ, თუ მგელივით უკან მომდევს შესაჭმელად _ ესეც ვერ გამიგია. ამჟამად მისი გაწელვით ვარ დაკავებული, მაგრამ ეს იმდენად ფუჭი მცდელობაა, რომ მე მგონი, თვითონ მე ვარ გაწელილი, ყველაფერს რომ ვეყო. ამიტომ ძალიან სენსორული ვარ, საკმარისია, ვინმე შემთხვევით შემეხოს, რომ ბგერას გამოვცემ. ეს ვინმე შეიძლება ქარიც იყოს.

სპარსელი პოეტი ქალი ფორუხზადე მიყვარს თავისი ლექსებით და ბედისწერით, ყაყაჩოს კაბაში გამოწყობილი ავსტრიელი ქრისტინე ლავანტი და ემილი დიკენსონიც. ისინი ჩემი სისხლით ნათესავები (ამბობენ, სისხლი არის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი) და ციცინათელები არიან, ხელის ცეცებით რომ არ ვიოცნებო.

მე მოძღვარი და მასწავლებელიც მყავს, ნაირა გელაშვილი. მე მასზე რომელიღაც ყვავილად ვარ ამოსული და ყველა უჯრედით ყურებდაცქვეტილი.

პოეზია არის ის, რაც დრომ ვერ გაატიალა. საპოეზიოდ მოძულებული და უვარგისი რამეც შეიძლება გამოდგეს. აიღებ, შეატრიალ-შემოატრიალებ, გამოსაჩენ ადგილზე ,,მომგებიანად... დადებ, შეიძლება მოხატო ან შეღებო კიდეც, ზედმეტი ნაწილი კბილით ამოგლიჯო და გამოვა».

არ მომწონს რითმაზე ან ვერლიბზე საუბარი. ყულაბას არ აქვს დიდი დატვირთვა. მთავარია, იქ ოქრო ან ვერცხლი ჩააგდო შენ მიერ მოჭრილი. ყულაბას ეს ოქრო-ვერცხლი (ბრილიანტი თუ იქნება, კიდევ უკეთესი) მიაცემინებს ფორმას.

პოეტისთვის დრო-ჟამს არა აქვს მნიშვნელობა, რადგან პოეტს ,,დაბადებისთანავე» უჩნდება თავისი დამცველი გარსი.

,,ნიჟარაში შევიკეტე;
მშვიდობით,
ჩემო უბრალო ცხოვრებავ,
მარგალიტობას ვიწყებ...» (ჩემი ლექსია).

ამიტომ მონათმფლობელობა იქნება თუ დემოკრატიის ზენიტი, მისთვის სულ ერთია. მისი ტანჯვისა და ბედნიერების საგანი უცვლელია.

არც მის საზოგადოებრივ, სოციალურ, ოჯახურ მდგომარეობას აქვს მნიშვნელობა. მარტოა, როგორც, საზოგადოდ, ადამიანი.

მარტო ვარ, მარტო _ მღერის სიჩუმე (პოლ ვალერი).

ამიტომ პოეტი ძალიან, ყველაზე ძალიან ადამიანი თუა, მით უმეტეს, მარტოა.

პოეტს საზოგადოებრიობა, სოციალურობა და ოჯახურობა სახადივით, ბატონებივით სჭირს, ხანგრძლივად აქვს გამოყრილი, აწუხებს და ექავება (სიმღერებს უმღერის, კოჭს უგორებს, რომ მოუოხონ), მაგრამ იცის, რომ წარმავალია და ვერაფერს დააკლებს.

რა არის პოეზია (ლექსი)? _ ,,გასხივოსნება და სიზუსტე» (რილკე), მეტი არაფერი.

ვისთვის წერს პოეტი? მხოლოდ თავისნაირებისთვის იმიტომ, რომ ლექსი ეზოტერულია. თვითონაც პოეტს, მაგალითად, შიგნით გვირილა რომ არ ჰქონდეს, გგონიათ, გვირილას დაინახავდა? _ ვერა. გამოტენილია ადამიანი ყველაფრით, პოეტი, მით უმეტეს, ხოლო რაც აკლია, იმას ვერც ხედავს და ვერც დაინახავს.

ვიქნებოდი თუ არა მწერალი? ჯერჯერობით, ვერა, იმიტომ, რომ მოსწრებაზე ვარ და ლექსი ჩემთვის ზედგამოჭრილია (ლექსი ჩემთვის მისწრებაა. სულზე მომისწროო, რომ იტყვიან ხოლმე).

ამდენად, ძალიან დიდი პატივისცემით შევყურებ (და არა, ვუყურებ) მწერლებს. ისინი დროის დამმარცხებლები არიან, ამ ყველაზე გაქნილი, ძლიერი და მაცდური უსაზღვროებისა.

როდის დავიწყებ პროზის წერას? ჯერჯერობით ხაფანგში ვარ გაბმული (თუმცა ხელ-ფეხსა და ტვინს ვამოძრავებ); ზოგი ამას ოჯახსა და სამსახურს ეძახის და ველოდები განაჩენს იმისგან, ვინც დამატყვევა: ან მომკლავს, ან გამათავისუფლებს.

როგორ ვუყურებ თანამედროვე შემოქმედთ?

ვერ ვუყურებ (ამასაც დრო უნდა) მხოლოდ ვკითხულობ და ვსწავლობ მათგან, რომ არ მოვძველდე. რომ ვთქვი, ვერ ვუყურებ-მეთქი, მართალი არ არის.

შოთა იათაშვილს ვუყურებ ყოველდღე (ერთად ვმუშაობთ და იმიტომ) აი, ის არის პოეზიის განსხეულება. პოეზიის ანატომიის შესწავლისას ცოცხალ ექსპონატად გამოდგება. უნიჭიერესი, უთანამედროვესი, მრავალფეროვანი და გახსნილი პოეტია.

კიდევ ბევრი მწერალი და პოეტი მომწონს. თანაც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულები რომ არიან, ეს არის შესანიშნავი. მაგ. დავით ჩიხლაძე და დავით ქართველიშვილი.

კარგი ნაწარმოები ისაა, რომელიც აგაღელვებს და შორისდებულების პარადად გაქცევს. რაც წონასწორობიდან არ გამოგიყვანს და სტაბილურ მდგომარეობაში დაგტოვებს, ის არაა ნაწარმოები.

ბოდიშს ვიხდი, ბევრი და მძიმე ხარახურა მეყარა თავ-პირზე და მუნჯად ვიყავი. ახლა, რაკი გამომქექეთ, ავლაპარაკდი და მგონი, ნამეტანიც მომივიდა.

რატომ მაინცა და მაინც ცოცხის მონოლოგი>?

ერთი შეხედეთ, მოწესრიგებულია, ხელფეხშეკრული და მაინც ქალად და პოეტად რჩება.

<u>*ნატა ვარადა*</u>

უმსგავსის მონოლოგი

რაღაზე უნდა ვწერო?

საკუთარი თავიღა შემომრჩა ან მასზე უკეთ ვინ ვიცი. მით უმეტეს, ახალი წლის ოთხი უქმე დღე მხოლოდ, მხოლოდ ამოკეტილმა გავატარე და ეს ყველაზე ნამდვილი ახალი წელი, იძულებითი სასჯელით მოვიყვანე. აი. ასე. ამათ ეგონათ რომ ვარ, იმათ ეგონათ რომ ვათენებ თანამშრომლებთან, იმას ეგონა, რომ მარტო არ ვარ და იმას კიდევ ეგონა, რომ ფორუმელ მეგობრებთან ერთად ვილოცები სადმე შობის საყდარში.

და რატომღა წერ?

აბა, რა ვაკეთო? იცი, რა არი, როცა ხვდები, რომ შენს ნებაზე ხარ მიშვებული, რაც შენი მთელი ბავშვობიდან დღემდე, ყველგან თანმდევი სურვილია და სისხლი ჩააქციე მოგეპოვებინა ეს თავისუფლება, როცა საკუთარ თავთანაც კი მეზობელივით გრძნობ თავს და საკუთარ სახლშიც, სტუმრად გგონია თავი, გინდა ახალი რამ გამოიგონო და ამიტომაც იწყებ წერას.

მაინცდამაინც ვერლიბრი რატომ?

რა უცნაურია. აბა სხვა რა? რადგან მთელი ცხოვრებაა ვერლიბრი. ეს ოდნავ პოეტური და ოდნავ პროზაული გაელვებები. ნამდვილი და ცრუ განგაშები. ლამაზი

მეტაფორები და კადრები... გახსოვს, ის რიტუალ-წესი ოჯახის? ფოტოალბომის გარდერობიდან ჩამოღება და ნარდის გადახურვა და პიტნიანი ჩაის მომზადება და მერე ყვითელი სურათების თვალიერება რომ ერქვა?

მაინც რამდენი ძველი ფოტო იყო ბებიის ხავერდის გარეკანის ფოტოალბომში? რამდენი ერთი...

აი, მაგალითად, ეს დიდი ფოტო... ადგილ-ადგილ თუ ალაგ-ალაგ დაცხრილული, ქაღალდის უხილავი ჭიით დახვრეტილი... შენი პაპის მამა, საბა მამასახლისი ეკლესიის ეზოში თეთრდროშიან ხალხთან ერთად... ძალიან მაღალი და ბებერი ვერხვის ორი ხე... ზამთარია, როგორც ჩანს... შიშველია და ხმელი ეს ხეები და გაბარჯღული. მთელ სოფელს თავი მოუყრია. კახური შავი თექის ქუდებით და მუხლებგამობერილ წინდებში ჩატანებულ შარვლებით, ქალამანამოცმულები. მიწაზე, ეგრევე, დაუწყვიათ შოთის გრძელი პურები და ფოკუსისკენ აქვთ თავები მოღერილი... ეს ფოტოამბავი, ათი ათასი წელი რომ გავა, მერეც გემახსოვრება და სანამ შენი ერთი პატარა ლექსი, სადმე, რომელიმე დაცენტრილ (ხეხ) ლიტერატურულ პორტალზე იქნება გამოდებული, შიშველი მახასავით, მანამდე გემახსოვრება ეს ერთი პატარა, უსახური სოფლის ამბავი.

კიდევ ერთი ფოტო.

ბებია სკოლაში. ზის რაღაც ძალიან თხელი და ფარატინა. ამ ფოტოს გახსენებისას. ის, 82 წლის, ძალიან დიდი მუცლით და წელში მოხრილი, კაწაწა თმით თვალწინ მიდგება...

ის მიყვება მწვანეთვალება უჟმურ კაცზე, რომელიც, მე ვნახე ზუსტად 15 წლის შემდეგ.

ეს კაცი ბღვერიაა, მაგრამ ძალიან ლამაზი. თეთრი, ტანმორჩილია, მაგრამ ძალიან ლამაზი.

იცის, ვიცი ჩემ დას რომ გაიტყუებს ხოლმე სკოლის უკანა ეზოში, ხეებში ყოფნა უყვარს და ალერსი.

იცის, მამაჩემთან უნდა მივიტანო ენა და მიბღვერს.

მიბღვერს.

თუმცა ეს არაფერია დღეს.

რადგან, ისიც მახსოვს, ხუთნი დანი ვიყავით და ერთი ბიჭი-ძმა - არჩილა გვყავდაო. ჩემი ბრალი იყო, ეს მეხუთე პატარა გოგო, სამი წლისა, ისეთი ლამაზიო... ყველას გვჯობნიდა სილამაზითო. მე ჩამოვდგიო ადუღებული წყლიანი ვედრო ღუმლიდან. მეო. წამოვიდა ეს ბალღი ბორიალითო, ტრიალითო და ჩავარდაო. ჩემი ბრალიც არ იყოო. ღვინოში დამბალ ხმელ პურებს გვაჭმევდაო დედაჩვენი. მეც ცოტათი თავბრუ მესხმოდა და რეტიო და მიწოლილი ვიყავი ფარდაგზე და ჩამძინებოდაო. დამწვარი. დაფუფქულიო. წავიდაო.

ის ფოტოალბომი წაიღო ბიძაშვილმა. უცხო გვარ-ტომის ფუძეზე ჩათესა. წაიღეს მამიდაშვილებმა სხვა ნივთები. პაპაჩემის ოქროს მედალი, ლენინის ორდენოსანი პაპისა. კიდევ გამოართვა ჩემს უფროს დას, ბებიაჩემის დამ, თავისი ძმის წერილები. ფრონტიდან გამოგზავნილი. ჩემს დას ბებიაჩემმა თუ ბებიამისმმა აჩუქა. ეს თექვსმეტი წლის თვალებციმციმა ბიჭის ამბავია, ქერჩში რომ მსახურობდა ჯარში. დარჩა ასე. დებისთვისაც, ჩვენთვისაც. მამისთვისაც, ფოსტის შენობაში რომ მიეყინა სკამს, ომის შემდეგ 30 წლის შემდეგ. ოთხი დის ძმა. ხო. ოთხის ძმა.

სამი წლის ვარ... ახალსოფლის ტყეში, წმინდა გიორგის მიტოვებული ეკლესიაა... მხოლოდ ჩემი ბებიის გვარმა იცის იქ მისასვლელი ბილიკები... რადგან, მათი გვარის ახალგაზრდა ავადმყოფ კაცს, გადადებული რომ იწვა ბნელში... გამოეცხადა წმინდა

გიორგი და უთხრა: აგღადგენ, მაგრამ ჯერ შენ უნდა წამომაყენოო... განცვიფრდა სასიკვდილოდ განწირული, ტანზე წითელ წყლულება-ყვავილებ ამოსული კაცი... მეე? შეეენ? წმინდა გიორგი? აქა და აქ... ტყეში, უღრანში... ქვა ქვა ვიშლები და ვნადგურდები... მოდი, ამოდი... შემაკეთე... წელში გამშალე...და მეც გიშველი... წამოფრენილა შუადღისას... გასცქერიან თურმე მშობლები... გაზაფხულია... ადიდებულ ავანისხევში მთის ქვალოდებს რომ მოაცურებს... მოღრიალებს ბაყბაყდევივით. შევარდნილა ეს საპყარ-კაცი... და გასულა თურმე გაღმა... ავარდნილა ფერდობზე და ტყეში ნადირივით გაუჩინარებულა... გაჰყვა მამა, გზა ბილიკ-ბილიკ... ნახეს... გუმბათგაცლილი წმინდა გიორგის ჩუმი საყდარი...

ხო... ჩემი გვარი... ყოველ გაზაფხულს... ადიოდა და წმინდა გიორგის ქადებს დამცხვარზე სანთლებს უნთებდა... წაგვიყვანეს პირველად მე და სოფო... სოფო უშიშარია... დიდი გულადი ვინმე... ჩემი პაპა დედას ეძახის... ოო, ამ დროს ლამის არის ბოღმამ გამხეთქოს... საბედა ხარო... დედამთილი... იცინის ბაბოც. ჩემი დედაო... ჩემი მეზღაპრე... და რაღაც დაწნულ ხიდზე დაგვსხეს... გაირბინეთო... ქვევით მოშხუის ფსიხი ავანისხევი... დაბლა არ უნდა ჩავიხედოთ... გარბის სოფო... ზანზარებს თოკივით დაწნული, სიფრიფანა ხიდი... და... აი, შიშიიი... გავშეშდი... თან ერთ ადგილას ჩამტვრეულია... ვიხედები... უკვე აქაფებულ ტალღებში ვარ და... ასე შიშით მისულმა... დღეეეეეეეეეეს... დღეეეეეეეეეეს, კიკი... როგორც მამას, გავებუტე... შენს ტაძარში არ შემოვალ... არ შემოვალ... არ შემოვალ... და, დილას პორტალზე სიტყვების თოკი დამხვდა... ნუ იცქირები იქეთ... ასე ჰქვია... და ახლა, უშიშარივით გადავდივარ ამ თოკზე. და ვუბრუნდები ტაძარს, მგონია...

მე აღარაფერი გამაჩნდა.

მე შემიძლია წავიდე, რადგან ფესვები მარტო მიწა როდია.

მე ალბათ წავალ. თუმცა კონტინენტი უცვლელია. დრო კი შეიცვლება.

საბა მამასახლისის ცოლს, საბედა ერქვა. პაპაჩემის დედაა ეს საბედა. სოფოს ეუბნება პაპა, დედაჩემი ხარო. გავსკდი გულზე. რას ქვია დედაჩემი ხარო. სულ საბედააო, ეუბნება პაპასთან მოსული 90 წლის თედო. ზღაპრები უნდა მოგიყვეო სოფომ. კუზიანი კვიცის ზღაპრები. შენ ხარ ჩემი დედაოო, პირწავარდნილი საბედა ხარო.

საბედას დატოვებული მზითვის სკივრი ჩამოვათრიე ამ ზაფხულს სხვენიდან. კლიტეც ეგრევე ეკეთა და გასაღებიც. ფითილებით და თითისტარებით. ჩამოვათრიე და ვრეცხე ჭის წყლით. მიყურა მამამ სახელოსნოდან, ვწუწაობ თან. ვიცინი. ვისხამ ამ წყალს ტანზე, შიშველ ფეხებს მატიტელა ბალახს ვუსვამ. ჩხუბობს დედაჩემი. იცინის მამა. ასე გავრეცხე ეს სკივრი... ვუყვარვარ მამას როცა მიხარია. როცა ცხვირ-პირი ჩამომტირის, სახეს მარიდებს და საერთოდაც, შარმაზანასთან გადადის და ჭადრაკს ეთამაშება.

ამ სკივრში ყველაფერი რაც შემომრჩა ჩავდე. ზემოდან ძველი, თუჯის სამოვარი დავადგი, ჩემი საწოლის გვერდით. რაც გადამირჩა. აი, ღვთაების მთაში დანით მოკვეთილი თაგვისკუდას ტოტი. ორი სანთელი ჩაუმწვარი. არარსებული ბერდიას წერილები. ერთი წლის მანძილზე უწყვეტად გამოგზავნილი ცრუ სასიყვარულო ბარათები. რაც ვაპრინტერე სოფია ფონ კიუნი, სანამ წაშლიდნენ. ხავსივით კი გადაჰყვა იმ პლიუსსამებს. წაიღო ხავსივით ინტერნეტის წყალმა და ნიაღვარმა. თეთრფურცელა ლექსები. ნაბოდვარი. მონოლოგები. გამოგონილი ტკივილებით სხეული რომ ამილოკეს და შემოეჭამათ. პოეზიას მივეცი მერე ეს ხორცი. ეს გოგო.

და ახლა შემიძლია წავიდე.

ჩაწვება ქეთევანი ამ საწოლში ამოვა სუნი და მოედება ოთახს. ქეთევანი, რომელიც სოფოს საშოში ცხრა თვე გვემალებოდა. სოფო, დედაა ჩემი _ ამბობს ის. ქეთევანი კლიტეს მოარგებს გასაღებს და ახსნის თავს ამ ძველ, რკინის სკივრს. მე კი ორი საათის განსხვავებით ვიდგმები რომელიმე გაჩახჩახებულ ხიდზე.

ნაგიჟაროო, არა ხარ ნორმალურიო.

რატო გწყინდა? იყოს ერთი გიჟი რა. ვის რა უშავდება.

მადლენა მირეკავს შობას. დარეკავს. 4 ათასი ევრო. ქალაქის სახელია ვერონა. ვაა. რომეო ენდ ჯულიეტა. ძუძუზე ხელს რომ დავადებ პატარა ჯულიეტას მაშინ მივხვდები გიყვარვარ თუ არ.

გიყვარვარ თუ არ.

ამიტომ ვერლიბრი. ძაღლი თუ მეყოლება, მხოლოდ, იმიტომ, რომ ეს ამბები აღარ დავწერო... ის ჩუმად მოისმენს ამბებს და მერე გავა და ეზო-ყორეს მოედება და წკმუტუნით გაიტანს გარეთ.

წერაც ასეა.

წერა. ბედის, ამბის, შენი.

სამში, შუაღამეს ის მოვიდა და კორპუსებს შორის დამეძებდა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ვინმე ამ ქალაქის განაპირა მასივში დადიოდა და ეიი, აუუუ... სახელი მესმოდა მძინარეს და პირველად, რატომღაც მომაგონდა, რომ მან თქვა, მე მოულოდნელ დროს მოვალ და თქვენ ვერ მიცნობთ მე.

და განთიადამდე მე მას ვურჩევდი სახელს: მკურნალი. და როგორც ყოველთვის ვცდებოდი.

ახალი წლის პირველ ღამეს კი თორმეტჯერ რომ განათდა ცა. და ყველა კორპუსის ყველა აივნიდან ამოვიდა ცეცხლის ენები. და ცის ჩრდილად იქცა თეთრი მიწა, მერე ხეებმა დაიწყეს მოძრაობა. ეს არ იყო ქარი. ხეები მოძრაობდნენ...

ჩვენ მუნჯები ვართ. უხაროდათ. ცოცხლები და უენოები. უხაროდა...

<u>ირაკლი ქასრაშვილი</u>

საათის მონოლოგი

ადამიანებს ჰგონიათ, ისტორია მარტო მათ აქვთ. დასცინიან კიდეც იმათ, ვინც პრეტენზიას აცხადებს აზროვნებასა და ისტორიაზე. სხვა არავინ, ან არაფერი შეიძლება განვითარდეს, რაღაც მნიშვნელოვანი გადახდეს, კანონზომიერებას დაემორჩილოს თუ შემთხვევითობას ემსხვერპლოს. რომელიღაც ამპარტავანმა ფილოსოფოსმა ისიც კი განაცხადა, «არავის დააინტერესებს თხების ცხოვრებაზე შექმნილი ათტომეულიო». ალბათ, მართალიც იყო. პირუტყვის არსებობა ისეთივე იყო მრავალი ათასი წლის წინათ, როგორიც ახლაა და ის ბულბულიც, რომელსაც ინგლისელი კიტსი აღწერდა, ზუსტი ასლი იყო იმისა, რომელსაც მოაბიტელი რუთი უსმენდა აღთქმულ მიწაზე. თუმცა განა ასი წლის წინანდელი მანქანა ისეთივეა, რაც დღევანდელი? ან იალქნებიანი გალეონი და თანამედროვე ტანკერი ერთი და იგივეა? თუკი ევროპის ისტორია ძველი საბერძნეთიდან იღებს დასაბამს, საათის ისტორია კლეპსიდრიდან იწყება. წყლის საათიდან, რომელიც ვიღაც ბრძენმა გამოიგონა სამი ათასი წლის წინათ. ან შეიძლება უძველესი მზის საათიდან, ეგვიპტეში რომ აღმოაჩინეს. ბევრ ქვეყანას აქვს სამი ათასწლიანი ისტორია? ან თუ აქვთ, რას მიაღწიეს? შეადარეთ ძველი ეგვიპტე დღევანდელს. ალექსანდრიის ქუჩებში მანქანებით მოსეირნე ადამიანები არა მგონია აღემატებოდნენ იმავე ქალაქში ორი საუკუნის წინ მცხოვრებთ, ან რომელი

ბიბლიოთეკაა უფრო მდიდარი ალექსანდრიის ბიბლიოთეკაზე? განსხვავებას, განვითარების ილუზიას სწორედ ის ტექნიკა იძლევა, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის ქუჩებში ჩანს _ მანქანები, განათება, მეტრო, ავტობუსები, ლიფტები, ავტომატური კარები და რასაკვირველია, საათები.

სინამდვილეში ჩვენ ვქმნით იმ ცვლილებებს, რასაც ადამიანები ისტორიას უწოდებენ, თორემ ნივთების გარეშე რა არის მათი ისტორია? ომები, ღალატი, ჩაგვრა და მკველელობა, სადაც ზოგჯერ შენების და გამოგონების ამბავიც გამოერევა. არადა, რისთვის აშენებენ? იმისათვის, რომ მერე ისევ დაანგრიონ. ჩემ წინ, ეკრანზე, მსოფლიოს ამბებს როცა აჩვენებენ, სულ სროლა და ომია ან ბჭობა იმაზე, როგორ ავიცილოთ არეულობა თუ კრიზისი. თუმცა ახალ ამბებს, საბედნიეროდ, მცირე დროს უთმობენ. ძირითადად რეკლამები გადის და იქ აჩვენებენ ხოლმე განსხვავებულ საათებს და სხვადასხვა ქვეყნებსაც. მეც, რაც უფრო დიდხანს ვუყურებ, მეტს ვიგებ საათებზე და ადამიანებზეც. თუმცა ადამიანები ამ რეკლამებში სულ გაღიმებულები არიან და საათებიც არაბუნებრივად ბრჭყვიალებენ. არადა, მე ვიცნობ ადამიანებსაც და საათებსაც. უკვე ორმოცდაათი წელია, ქალაქის ცენტრალურ მოედანს გადმოვყურებ მერიის შენობიდან. ადრე ამ შენობას თბილისის საბჭო ერქვა, მაგრამ სახელი კარგა ხანია შეუცვალეს. მაშინ ჩამოაგდეს და წაიღეს აქედან ქუდიანი კაცის რკინა-ბეტონის ქანდაკებაც, მერე ყვავილები დარგეს, ახლა კი ოქროსფერი წმინდა გიორგი აღმართეს. თუმცა ადამიანებს უფრო მეტად ვაკვირდები, ვიდრე ქანდაკებებს. მაინტერესებს, მართლა იცვლებიან თუ არა ისინი, თუ მხოლოდ ტანისამოსი და სიარულის მანერა ეცვლებათ. ცვლილებას თავისი სახელიც აქვს _ დრო. ადამიანებმა, ვერაფერი რომ ვერ გაუგეს დროს, გადაწყვიტეს, ის წამებად, წუთებად, საათებად დაეყოთ. იქნებ ასე მაინც მოვაქციოთ ჩვენ გავლენაში, რამენაირად ვმართოთო, იმედი ჰქონდათ. საათიც ამიტომ გამოიგონეს. თუმცა დროს ვერც მართავ და ვერც ვერაფერს მოუხერხებ. ის თავისთვის მიედინება, ყველასთვის უცხო და შეუცნობელი. მიდის წინ და ყველა არსებას თან მიაქანებს, სადღაც უცნობ და უსაშველო მხარეში. მეც რაღა დამრჩენია, მისი სვლა უნდა გავზომო, თუკი მსურს ვიარსებო, ვიმოძრავო, აზრი ჰქონდეს ჩემს ყოფას. თუმცა მე არა ვარ დრო, მისი ნაწილიც კი არ ვარ. სინამდვილეში ჩემი მექანიზმი, მთელი ეს საკისრები, ზამბარები, მბრუნავი რგოლები საერთოდ არ არის დაკავშირებული დროსთან. თქვენ წარმოიდგინეთ, არც დიდი და პატარა ოქროსფერი ისრები, წრეზე რომ ბრუნავენ და უკვე ამდენი წელიწადი მოხაზეს ერთსა და იმავე ადგილზე. განა დრო ასე ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო? მე ისიც კი არ ვიცი, დრო წყვეტილია თუ უწყვეტი. იმ წამის მეათასედში, როცა ადგილზე ვარ გაყინული და ახალი მოძრაობისთვის ვემზადები, იქნებ დროც გაჩერებულია? სინამდვილეში დროსთან მხოლოდ ადამიანი მაკავშირებს, მისი აღქმა, რომ ჩემი ისრების ტრიალი დროის გარკვეულ მონაკვეთს განსაზღვრავს. ადამიანი ხიდია, ჩემსა და დროს შორის გადებული და ამ ხიდზე მხოლოდ პირდაპირ არის სიარული შესაძლებელი.

ჩვენ ყველანი დროსა და სივრცეში ვარსებობთ, თუმცა სივრცე რა არის, კარგად არც მესმის. ალბათ იმიტომ, რომ რაც ვარსებობ, ერთ ადგილს ვარ მიჯაჭვული, ჩემი თვალსაწიერი ქალაქის თუნდაც მთავარ, მაგრამ მაინც მოედანს ვერ სცილდება. იქნებ მეც მინდა, მაჯის საათივით ყველგან თან დავყვებოდე ადამიანებს, მათთან ერთად ვმოგზაურობდე _ სახლიდან სახლში, ქუჩიდან ქუჩაზე, ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში. მაშინ შეიძლება მივმხვდარიყავი, რა არის სივრცე. ახლა კი ყოველდღე ერთსა და იმავე სცენას ვხედავ _ მანქანები გარს უვლიან სკვერს, ადამიანები ქუჩაზე გადადიან, ავტობუსს ელოდებიან, სეირნობენ, მაგრამ უფრო ხშირად _ მიიჩქარიან, თითქოს უნდათ, დროს დაეწიონ და ეშინი ათ, არსად გაექცეთ. აბა, გამოიცანით,

რამდენჯერ დახედავს თითოეული მათგანი საათს დღის განმავლობაში? ადამიანმა როცა შემქმნა, ილუზია ჰქონდა, დროს მოათვინიერებდა, საკუთარ სამსახურში ჩააყენებდა, როგორც ძაღლსა და ცხენს, მაგრამ ამის ნაცვლად თვითონ მოექცა დროის კი არა, ჩემი _ საათის ზეგავლენის ქვეშ. საკუთარი ნებით შეიზღუდა თავისუფლება და თავისი ყოველი მოქმედება წუთებს და საათებს შეუსაბამა. მთელი მისი არსებობა ამჟამად ჩემზეა დამოკიდებული. განა იარსებებდა დღის განრიგი და დაგეგმვა _ ცნებები, რომელსაც თანამედროვე ადამიანი უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ათ მცნებას, საათის გარეშე? თუკი მე ჩამოვრჩი, ან კიდევ უფრო უარესი _ გავჩერდი, ადამიანი იბნევა, თითქოს თვითონ დრო დაკარგაო. მან აღარ იცის რა ქნას, როგორ მოიქცეს, საით წავიდეს. ის სასწრაფოდ იწყებს სხვა საათის _ ჩემი შემცვლელის ძებნას და ჩვეულებრივ, მალევე პოულობს მას. მაგრამ წარმოიდგინეთ რა მოხდება, ყველა საათმა ერთდროულად რომ შეწყვიტოს მუშაობა? ცივილიზაცია, რომლითაც ასე მოაქვს თავი ადამიანს, რამდენ დღეში შეწყვეტდა არსებობას, თავგზაარეული და აზრდაკარგული.

ადამიანისათვის ჩემი არსებობის აზრი დროის გაზომვაშია, მაგრამ თვითონ ჩემთვის _ საათისთვის? ნუთუ მხოლოდ საკუთარი ღერძის გარშემო დაუსრულებლად ბრუნვაში იმათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ვისი ყოველი მოქმედებაც ჩემზეა მობმული და დამოკიდებული? მგონია, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანისთვის ვარ მოწოდებული. მარტო მე თუ არა, ყველა საათი ერთად მაინც. ვიცი, რომ დრო ჩემს შექმნამდეც არსებობდა და ოდესმე, როცა ჩემი ისრები გაჩერდებიან, ის მაინც არ შეწყვეტს სვლას, მაგრამ სივრცისა არ იყოს, ამის წარმოდგენაც არ შემიძლია კარგად. მე დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთის გაზომვა შემიძლია, მაგრამ არაფერი ვიცი, რა იყო მანამდე და რა იქნება შემდეგ. თუმცა მხოლოდ მე არ ვარ ასეთი, ყოველი არსება და ნივთი ამასვე გრძნობს. თუკი საათს არ შეუძლია აღქმა, როგორი იყო დასაწყისი და როგორი იქნება დასასრული, ესე იგი არც არავის შეუძლია. თუმცა ნამდვილად ვიცი, რომ როცა არ იყო დრო, მაშინ არც არაფერი იყო. ნეტავ, თუ არსებობს ისეთი საათი, რომელიც დროის პირველი წამიდან ზომავს მას და მუშაობას მხოლოდ ბოლო წამის დადგომისთანავე შეწყვეტს? და საერთოდ, რას ნიშნავს _ იყო საათი? რა საერთო მაქვს მე იმ მაჯის ან ჯიბის საათებთან, გამვლელები რომ თან დაატარებენ და დროდადრო დახედავენ ხოლმე, თითქოს მე იქვე არ ვიყო და მხოლოდ თავის აწევა არაა საკმარისი ჩემს დასანახად. ან იმ ელექტროსაათთან, დიდი ეკრანის კუთხეში რომ არის გამოსახული ჩემს პირდაპირ და კუდში მომდევს? არსებობს კი ასეთი რამ საათი ზოგადად, თუკი ყველას ერთდროულად გაჩერებაც კი არ შეგვიძლია? თუმცა, რომ გავჩერდებით, დავრჩებით კი საათებად? ალბათ მთავარია, დროს ვუჩვენებდეთ _ მეტ-ნაკლებად ზუსტად.

საათი მრავალგვარია _ კედლის, მაჯის, ჯიბის, მრგვალი, ოთხკუთხედი, რომბისებრი, ოვალური, მექანიკური, ელექტრონული, წყლის, ატომური, ოქროს, ვერცხლის, პლასტმასის, ხის, რკინის. მაგრამ ის არ შეიძლება იყოს ეს ყველაფერი ერთად. ისიც ვიცი, რომ მას შემდე, რაც საათი შეიქმნა, ბრძენკაცები დაობენ იმაზე, არსებობს თუ არა საათის იდეა, საზოგადოდ საათი, თუ საათების ერთიანობა ადამიანების მოგონილია, ისევე როგორც მათი კავშირი დროსთან. თუკი ისინი ათასწლეულების განმავლობაში ვერ შეთანხმებულან, მე მით უმეტეს არ მაქვს პასუხი ამ კითხვაზე. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ თუკი არსებობს სადღაც იდეალური საათი, ალბათ ეს სწორედ ის საათია, რომელიც დროს ზომავს დასაბამიდან დასასრულამდე, ისტორიაც მისი ისრებით აითვლება, მის არსებობას ნამდვილად აქვს

აზრი და ყველა სხვა საათიც, მათ შორის მეც, მხოლოდ მისი მეტ-ნაკლებად მიმსგავსებული ასლია.

<u>მარსიანი</u>

ლომის მონოლოგი

მე უახლოესი მეგობრებიც კი არ მიცნობენ წესიერად, რადგან ჩემი ნამდვილი სახის მაგივრად ნიღაბს ხედავენ, ნიღაბს, რომელიც ბავშვობიდანვე მომარგო ცხოვრებამ და მრავალგზისი მცდელობისა და ქადილის მიუხედავად, დღემდე ვერ მოვიშორე: მუდამ მეუბნებოდნენ _ შენ ასეთი ხარ და ასეთი უნდა დარჩეო; ასეთი გვჭირდება და ასეთი გვიყვარხარო; იმას არავინ დაეძებდა, მე თუ მჭირდებოდა და თუ მიყვარდა ჩემი თავი «ასეთი» სახით: ო, ეს გაუცნობიერებელი თავკერძობა! სულ გავიძახოდი ტყვე ვარ, პატიმარი ვარ, ვინმემ ამ დილეგის კარი გამიღეთ-მეთქი (დილეგი და ნიღაბი ჩემთვის ერთიდაიგივეა), თუმცა კი მესმოდა, რომ არავინ გამიღებდა: ეს ისეთი დილეგია, თვითონ რომ უნდა გამოანგრიო, სხვების იმედი არ უნდა გქონდეს; ოღონდ ის სხვები დამატებით ურდულებს მაინც აღარ უნდა ადებდნენ იმ კარს, რომლის გაღებასაც სთხოვ...

ადამიანები მუდამ ნიღბებს აფარებენ თავს, მე კი პირიქით, ნიღბის ჩამოგლეჯას ვცდილობ: ეს ისეთი რამაა, ვერავინ რომ ვერ გაიგებს (იქნებ ვინმე ნათელღებულმა, განთავისუფლებულმა სულმა კი გაიგოს, მაგრამ სადაა? მე ბედმა არ მაღირსა, ასეთ ვინმეს შევხვედროდი).

ერთი ასეთი ტრიოლეტი მაქვს დაწერილი დიდი ხნის წინათ:

ახლაც კრავი ვარ, ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს,
ანდა ვარ ლომი _ გახვეული ტყავში კრავისა.
განმბანს ოდესმე იორდანე _ წმინდა მდინარე?
ახლაც კრავი ვარ, ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს!
და საუკუნე მიავდრდება თვალთა წინარე _
დამამხობელი აბრაამის ნათესავისა;
ახლაც კრავი ვარ, ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს,
ანდა ვარ ლომი _ გახვეული ტყავში კრავისა.

ხომ თითქოს გასაგებადაა აქ ყველაფერი ნათქვამი? მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, აღმოჩნდება, რომ ეს არავის ესმის და არც არავის აქვს სურვილი გაგებისა. რასაც ამ ლექსში ვამბობ, მხოლოდ ჩვეულებრივი, ლამაზი «პოეტური თქმა» ჰგონიათ და არა რეალობა: არც კრავად ვესახები ვინმეს და მით უფრო ვერავინ ხედავს კრავის ტყავში გახვეულ ლომს; რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იზრდება ეს ვერგაგება თუ არგაგება, სულ უფრო მარტო ვრჩები; მხოლოდ სიტყვით ვერავის ვერაფერს შეასმენ და აგრძნობინებ, სიტყვას საქმეც უნდა მოაყოლო და დანაქადები აასრულო; მაგრამ როგორ? აი თუნდაც ერთ მშვენიერ დღეს უარი რომ თქვა სხვებისადმი მსახურებაზე, რასაც შენგან მოელიან და მოითხოვენ!

ჩემი ძვირფასი კოლეგები ჩემგან ყოველთვის ელოდნენ და ითხოვდნენ თავიანთი ძვირფასი შემოქმედების აღიარებას, პოპულარიზაციას, საქებარი წერილების წერას; და ეს მოთხოვნები მეტწილ შემთხვევაში დაკმაყოფილებული იყო ჩემს მიერ. ჰოდა, აი, მომბეზრდა, ბატონო, სულ თქვენზე ზრუნვა, სულ თქვენი ხოტბა-დიდება: თქვენ ხომ ყველანი ერთიმეორეზე უარესი უმადურები და ამპარტავნები ხართ _ ქებას ყოველთვის

კუთვნილივით იღებდით და იფერებდით, მადლობის ნაცვლად კი მევე გამიდიდგულდით, მაღალ ფეხებზე დადექით, ზემოდან დახედვაც კი გამიბედეთ არაერთგზის! აბა ის თუ მოგივიდათ აზრად რომელიმეს, სიკეთე სიკეთით გადაგეხადათ? რომელი გაისარჯეთ საიმისოდ, რომ ჩემი შემოქმედება საფუძვლიანად გაგეცნოთ, გაგეაზრებინათ და კეთილი სიტყვა შეგეწიათ? (კი, ერთი _ ორი გამონაკლისიც არის, ამ მხრივ რომ მეტ-ნაკლებად რაღაც გააკეთეს ჩემთვის და მადლობელიც ვარ მათი, ვინც რამდენად იმსახურებს, ოღონდ ეს გამონაკლისები ამინდს ვერ ქმნიან ჩემდა სავალალოდ).

უცნაური ისაა, ამ ჩემგან ნაქებ-ნაფერებ ხალხს ჩემი შემოქმედებითი პრეტენზიები რომ უკვირს და აღიზიანებს: ნაცვლად იმისა, რომ დაინტერესდნენ და დააზუსტონ, რამდენად შეეფერება ეს პრეტენზიები რეალობას (იქნებ სულაც არაფერია გადაჭარბებული), პირიქით იქცევიან, სულ უფრო ნაკლებად უთმობენ ყურადღებას იმას, რაც ამ პრეტენზიების მიზეზია (ანუ ჩემი პოეზია და პროზა); და კიდევ უფრო უცნაური ისაა, ეს ხალხი ჩემგან რომ კვლავ ხოტბა-დიდებას ელის და ითხოვს! როგორც ჩანს, მხოლოდ ამ ამპლუას _ მათი ძვირფასი შემოქმედების მეხოტბეობას _ თვლიან ჩემს ნამდვილ საქმედ, ეს ჰგონიათ ჩემი მოვალეობა, ჩემი დანიშნულება და ჩემი არსებობის გამართლება!

ჰოდა ასეთებს სანამ ფაქტის წინაშე არ დააყენებ, არაფერი შეიცვლება!

საკმარისია, ბატონო ჩემო, ამიერიდან ჩემგან ვეღარაფერს მიიღებთ, თუ შესაფერი ანაზღაურება არ იქნება; ოღონდ საზღაურის რაგვარობასა და სიდიდე-რაოდენობას მე თვითონ განვსაზღვრავ და არა თქვენ: გსურთ კარგი კრიტიკული წერილები დაგიწეროთ, ან სხვა მხრივ წაგაშველოთ ხელი? _ კეთილი ინებეთ და სანაცვლოდ თვითონაც გაისარჯეთ ჩემთვის _ ზოგმა სათანადო (ჩემგან დადგენილი) თანხა გადაიხადეთ, ზოგმა ჩემს შემოქმედებაზე წერეთ წერილები და შემოქმედებითი საღამოებიც მომიწყვეთ (ოღონდ ისეთი, მე რომ მაწყობს), ზოგმა ყოფითი პრობლემები მომიგვარეთ... ლამაზ ქალბატონებს უფრო მსუბუქი (და ალბათ მათთვისაც სასიამოვნო) გარჯა მოუწევთ...

ხოლო თუ აღარ გჭირდებათ ჩემი სამსახური, მთლად უკეთესი: არც მე მჭირდებით არაფერში, თვითონვე მივხედავ ჩემს თავს; ყველას ია და ვარდი გფენიათ თქვენს გზაზე!

ნიცშესებურად რომ ვთქვა, მომბეზრდა სულ «აქლემის სტადიაში» ყოფნა და «ლომის სტადიაში» გადასვლას ვეპირები; «აქლემის» დევიზია «მე უნდა...» ლომისა კი _ «მე მინდა!» «აქლემი» მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული მსახურია, «ლომი» _ თავნება ეგოცენტრიკოსი, რომელიც ყველაფერს ანგრევს, რაც სურვილის ასრულებაში ხელს უშლის; ჭეშმარიტმა ინდივიდუალობამ ეს ორი სტადია უნდა განვლოს, რათა მესამე, დამაგვირგვინებელ, «ბავშვის სტადიას» მიაღწიოს, ბავშვისა, რომელიც უზრუნველად, კენჭებით თამაშობს მარადისობის სანაპიროზე...

მეტისმეტად გამიგრძელდა პირველ სტადიაზე ყოფნა და მეტისმეტადაც დამღალა მოვალეობებმა, მუდამ ყველასთვის ანგარიშის გაწევამ, თვინიერად მსახურებამ. კმარა. მეც მინდა თუნდაც სიცოცხლის მიწურულს ცოტახნით მაინც ვიყო ლაღი და თავისუფალი, მხოლოდ ის ვაკეთო, რაც მე მინდა და არა ის, რაც სხვებს უნდათ.

თქვენ, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, რასაკვირველია, ხელს არ შემიწყობთ ამ სურვილის აღსრულებაში, პირიქით, შეძლებისდაგვარად შეეცდებით დამაბრკოლოთ, რათა «გემრიელი ლუკმა» (ანუ მორჩილი მსახური) ხელიდან არ წაგივიდეთ, მაგრამ, რაგინდ ეცადოთ, ვეღარ შემაჩერებთ, მე მაინც ჩემსას ვიქმ და თუ უფლის ნებაც იქნება, განვთავისუფლდები კიდეც ამ ჩემი წყეული ნიღაბ-დილეგისაგან...

აქამდე ასე იყო: თქვენ არ გეცალათ ჩემთვის, უფრო «მნიშვნელოვანი» საქმეებით იყავით დაკავებული; ჰოდა, ახლა მეც აღარ მცალია თქვენთვის, მეცა მაქვს ჩემი საქმეები (სხვათაშორის, არავისაზე ნაკლებმნიშვნელოვანი); თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის, ასე აჯობებს.

შეგიძლიათ, ამიერიდან თქვენი ძვირფასი წიგნების ჩუქებითაც თავი აღარ შეიწუხოთ _ სულერთია, მაინც არ წავიკითხავ, აღარ მაინტერესებს; თქვენ ხომ აქამდე დაჯერებით გეგონათ, რომ მე უნდა გაქებდეთ და გადიდებდეთ, მე კიდევ, პირიქით მგონია _ თქვენ უფრო გმართებთ ჩემი განდიდება; და იმასაც დავძენდი _ მომავალში ბევრს გაუკვირდება, მე რომ ამდენ დროსა და ენერგიას ვხარჯავდი თქვენზე, მაშინ, როცა თქვენ ჩემთვის თითს თითზე არ აკარებდით: ვინ ვისი გულისთვის ცდებოდაო! _ გაოცებულნი გადააქნევენ თავს მომავლის ლიტერატორები, როცა ბევრი თქვენგანის არცთუ საკაცობრიო მნიშვნელობის შემოქმედებაზე ჩემს მიერ დაწერილ საქებარ წერილებს წაიკითხავენ! და თქვენი სიბრმავეც გაუკვირდებათ, თქვენს გემოვნებასა და კეთილსინდისიერებასაც დიდ კითხვის ნიშანს დაუსვამენ: მე გვერდით გყავდით, სულითა და გულით გემსახურებოდით, თქვენ კი ჩირადაც არ მაგდებდით და რომელიღაც ცრუ კერპებს ეთაყვანებოდით!

წლების წინათაც მქონდა მსგავსი მიმართვები კოლეგებისადმი, მაგრამ რატომღაც ყველას სათითაოდ ეგონა, რომ ეს ეხებოდა მხოლოდ სხვებს და არა პირადად მათ.

ამჯერად ვეღარავინ «დაიძვრენს» თავს: ეს ყველას გეხებათ _ ახლობლებსაც, შორებლებსაც, ნაცნობებსაც, უცნობებსაც, მეგობრებსაც, არამეგობრებსაც _ ყველას, ვინც ამ ჩემდამი მტრულად განწყობილი სამყაროს ნაწილია, მისი სისხლი და ხორცია, მისი უკუღმართი დინამიკისა და რიტმის შექმნაში წილდადებულია: რა თქმა უნდა, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, მაგრამ **ყველას გეხებათ**: თითო ქვა ყველას გაქვთ ჩემთვის ნასროლი!

8-9. II. 2009

<u>გიორგი ბუნდოვანი</u>

«გრანელისტის» მონოლოგი

ეს იყო 80-იანი წლების პირველი ნახევარი, როდესაც ზურა რთველიაშვილი მოვარდა უცბად ჩემთან გაგიჟებული, აფორიაქებული და მითხრა: ეს რა ავტორი აღმოვაჩინეო, ეს რა წიგნი წავიკითხეო. მაძლევს წიგნს. მე აზრზე არ ვარ, ვინ არის ტერენტი გრანელი... გადავშალე, გადავშალე და დ|ღემდე გადაშლილი მიდევს ეს წიგნი. ეს იყო აბსოლუტური შოკი. ზურა დაშოკილი მოვიდა და წაკითხვისას მეც დავიშოკე. შემდეგ ზურა ძალიან მალე წაიყვანეს ჯარში და მე გადავწყვიტე, რომ ტერენტი გრანელის საფლავი მომეძებნა. მოვძებნე მისი საფლავი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, რომელიც ნაგვით იყო დაფარული. ზურა აქ არ იყო ფიზიკურად, თორემ რა თქმა უნდა გვერდში ამომიდგებოდა. ამის მერე მე დაახლოებით 6 წლის განმავლობაში საფლავს ვპატრონობდი, დავდიოდი იქ რეგულარულად, ღამეებიც გამითენებია. ძალიან ბევრი ლექსი მაქვს დაწერილი ტერენტიზე. პოეტური კრებული «ანტიყოფის მანიფესტი», რომელიც ამ ბოლო დროს გამოვეცი იხსნება ორი ლექსით, რომელიც ტერენტი გრანელზეა და იმ პერიოდშია დაწერილი.

1987 წელს, მწერალთა კავშირის გაზეთ «ლიტერატურულ საქართველოში» დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაცხადებული იყო, რომ ტერენტი გრანელის ნეშტი

უნდა გადაასვენონ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში და ეს კეთდება ხალხის დიდი მოთხოვნით, ვითომდა ვეღარ აკავებენ ხალხს და ამიტომაც მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

მწერალთა კავშირის ამ განზრახვამ ჩემში დიდი პროტესტი გამოიწვია. მიმაჩნდა, რომ, თუ ტერენტი გრანელის სადმე გადასვენება უნდოდათ, უნდა გადაესვენებინათ გალაკტიონ ტაბიძის გვერდით მთაწმინდაზე და არა დიდუბის პანთეონში. ტერენტი გრანელი ნამდვილად იმსახურებს მთაწმინდაზე გადასვენებას.

დიდი ხანი მარტო არ დავრჩენილვარ. გვერდში დამიდგა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა და დავიწყეთ მორიგეობა ტერენტი გრანელის საფლავზე, დილიდან ღამემდე.

ტერენტი გრანელის ნეშტი ერთხელ ამოთხარეს კიდეც საფლავიდან, თუმცა მივუსწარით და ნიჩბებით უკან დავაყარეთ მიწა (ვიცი რომ არაქრისტიანული საქციელი იყო, მაგრამ, სხვა გზა არ გვქონდა), დავრჩით ღამის პირველ საათამდე და მერე დავიშალეთ. მეორე დილით, 7 საათზე რომ მივედით, ნეშტი რამდენიმე წუთის ამოთხრილი და წაღებული დაგვხვდა. მესაფლავემ გვითხრა: აი ახლა წაიღესო. გავვარდით დიდუბის პანთეონში, მაგრამ საფლავში ჩასვენებას ვეღარ მივუსწარით, მესაფლავე მიწის მიყრას ამთავრებდა. სხვათა შორის, მანამდე, ცენტრალურ კომიტეტში, გურამ ენუქიძისა და კულტურის განყოფილების სახელზე, თვითონ მწერალთა კავშირის სახელზე ვწერდით წერილებს, რომლებშიც ვამბობდით, რომ _ «კაცი, რომელიც ცხოვრებაში არ მოასვენეს და ფაქტობრივად გააგიჟეს, საფლავში მაინც დააყენეთ. და თუ არ აყენებთ, მთაწმინდაზე მაინც გადაასვენეთ». ყველანაირ ინსტანციას მივმართეთ, მაგრამ რა თქმა უნდა ყოველგვარი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. სულ იმით აპელირებდნენ, რომ ეს იყო ხალხის ურყევი ნება და ამას ხალხი ითხოვს... ვინ ითხოვს?! საერთოდ არავინ აზრზე არ იყო რომ ტერენტი პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა დასაფლავებული. ერთეული შემოქმედი ადამიანების გარდა, რომლებიც მისი პოეზიით იყვნენ დაინტერესებულნი! ნაგავი ეყარა საფლავს!

ასე რომ, დღესდღეობით ტერენტი გრანელი არის დასაფლავებული დიდუბის პანთეონში. პეტრე-პავლეს სასაფლაო თითქოს დახურული სასაფლაოა, მაგრამ ვინმე თუა დასაფლავებული და გვერდზე თუ არის თავისუფალი ადგილი, როგორც ყველგან ხდება, ნათესავები ამ ადგილს ყიდულობენ და ვიღაცას ასაფლავებენ. ასე რომ არ მომხდარიყო 1992 წელს (მაშინ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდი), ინსტიტუტში დავდგი ყულაბა, რომელსაც დავაწერე «ტერენტი გრანელის ნასაფლავარის გადასარჩენი ფონდი», სტუდენტები, ვის რამდენიც შეეძლო, მასში თანხას ყრიდნენ, გახსნისას ფული არასაკმარისი აღმოჩნდა და ნახევარი მე დავამატე... იმდროინდელი 600 რუსული მანეთი, ლენინის თავიანი ფულები, დიდი ფული იყო. ამ ფულით მარმარილოს დიდი მემორიალური ქვა გავაკეთე და საფლავზე დავდგი. დღესდღეობით ეს საფლავი არის შენარჩუნებული ჩემს მიერ და მე ამას არ ვიჩემებ, უბრალოდ ეს არის რეალური ფაქტი. ვიძახი, თუკი რამე გამიკეთებია მნიშვნელოვანი, ეს არის, რომ ტერენტი გრანელის საფლავი გადავარჩინე! ამას მე ყოველთვის ვამბობდი და ყოველთვის ვიტყვი! იმიტომ რომ სხვა არაფერი არ გამიკეთებია, ეს ერთი რამე გავაკეთე და ესეც არა ვთქვა? უნდა ვთქვა, იმიტომ, რომ ნასაფლავარი გაიყიდებოდა და ჩვეულებრივ ადამიანს დაასაფლავებდნენ. დღემდე ეს ქვა იცავს ამ საფლავს. თუკი დიდუბეში არის ვაჟა ფშაველას ყოფილი საფლავი, რატომ არ უნდა იყოს ტერენტი გრანელის ნასაფლავარი, სადაც 53 წლის განმავლობაში ესვენა დიდი პოეტი?!

ტერენტის დაბადების 90 წლისთავს დაუკავშირეს ეს გადასვენება, წალენჯიხაში, იმ წელს ტერენტის სახლ-მუზეუმი და მისი სახელობის ქუჩა გაიხსნა, თბილისიდან

მატარებლის მთელი «სასტავი» გავიდა ამღონისძიებებზე დასასწრებად. ჩვენც მიგვიწვიეს ცნობილ მწერლებთან და პოეტებთან ერთად. ფრიად უცნაური რამ იყო, მანამდე თითქოს ვეწინააღმდეგებოდით ხელისუფლებას, მწერალთა კავშირს და წინააღმდეგი ვიყავით გადასვენების, თავიდან წასვლასაც არ ვაპირებდით, ბოლოს მაინც გადავწყვიტეთ, რატომ არ უნდა წავსულიყავით?! მართლა ბევრი ადამიანი წამოვიდა... რა თქმა უნდა, ლერი ალიმონაკი! ბატონ ლერის ყოველთვის მხარში ვედექით. დიდი მეგობარი იყო ჩვენი და დღემდეც ასეა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში იშვიათად ვხვდებით. სულ ერთად ვიყავით ის პერიოდი და ძალიან მადლიერი იყო ჩვენი, იმიტომ რომ ტერენტის ასეთი ქომაგობა გავუწიეთ. ახლა იმ ახალგაზრდებიდან ბევრთან აღარა მაქვს ურთიერთობა, ზოგი უცხოეთშია, ზოგი სად არის, ზოგი სად. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხალხმა, რომელიც მაშინ გვერდში ამომიდგა მე. შემიძლია დავასახელო ჟურნალისტი ზვიად ქორიძე, ტელევიზორში ხშირად არის. კიდევ? რა ვიცი, ბევრი... ბატონი იოსებ ჩახნაშვილი და სხვები.

ერთ ფაქტსაც ვიტყვი, როდესაც ტერენტი გადაასვენეს, ის ქვა, რომელიც მისი დის, ზოზიას გაკეთებული იყო, და ორი ნაწილისგან შედგებოდა, ტერენტი გრანელის დიდუბეში გადასვენების შემდეგ გადაჭრეს. ქვედა ნაწილი, სადაც ეწერა წლები და «არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა», წაიღეს წალენჯიხაში და სახლ-მუზეუმის ეზოში დადეს, როგორც მემორიალი. ზედა ნაწილი იქვე დარჩა. ეს ნაწილი დიდი ხანი იდო ნასაფლავარზე... წლების განმავლობაში იშლებოდა, მივდიოდი, ცემენტით რაღაცნაირად ვასწორებდი ჩამონაშალს, რომელშიც ადრე სურათი იყო. მერე გიზო და მამანტი როგავებმა (ესენი არიან ზოზიას შვილიშვილები) მარმარილოთი დიდი საფლავის ქვა გააკეთეს სასაფლაოზე დასადგმელად, ძველი სურათი, ის ცნობილი სურათი, რომელზეც ტერენტი პროფილშია გამოსახული ამოიღეს ამ ზედა ნაწილიდან, წაიღეს და იქ, დიდუბეში ჩასვეს. ამიტომ მე წავედი, იგივენაირი ოვალური სურათი შევუკვეთე, დავაბრუნე ეს სურათი იმ ქვაში და სახლში წამოვიღე. სახლში მედო ეს საფლავის ქვა მთელი 10 წელი. ტერენტის ყველა თარიღს აღვუნიშნავდი, სანთელს ვუნთებდი, ჭიქა ღვინოს ვუდგამდი. როდესაც ჩემი პირველი ცოლი ამ ოთახში შემოვიდა, გაგიჟდა: «სადაც ჩვენ ვწევართ, იქ საფლავის ქვას რა უნდაო». საფლავის ქვა «გარაჟში» გავიტანე; მერე ის სახლი გავყიდეთ და საცხოვრებლად სხვა სახლში გადავედით. სახლის ახალმა მეპატრონეებმა «გარაჟს» ვერ მიხედეს და დაინგრა. ის საფლავის ქვა ახლაც «გარა|ჟის იამაშია» ჩარჩენილი ალბათ.... ერთსაც დავძენ, ტერენტი გრანელი არის, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი ფიგურა მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ტერენტი გრანელი არის ერთადერთი მისტიკოსი პოეტი, ეს წოდება მას აბსოლუტურად დამსახურებულად მიენიჭა და ტერენტი გრანელს უნდა იცნობდეთ ძალიან ახლოს, უნდა შეიგრძნობდე მთელი შენი კანით, როდესაც მის ლექსებს კითხულობ, უნდა გბურძგლავდეს, რომ მიხვდე, ტერენტი გრანელი პესიმისტი არ არის, პირიქით, ოპტიმისტია. ტერენტი გრანელს, როდესაც სტრიქონებს მიღმა წაიკითხავ, მიხვდები, რომ თავის შემოქმედებაში სულ კი არ ტირის, არამედ ქართულ პოეზიაში დიდი შუქი შემოაქვს!

შემიძლია ერთი მისტიკური ისტორიაც მოვყვე. ამას მე წლების განმავლობაში არავის ვუყვებოდი. კლარა ცეტკინის ქუჩაზე, ბინა, რომელშიც ოთხმოცდაერთი წლიდან მგონი 2003-04 წლამდე ვცხოვრობდით, აწ გარდაცვლილ აკადემიკოსს ოთარ ეგაძეს ეკუთვნოდა. ბატონი ოთარი ძალიან ცნობილი პიროვნება იყო, კოლორიტი ქალაქის. ვიცოდით რომ ადრე, ეს ბინა ბატონ ოთარს ეკუთვნოდა, მაგრამ ეს ბინა ჩვენ მისგან არ გვიყიდია. ერთხელაც, მე სახლში არა ვარ, მეგობართან ვარ, ვქეიფობ, დედა

მირეკავს ტელეფონზე და მეუბნება: «შვილო, დაჯექი ახლა სკამზე, ისე, რომ არ გადაყირავდე, რაღაც უნდა გითხრა: კარებზე ზარია, ვაღებ კარებს და ვხედავ კარებთან ოთარ ეგაძე დგას. ვინ ვერ იცნობდა ოთარ ეგაძეს, მე რომ ვერ მეცნო, მობრძანდით, ბატონო ოთარ, ვუთხარი. «მე, ქალბატონო, აქ ვცხოვრობდი» _ ბრძანა ბატონმა ოთარმა. ვიცი, უთხრა დედაჩემმა და შემოიპატიჟა. «ჩემი ნამოსახლარი მინდა მოვინახულოო»_ გააგრძელა ბატონმა ოთარმა. ასეთი სურვილი მეც გამჩენია ამ სახლის მიმართ, ათი ბინა მაქვს გამოცვლილი და რომ ჩავივლი, ხანდახან შევალ ხოლმე, მეც ნოსტალგიურად ვუყურებ ხოლმე ჩემს ყოფილ სახლს. შემოსულა და დაუთვალიერებია ოთახები, აქ «სპალნა» მქონდაო, აქეთ ესა, ისაო და ჩემს ოთახშიც შემოსულა (ამ დროს ჯერ ცოლი არ მყავდა) და ხედავს, საფლავის ქვა დევს, რომლის გვერდით ჭიქა ღვინო და შავი პური აწყვია. ქვის ზემოთ კედელზე მთელი გალერეა ტერენტის, ვისაც კი დაუხატავს ტერენტი გრანელი, ვისაც კი რამე ფოტო გადაუღია, მისი მშობლების ფოტოები, შემდეგ ვისთანაც სახლში განათლდა ტერენტი გრანელი, წალენჯიხაში დიდი ბიბლიოთეკა რომ ჰქონდათ სახლში ცოლ-ქმარ შანავებს, იმათი ფოტოები, თვითონ ლერი ალიმონაკის და რა ვიცი, ყველაფერი, რაც კი ტერენტი გრანელს ეხებოდა. ნახა კაცმა ეს ყველაფერი და ერთ ადგილზე გაქვავდა. ცოტა გონს რომ მოვიდა, იკითხა: ეს ვინ გააკეთაო? დედაჩემმა მოკლედ მოუყვა ჩემი ისტორია. ოთარ ეგაძემ დედას ასეთი ამბავი უამბო (ახლაც მაკანკალებს რომ ვიხსენებ): ბატონი ოთარის და როიალზე ხშირად შოპენს უკრავდა (ეს როიალი ჩვენს საძინებელ ოთახში იყო და მისი ფანჯრები კლარა ცეტკინის ქუჩაზე გადიოდაო), რუსულ ეკლესიაში, რომელიც ჩემს სახლთან ახლოსაა, ძალიან ხშირად დადიოდა ტერენტი გრანელი. ახლოს ცხოვრობდა... სხვათა შორის, ახლახანს გახსნეს მემორიალური დაფა წარწერით: ამ სახლში ცხოვრობდა ტერენტი გრანელიო და მე არ ვიცოდი. ეს სახლი რუსული ეკლესიიდან არც თუ ისე შორსაა, ქუჩის სახელი არ მახსოვს... ყოველდღე «მარშრუტკით» ჩავუვლი ამ სახლს და ვხედავ ამ მემორიალურ დაფას.

«...დადიოდა ამ ეკლესიაში ტერენტი გრანელი, გავლისას ჩერდებოდა ჩემი სახლის ფანჯრის ქვეშ და უსმენდა შოპენს (მის ერთ-ერთ ლექსში არის ასახული ეს ამბავი). მე გავიდოდიო, ვეხვეწებოდი, შემობრძანდით ბატონო ტერენტი. როგორ გვინდოდა რომ შემოსულიყო, მაგრამ არც ერთხელ არ შემოსულა. ერთხელაც, როცა ფანჯარასთან იდგა და ჩემ დას უსმენდა, მასთან მივედი, ხელში იები ეჭირა, ისევე ეცვა, როგორც ყოველთვის, ჭუჭყიანი თეთრი პერანგი, ფაქტობრივად «ბომჟივით» გამოიყურებოდა და ხალხი უფრთხოდა. «მითხრა, საუბარი გააგრძელა ბატონმა ოთარმა, _ «არ არის აუცილებელი, მოვა დრო როცა მე ამ სახლში სხვანაირად გამიგებენ და დამაფასებენო. ასე თქვა და წავიდა».

თქვა და წავიდა ბატონი ოთარიც (ამაზე არასოდეს ვლაპარაკობდი, და ეს ამბავი შეიძლება ოთარ ეგაძის ოჯახმაც არ იცის). დედამ ეს ამბავი ტელეფონით მომიყვა. თხრობა დაამთავრა და მე მართლაც კინაღამ გადმოვვარდი სკამიდან.

ერთსაც გეტყვით: მე ვიცნობდი ადამიანს, რომელსაც ტერენტი გრანელმა ქუჩაში წაუკითხა «გაზაფხულის საღამოა მშვიდი» და უთხრა: «გოგონა მე თქვენ გიძღვნით ამ ლექსს». ის ქალბატონი რამდენიმე წელიწადია გარდაიცვალა. ქალბატონი, ნინა ზახარევნა ხიდირბეგიშვილი, დედობილი და გამზრდელი იყო გურამ ლებანიძის _ ძალიან ცნობილი პიროვნებაა, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე. ერთხელ ნინა ზახარევნასთან ვიყავი და თვითონ მომიყვა, რომ ახლანდელ 23-სკოლაში სწავლობდა და მის სანახავად ხშირად მოდიოდა ტერენტი გრანელი (ქალბატონი ნინა ძალიან ლამაზი გოგო ყოფილა), ერთხელაც გაუჩერებია და მიუძღვნია პოეტური შედევრი «გაზაფხულის საღამოა მშვიდი».

მე ისე დავამთავრე სკოლა _ ამ გრანდიოზული პოეტის შესახებ არაფერი ვიცოდი. მისი ლექსები სასკოლო სახელმძღვანელოებში არ იყო შეტანილი. ეს უდიდესი დანაშაული და უსამართლობა იყო. რაც ახლა, წლების შემდეგ გამოსწორდა.

ტერენტი გრანელი მარად ცოცხალი, მარად მნათი სხივია ქართული პოეზიისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობისა, ზოგადად.

ბელა ჩეკურიშვილი

სიტყვების ჩარჩის მონოლოგი

ხომ შეიძლებოდა ვყოფილიყავი მებაღე, ან მებადური, მკერავიც შეიძლებოდა გავმხდარიყავი ბოლოს და ბოლოს, ანდა ქსლის ბეჭვა მესწავლა. ოღონდ არამც და არამც ბუღალტერი! თანამედროვე ბუღალტერია წარმოუდგენელია კომპიუტერული ოპერაციების გარეშე, მე კი სწორედ კომპიუტერისგან გაქცევაზე ვლაპარაკობ ახლა, კომპიუტერისგან და სიტყვებისგან! (სიტყვა ხომ ღმერთია და ღმერთთან ყოველწამიერი შეხებით კი შეიძლება გონება სრულიად დაგებინდოს და წარწყმდე!)

რა ბედნიერება იქნებოდა, მეპურე ვყოფილიყავი, ან კონდიტერი, ან სულაც მღებავი, ოღონდ არა ჟურნალისტი!

მაშინ როცა ჩვეულებრივი ადამიანები ძილის წინ გასართობ სერიალებს უყურებენ, უფრო ჩვეულებრივები ინტერნეტიდან გადმოწერილ ფილმებს მისჩერებიან, ხოლო კიდევ უფრო ჩვეულებრივები სხვადასხვა შინაარსისა და ფუნქციის ფორუმებზე აფრქვევენ ემოციებს, მე მორიგ სტატიას ვწერ ერთ-ერთი მცირედანაზღაურებადი გაზეთისთვის, გამოცარიელებული მივჩერებივარ მონიტორს და კლავიატურაზე საკუთარი თითების კაკუნის გარდა სამყაროს ყველა ხმა დახშული მაქვს.

მაშინ როცა ნორმალური ადამიანები საბანში ოცნებანარევი მთქნარებით ეხვევიან, კიდევ უფრო ნორმალურები კი საბანთან ერთად თავიანთ ცოლებს, ქმრებს, გერლ თუ ბოიფრენდებსაც ეხვევიან, მე ემბრიონის პოზაში მოკეცილი მომავალი სტატიის სათაურზე ან ქვესათაურზე ვფიქრობ, შესავალს ვაყალიბებ ან ინტერვიუს კითხვარს ვგეგმავ...

ხანდახან, როცა უბრალოდ ცუდად ვარ (და არა ძალიან ცუდად) და ამ დროს საზოგადოებრივ ტრანსპორტში სკამს ვიპოვი, ჩემს ტვინში რაღაც არასტანდარტული სიტყვები იწყებენ წრიალს, მერე ერთ ხაზზე ლაგდებიან, შუბლზე გადმოდიან და თვალებისკენ მოცოცავენ. მაშინ ვხსნი ჩემს ეკონომიკურ-კულტურულ-საგანმანათლებლო ამბებით გაძეძგილ რვეულს და რომელიმე თავისუფალ გვერდზე, ანდა სულაც ყდის შიდა, თეთრ მხარეს ამ სიმივით გაჭიმული სიტყვების გადმოტანას ვიწყებ. სახლში მისული კი ვამჩნევ, რომ ლექსის მსგავსი რაღაც დამიწერია და რამდენიმე მეგობრის აზრსაც რომ გავიგებ, სასწრაფოდ ლიტერატურული საიტისკენ მივაქანებ, რომ სადმე არ მიმეკარგოს, ჩემს უთვალავ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ-კულტურულ-საგანმანათლებლო სტატიების ფაილებში არ შემერიოს.

ეს როცა ცუდად ვარ, თორემ როცა ძალიან ცუდად ვარ და საზოგადოებრივი ტრანსპორტიც ისეა გადატენილი, რომ სკამი კი არა, ცალ ფეხზე მდგარს «ყიყლიყოს» დაძახება მინდება, ჩემი ტვინიდან გამომავალი აზრები რაღაცნაირად წებოვანნი ხდებიან, ღრუბლის ფორმას იძენენ და თვალებზე ჩამოცცებულები სამყაროში არსებულ ფერებს მზის შუქს უკარგავენ, ასეთ დროს ჩემს გარშემო ადამიანები საცეცებიან მწერებს ემსგავსებიან, რუხი ზურგებით და უფერული ულვაშებით.

სიტყვები, ეს პატარა ღმერთები თუ ღმერთის შვილობილები, იმისთვის არიან მოვლენილნი, რომ ადამიანებს ემსახურონ, 3 ათას ენაზე მოლაპარაკე დედამიწელს კომუნიკაციაში დაეხმარონ, სიყვარული აჩუქონ და ნუგეში სცენ! _ ასე ფიქრობს ამ 3 ათას ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა 99% და უფალს ადიდებს!

ჟურნალისტები კი ფიქრობენ, რომ სიტყვები, ეს პატარა ღმერთები თუ ღმერთის შვილობილები, იმისთვის არიან შექმნილნი, რომ მათ ლუკმა-პურის მოძიებაში დაეხმარონ. და ჟურნალისტზე უფრო ხელშესახებად მათ ღვთაებრიობას ალბათ არც არავინ განიცდის.

არის დღეები, როცა ძალიან მტკივა ზურგი, მაჯები, თითები, მონიტორზე რამდენიმესაათიანი ყურებისგან თვალებში ყვითელი ხაზები იკლაკნებიან და მოკლე ჩართვებს აკეთებენ, მე მაინც ბედნიერი ვარ, რადგან რომელიღაც მცირედანაზღაურებადი გამოცემისთვის ეკონომიკურ-კულტურულ-საგანმანათლებლო თემატიკის სტატია უკვე გადავგზავნე და შემიძლია თავისუფლების წუთებით დავტკბე.

ჰოიიი, ჯერ არტგალერეებს ჩამოვუვლი, მერე კინოსაიტებს გადავსინჯავ, ერთდროულად რამდენიმე ფილმს მივცემ download-ზე (როგორმე, რომელიმე მშვენიერი და დაუვიწყარი დღის იმედით, როცა მათი ნახვის ბედნიერება მომეცემა), მერე ლიტერატურულ პორტალს ჩავუქროლებ, ერთ-ორ პლუს-მინუსსაც შევაფრთხიალებ და ფორუმზე, წუწუნების თემაში რამდენიმე გულსაკლავ წინადადებასაც რომ დავტოვებ, ღრმად ამოვისუნთქავ და გლეხი კაცისა და ქილა ერბოს არაკში შევდივარ. ისე კი არა, სასკოლო სახელმძღვანელოში რომ გადაგვარბენინეს, მე სულ ღობე-ღობე და ეზო-ეზო მივდივარ და ჯერ წიწილებს მამლებად ვაქცეეეევ, მერე მოზვრებს ხარებაااად...

ბესო ხვედელიძე თავის დაუმთავრებელ მოთხრობებს გასათხოვარ ქალიშვილებს ეძახის და ერთი სული აქვს ხოლმე, გაამზითვოს და პატრონს ჩააბაროს. მე ბესოსავით დარისპანის როლს ვერ ვითავისებ, უფრო კომბლე შემეფერება, ვთლი და ჭერში ვაწყობ და ვინაიდან არც ცხვრები მყავს და არც მწყემსი ვარ, ამ სახელდახელოდ გამოჩორკნილებს ქვევით ჩამოტანა არც არასდროს უწერიათ.

ზაზა თვარაძე წერდა თურმე თავის დღიურში _, იმიტომ ვწერ, რომ მეშინია, არ გავქრეო.

მე იმიტომ ვწერ, რომ გავქრე. ეს ვიცი და შეგუებული ვარ, ვინაიდან ჩემი ჟურნალისტური სტატიები არავის არასდროს არაფერში სჭირდება, არც არასდროს დასჭირვებია და არც მომავალში დასჭირდება. ბუნებაში ისინი მხოლოდ იმ დღეს არსებობენ, როცა გაზეთი გამოდის. მე მაინც ვწერ, ისევე როგორც ასობით ჩემი კოლეგა საშუალო დონის ჟურნალისტი და ამ სტატიებს თან მიჰყვება სწორედ ის სიტყვები, რომლებიც ასევე ჩემნაირებს გაქრობისგან იცავენ და უკვდავებას ანიჭებენ _ ის სიტყვები, რითაც დავწერე «მამას», «სალომეა», «ცერცვისა და კედლის ამბავი», «ღია ბარათები»...

მაგრამ ასეთი სიტყვები ძალიან ცოტა მაქვს მას შემდეგ, რაც ისინი ეკონომიკურ-კულტურულ-საგანმანათლებლო სტატიებში უნდა გავფანტო ყოველდღიურად და კაპიკებად და კაპიკნახევრებად უნდა გავყიდო, ძალაგამოცლილნი, გაბახებული ქალებივით უმწეოდ ხუჭავენ თვალებს და ოქროს ქოშებით მისულს ხელის კვრით მიშორებენ. ვიდრე მე ჩარჩი ვიქნები, ჩვენი ნიშნობა არ შედგება...

გიორგი კეკელიძე

პოეტის მონოლოგი

მე ვფიქრობ, რომ XXI საუკუნის საქართველოში პოეტის ფიზიკური გადარჩენის (ჰიპერბოლა არ გეგონოთ) ერთადერთი გზა მისი (როგორც კონკრეტული პიროვნების, ასევე ცნების) დესაკრალიზაციაა.

პროცესი ორმხრივი უნდა იყოს _ საზოგადოება უნდა შეეგუოს, რომ პოეტი ჩვეულებრივი მოქალაქეა, ტიპური სოციალური ცხოველი, რომელსაც შეუძლია გარდა თავისი ძირითადი მოწოდებისა, ჰქონდეს განსხვავებული პროფესიაც (იყოს თუნდაც მღებავი ან უარეს შემთხვევაში, პოლიტიკოსი), ან ლიტერატურასთან შედარებით მჭიდროდ დაკავშირებული საქმით _ ვთქვათ, რეპორტიორობით დაკავდეს, რომ თუ კი პოეტი ,,ჰაერში დაფრინავს» (ფრთიანი ფრაზა), მხოლოდ ჩარტერული რეისით და ასე შემდეგ. მგოსანმა ნელ-ნელა შეამზადოს თავი, რომ ღმერთთან კი არ ლაპარაკობს (სამფრთიანი ფრაზა), არამედ ვთქვათ რომელიმე მოწყალე გამომცემელთან, ვისი მოტყუებაც (ანუ კრებულის დატყუება) არანაკლებ რთული საქმეა, ვიდრე მთელი ერის მაგივრად ცოდვების ვირტუალური მონანიება.

ლექსის წერის უნარი უკიდურესად ინტიმური იმპულსია. მისი წერის პროცესი უკვე გულისხმობს გარკვეულ რაციონალიზმს (ეგზისტენციალური სოციოლოგიის ულტრათაყვანისმცემლები ნუ გამომეხმაურებიან), მაგრამ ლექსი, როგორც პროდუქტი, დღესაც კი საკრალურია, მიუხედავად იმისა, რომ ,,როდესაც თანამედროვე სკოლამ, საზოგადოდ, დაზეპირებაზე, მათ შორის, ლექსების დაზეპირებაზე უარი თქვა, ამით სწორედ ის ფაქტი გაცხადდა, რომ დამთავრდა პოეტთა ეპოქა, დამთავრდა დრო, როცა პოეზია საკრალური იყო. თანამედროვე ადამიანი მხოლოდ კანონებს იზეპირებს, რადგანაც დღეს საკრალური მხოლოდ კანონია (ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ა.შ.» (ზაზა შათირიშვილი _ პოეტი და პოეზიის იდეა ევროპულ კულტურაში).

ლექსის საკრალიზაცია (ან გარკვეული კასტის მხრიდან ამის სურვილი) სულაც არაა მახინჯი ან გნებავთ ანაქრონული მოვლენა, მაგრამ პოეტი, როგორც მოქალაქე, არ უნდა აცდუნოს ამან (ვგულისხმობ მოვალეობათა ნუსხაში ყველასგან წამებული რაინდის მანტიის ძებნის, ქარიშხლიან დღეს კუბოების დევნის, იღბლიანი მოცემულობისას _ამბროზიის ნელსურნელებით ტკბობის, ედემის ვაშლების დაუღალავად კბეჩის მთავარ პუნქტებად შეტანას).

ნუ შეგვაშინებს ზოგიერთი ნაქები ფსიქოლოგის დასკვნა, რომ შემოქმედები, როგორც წესი, ფსიქოლოგიურად ლაბილური არსებები არიან და განსხავებული სოციალური უნარები გააჩნიათ, მით უფრო, რომ XX საუკუნის ამერიკელი და ევროპელი ავტორების ბიოგრაფიები სულ სხვა მაგალითებს გვაძალებენ.

ქართული რელობა ამ საკითხთან მიმართებაში ამბივალენტურობისადმი თანდაყოლილ მიდრეკილებას არ კარგავს _ ერთი მხრივ, საზოგადოების დიდ ნაწილს კვლავაც აქვს სურვილი (ქვეცნობიერი მაინც) პოეტი განყენებულ, გამორჩეულ პოზაში იხილოს, მეორე მხრივ, იგი როგორც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკას (თუნდაც ძალიან სუსტისა და არათანმიმდევრულის) ფეხადევნებული, ავტომატურად სთავაზობს მკაცრ კონკურენციას სხვადასხვა ასპარეზზე. თუმცა ამგვარი გაორება ბადებს ახალი ტიპის მითს, რომლის მიხედვითაც პოეტი, რომელიც პარალელურ

რეჟიმში ლექსებსაც წერს და ვთქვათ, კარტოფილსაც ხარშავს (ერთი ნელთბილი და უკვე კარგად მივიწყებული ავტორის არ იყოს), გმირია. ამგვარი მითწარმოება რაღაც ეტაპზე (და ალბათ ახლა სწორედ ეს პერიოდია) პოზიტიურ როლს ასრულებს, მაგრამ თუ პერმანენტული ხასიათი მიიღო, არაფრით განსხვავდება საბჭოური დითირამბებისგან (შესანიშნავი მევენახე, ამავდროულად ჰყავს მოხუცი, ბრმა დიდი ბაბუა და სოფლის საბჭოს კლუბის მუსიკალურ ანსამბლში გიტარაზე უკრავს).

დღეს თითქმის ყველა ქართველი შემოქმედი დესაკრალიზებულია, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამის გამო თავს დაჩაგრულად გრძნობს (ჭარმაგთა თაობაში ყოველივეს სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნის შეჩვევამ და ამის ნორმად გათავისებამ ხელი შეუწყო), რაღაც ნაწილი _ გმირად, მხოლოდ თითო-ოროლა ითვისებს მისაღებ მოცემულობად.

სანამ საზოგადოებაც და პოეტიც ფაქტად არ აღიქვამს არსებულ მოდელს, მანამ იარსებებს ძველი და უსარგებლო სტერეოტიპი, რომელიც ბოლოს ალბათ ბრუტალურ სახეს მიიღებს და შარჟადღა თუ გამოდგება.

სხვა შემთხვევაში, იძულებულები გავხდებით შევეგუოთ, რომ ,,პოეტობა _ თვითმკვლელების პროფესიაა»(ან პრიმიტიულად გავრითმოთ _ მლიქვნელების) და ეს ცნება გარდაუვალ წყვილად შევირგოთ.

<u>ბეგლარ იაკობაძე</u>

შეყვარებულის მონოლოგი

... მიგაცილებ ხოლმე სახლში, დაგემშვიდობები, მივდივარ და ვგრძნობ, რომ ფანჯრიდან შენი თვალები მიცქერენ, ყველაზე ლამაზი და ყველაზე ფიქრიანი თვალები...

მიგაცილებ და როგორც კი შენი სახლის კარი ჩემს ზურგსუკან მიიხურება, დროის ათვლა ხელახლა იწყება ჩემთვის, მთავრდება ჩვენი ერთადყოფნის კიდევ ერთი დღე და იწყება ახალი...

როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, შენამდე მოსასვლელ გზას ისეთი სისწრაფით ამოვირბენ, ისე მოვიჩქარი, თითქოს დაღლა არც ყოფილიყოს... მოვალ, მკერდში ჩაგიკრავ და ყველა სიძნელე, ყველაფერი, რაც უარყოფითად მოქმედებს ჩემზე, საერთოდ მავიწყდება...

საკმაოდ მძიმეა ტვირთი, რასაც ვეზიდები _ მძიმე და მნიშვნელოვანი, მაგრამ, როცა ვიცი, რომ შენ მელოდები, შენი თბილი მზერა გზისკენაა მიმართული და ჩემს გამოჩენას ელის, რა უნდა იყოს ისეთი, რომ ვერ მოვერიო, რამ უნდა შემიკრას ამ დროს გზა... იმდენად ძლიერი ვხდები რომ მთას გადავაბრუნებ, ოღონდ არ დამაგვიანდეს შენთან მოსვლა.

ზოგჯერ უნებურად გაწყენინებ ხოლმე. პატარა ბავშვივით გაბუტულს რომ გხედავ, გიყურებ, როგორ აგიწყლიანდება მზერა, ამ დროს არ ვიცი რა ვქნა, ვიბნევი, საკუთარ თავს ვუბრაზდები, ვცდილობ, წყენა დაგავიწყო, და როცა შენს მზერაში გამოიდარებს, როცა ჩვეული სითბო ჩადგება შენს თვალებში, ამ დროს სიხარულისგან მინდა ათასი სისულელე ჩავიდინო, ყირაზე გადავიდე, ოღონდ ის წყენა გამოვისყიდო...

გვერდიგვერდ როცა მივდივართ, როცა შენი პატარა ხელი ხელში მიჭირავს, ამ დროს ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულება, ამ დროს მთელი სამყარო რომ ჩვენს წინააღმდეგ შემობრუნდეს, არ მეშინია, იმიტომ რომ ჩვენ ერთად ვართ, ერთმანეთს ვეკუთვნით მთელი არსებით, მთელი სულით და გულით...

შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ჩემი უსიტყვოდ ესმის, ზოგჯერ სიტყვებზე მეტს შენი მზერა მეუბნება და ბევრჯერ შემინიშნავს, როცა რაღაცის თქმა გინდა, თვალებში მიცქერ, იღიმები და ჩუმდები... ამ დროს ვხვდები: თვალებმა გამცეს!

ხანდახან, როცა ერთად მივდივართ, ვატყობ, როგორ დაიღალე, მაგრამ მაინც ჯიუტად ცდილობ, არ ჩამომრჩე, მაინც ცდილობ ფეხი ამიწყო. ვჩერდები, გულში გიხუტებ, შენ კი გიკვირს, რატომ... სწორედ მაგ ჯიუტი სიყვარულის გამო.

საოცარია, რამდენი რამ შეცვალა ჩვენმა ერთად ყოფნამ, რამდენ რამეზე ჩვენივე ნებით გვათქმევინა უარი ან თანხმობა... უფრო მომთმენნი, უფრო მტკიცე ხასიათისანი გავხდით, და ამ ყველაფრის თავი და თავი შენა ხარ...

ზოგჯერ სიტყვები უადგილოა, ზოგჯერ კი მინდა სიტყვებში ჩავატიო ის ემოცია, ის სითბო, ის გრძნობათა ორომტრიალი, რაც გულში და სულში ბობოქრობს, მაგრამ არ გამომდის, ვერ ვახერხებ, ვმუნჯდები და ამ დროს მინდა მხოლოდ შენ გიყურო, გისმინო, შენი გულისცემა მესმოდეს, ამ დროს სხვა აღარაფერი მაინტერესებს, ამ დროს შენა ხარ ჩემი სამყარო, შენა ხარ ჩემი ყველაზე დიდი საფიქრალი და საზრუნავი...
როცა მოძალებული ემოცია ჩაცხრება, როცა ვახერხებ სიტყვებს თავი მოვუყარო, ამ დროს შენ უკვე სახლში ხარ, და ისევ შენი მზერა მიმაცილებს შენგან მიმავალს... არასოდეს მქონია მსგავსი შეგრძნება. საოცარი სითბო, საოცარი დადებითი მუხტი აქვს შენს მზერას. ამოვხედავ ფანჯარას, ვხედავ, როგორ მიცქერ და ვხვდები, უფალმა ყველაზე დიდი საუნჯე გაიღო ჩემთვის სიკეთის სალაროდან, ყველაზე კაშკაშა, ძვირფასი თვალი მარგუნა მთელი ცხოვრება სატარებლად, საალერსოდ და საზრუნავად. ამ დროს უბედნიერესი ვარ კაცთა შორის, რადგან უფალმა განძი მარგუნა და ამ განძის მცველი მე ვარ!

ლელა კოდალაშვილი

დრამატურგის მონოლოგი

რას ნიშნავს სიტყვა «დრამატურგი»? და რა საჭიროა ადამიანების ასეთი მკვეთრი დაყოფა _ დრამატურგი, პოეტი, მხატვარი, მულტიპლიკატორი, რეჟისორი... ხომ შეიძლება რეჟისორი საინტერესო მხატვრად წარმოდგეს თავის ფილმში, ან დრამატურგი _ პოეტად თავის პიესაში. ეს სიტყვები და მის მიღმა ნაგულისხმევი ადამიანები ხანდახან ისე იდღაბნებიან ერთმანეთში, როგორც გუაშის საღებავები წყალში ჩაღვრისას. ყველაფერი კი საბოლოო ჯამში გამოხატვის ტექნიკის საქმეა.

ჩვენ ვირჩევთ გამოსახვის სხვადასხვა ფორმას, რაკი ამა თუ იმ სათქმელს ის უკეთ ერგება და თან ტექნიკურად ვართ გაწაფული ამა თუ იმ საშუალებაში. ვცდილობთ, ჩვენი თავი გამოვთქვათ იმდენად, რამდენადაც ეს ფორმა მოგვცემს საშუალებას.

ვარ თუ არა მე დრამატურგი იმის გამო, რომ რამდენიმე პიესა დავწერე? რა თქმა უნდა - არა. ისევე, როგორც არ ვარ პოეტი ან მხატვარი იმის გამო, რომ ლექსებს ვწერ და ხანდახან ვხატავ, ან დიზაინერი, რაკი ხანდახან კაბებს ვკერავ. მე უბრალოდ ვარ ვინმე ლელა კოდალაშვილი, რომელიც სამყაროს ესაუბრება ამ ენებზე. ჩვენ ჩვენი ლექსებით თუ პიესებით, ომებით თუ სამშვიდობო ხელშეკრულებებით, ჩვენი გამომცხვარი ნამცხვრებით თუ შეკერილი ფეხსაცმელებით, მთაზე ასვლებით თუ გატანილი გოლებით სამყაროს ვუყვებით ჩვენს შესახებ.

თუ არ ვცდები, არტურ შოპენჰაუერი ამბობს: ,,ჩვენ უარს ვამბობთ ჩვენი პიროვნების დიდ ნაწილზე, რათა დავემსგავსოთ სხვებს.” ვერაფერს იზამ. ადამიანს აქვს სწრაფვა, დაფაროს ყველაზე საინტერესო, რაც მასშია და რაც შეიძლება შეუმჩნევლად გაზავდეს

საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს კონტაქტები სხვა ადამიანებთან, მაინც უწევს ძალისხმევა, წარმატებით შეასრულოს შავი ყვავის როლი, დაფაროს თეთრი ან მწვანე ბუმბული. და იმ ყველაფერს, რასაც ხარშავს, რასაც დანარჩენებს უმალავს, მერე ნება-ნება გვაწვდის იმ ფორმით, რომელიც მას ხელეწიფება და რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე.

«ჩვენ ჩვენს უმეტეს ძალებს კი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაში და მოწყენილობისაგან თავის დაღწევის სურვილში ვდებთ» _ ასე იწყებს საუბარს ჩემი ერთ-ერთი პერსონაჟი და აგრძელებს: ,,...ყოველი დილა იწყება ცნობისმოყვარეობით და მოწყენილობისგან გაქცევის სურვილით. ეს ორი გრძნობა მომენტალურად ირთვება ტვინში, როგორც კი მობილურის მაღვიძარა რეკავს და ადამიანს სამსახურში წასვლის დროს ახსენებს. ხოლო სანამ ღამე დადგება, იგი უამრავ საქმეს, საკითხს, პერსონას მიმართავს ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და მოწყენილობისგან თავის დაღწევის მიზნით. თვითონ ამ სწრაფვებს უძებნის ათას სახელს - სიყვარული, ოჯახი, სამეგობრო, სამსახური, ახალი პროექტი, მივლინება, კარიერა, დისერტაციის დაცვა, მატერიალური კეთილდღეობა. იშვიათად თუ გამოტყდება, რომ ცნობისმოყვარეობა ამოძრავებს, ან მოწყენილია და ახალი გასართობი უნდა. იგი ცდილობს, დაკმაყოფილდეს მის ირგვლივ მყოფ საზოგადოებაში მიღებული და ნებადართული საშუალებებით. მაგრამ ყველა ადამიანი არ იჩენს ამ მხრივ აქტივობას. უმეტესობა სულ უფრო ნაკლებად ეძებს მოწყენილობის წამალს და სულ უფრო ნაკლები რამ აინტერესებს. ასეთი თავს დაბლა ხრის და ცდილობს, ძირითადი ძალები ინსტინქტების დაკმაყოფილებისთვის დაზოგოს. ის ემსახურება რუტინას სამსახურის, ოჯახისა და ყოველდღიური ჩვევების სახით. მისთვის მთავარია, რომ არ შიოდეს, არ სციოდეს და ჯანმრთელად იყოს. ზოგიერთი კი მუდმივად ცდილობს, დაიკმაყოფილოს მოღიტინე ცნობისმოყვარეობის გრძნობა და მოწყენილობის გაფან-ტვის სურვილი, რადგან ეს ღიტინი ნელ-ნელა შემაწუხებელ სახეს იღებს და კაწრავს, სისხლს ადენს მის არსებობას. ასეთი ადამიანი სიმშვიდეს კარგავს და ისტერიულად ცდილობს, რაც შეიძლება მალე დაიოკოს ეს ორი გრძნობა. ღმერთის არსებობა-არარსებობის გამო ცნობისმოყვარეობაც დასაკმაყოფილებელია და ადამიანი ეტმასნება ეკლესიას, მოძღვარს. იგი მარხულობს, ეგება და რა ნიშანს მომცემს ღმერთიო. ცდილობს, რაც შეიძლება მეტად მიაყურადოს ლოცვებსაც და მოძღვრის ქადაგებასაც, რომ მეტი სამხილი ეჭიროს ხელში, რომელიც სიკვდილისშემდგომი ცხოვრების ვარაუდს უფრო გაუმყარებს. ადამიანი თვრება, რომ უფრო მეტად მოიხსნას კომპლექსები და სხვა გრძნობებს მისცეს წარმოჩენის საშუალება. ასე მოწყენილობასაც იქარვებს და ცნობისმოყვარეობასაც იკმაყოფილებს _ თავის თავში ჩაღრმავების, სხვების აღმოჩენის ცნობისმოყვარეობას. შეუდარებლად იოლი გადასაწყვეტია ინსტინქტი, რის შესახებ საუბარიც თითქმის უგულებელვყავით, რადგან იმ ორთან შედარებით იგი იოლი დასაკმაყოფილებელია. თითქოსდა ტექნიკური ძალისხმევის გამოჩენისთანავე წყვეტს ადამიანი ყველა ინსტინქტურ საკითხსა თუ პრობლემას. და ამ სიიოლის ფონზე უფრო აქტუალური ხდება მოწყენილობისა და ცნობისმოყვარეობის საკითხის გადაჭრა _ აი, ასეთ თეორიას აყალიბებს ეს პერსონაჟი და ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩემი სურვილი, გავუმჟღავნო ადამიანებს ჩემი სიმართლის პაწაწინა ნაწილი, ანუ ის, რაზეც რომ არა მისი უდიდებულესობა, ლიტერატურა, ალბათ ვერც ვილაპარაკებდი.

პიესის წერას კი მაშინ ვიწყებ, როცა ჩემი პერსონაჟები ენას არ აჩერებენ. როცა მათ ავიწყდებათ, რომ ძირითადად მოქმედებაა საჭირო და ცხოვრებას ლაპარაკად აქცევენ. ისინი დაუსრულებლად საუბრობენ და ასე აპირებენ, გადაწყვიტონ თავიანთი

პრობლემები. ისინი მოქმედების მაგივრადაც საუბრობენ და მერე ვცდილობ, დიალოგებს შორის ყავა მაინც დავალევინო ან სიგარეტი მაინც მოვაწევინო.

ერთ უდიდეს მათემატიკოსს, ოგიუსტენ ლუი კოშის, როცა ის დაუსრულებლად აქვეყნებდა მათემატიკურ სტატიებს, მეორე არანაკლებ უდიდესმა მათემატიკოსმა, კარლ ფრიდრიხ გაუსმა, რომელსაც ხანგრძლივი პაუზები ჰქონდა შემოქმედებაში, უთხრა, შენ ნამდვილად მეცნიერული ფაღარათი გაქვსო. კოშიმ ამაზე უპასუხა, სამაგიეროდ შენ მეცნიერული შეკრულობა გჭირსო. ჰოდა, ჩემი პიესების პერსონაჟებს კი ვერბალური ფაღარათი აქვთ. რაც არ უნდა ჩავიდინო, ტანსაცმელიც რომ ჩამოვახიო, ისინი მაინც ლაპარაკობენ. უჭირთ პრობლემების გადაწყვეტა. მეც მიჭირს. ამიტომაცაა, რომ ადამიანებს შორის უდიდეს გამოგონებას, მსჯელობას მივმართავ და ისინიც ცდილობენ, ჩემთან ერთად ამ გზით გადაჭრან საკითხი. ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით. წინასწარ კი არასოდეს ვიცი, სად ვიპოვნით გამოსავალს.

თუ მოთხრობებს ზოგადადამიანურ საკითხებზე და ტაბუების გახსნა-ამოხსნის მცდელობით ვწერ, ხოლო ლექსებში ვარ ყველაზე გულწრფელი და თემებსაც ინტიმის სურნელი ასდით, ის, რასაც პიესებში ვიხილავ, რატომღაც მხოლოდ ქალური პრობლემებია. თუმცა ქალური პრობლემებიც შეიძლება აიყვანო ისეთ რანგში, რომ საყოველთაოდ საინტერესო გახდეს.

არ ვიცი, ვინ როგორ წერს პიესას, მაგრამ მე თავდაპირველად ერთი ადამიანის მონოლოგით ვიწყებ და მერე ვშლი მას რამდენიმედ. უფრო სწორად, ერთ ადამიანში ჩნდება ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე და ასე შემდეგ ფსიქო-ტიპი. ისინი კონფლიქტში მოდიან ერთმანეთთან და იძულებული ვხდები, პერსონაჟი დავშალო რამოდენიმედ და როცა თვალსაჩინონი გახდებიან, ერთმანეთთან დავაპირისპირო.

რა აწუხებთ «ჩემს» ქალებს? ალბათ ის, რაც კაცობრიობის ქალების უდიდეს ნაწილს. უბრალოდ, სხვადასხვა სოციუმში სხვადასხვაგვარად წყდება ესა თუ ის საკითხი. მეც თბილისურ სინამდვილეს ვითვალისწინებ და ვცდილობ, გადავურჩინო თითოეულ მათგანს თავისი ჭეშმარიტება, რადგან მხოლოდ მაშინ გრძნობს ადამიანი თავს ბედნიერად, როცა თავის მიერ არჩეული ფასეულობებით ცხოვრობს.

რისთვის ვირჯები მე? ალბათ, ამასაც თავისი ახსნა აქვს. იქნებ ყველა ის გზა, რომელსაც ვირჩევ ამა თუ იმ სათქმელის გადმოსაცემად, ყალბი, გონჯი და უუნაროა... იქნებ ჯობდა, მესაუბრა დიდ აუდიტორიასთან, მყოლოდა მოსწავლეები ან სტუდენტები... რადგან ვატყობ, რომ ვერა და ვერ ვიცილებ დიდაქტიკურ ტონს. ხათუნა თავდგირიძემ, როცა ჩემი პიესა «ისევ იქ, სადაც ვიყავით» წაიკითხა, მითხრა, თითქოს ყურში ჩამესმოდა შენი გაწიწმატებული ხმა, ვხედავდი, აღელვებისგან როგორ იფოთლებოდი კანზე წითლად, გებერებოდა ძარღვები. ჰოდა ჯობია, მოიცილო ეგ ტონი, პერსონაჟებიც და რეალური ადამიანებიც მიიღო ისეთები, როგორებიც არიანო. არ ვიცი, შეიძლება ეს შენიშვნა სწორია, მაგრამ ძნელია, გაუმკლავდე საკუთარ ფიცხ, იმპულსურ ხასიათს. ამ თვისების გამოა, რომ გარშემომყოფები იმდენად დაიღალნენ ჩემი დაუსრულებელი დიდაქტიკით, რომ გადაწყვიტეს, ყური აღარ დამიგდონ. ეგ კი არა და, პერსონაჟებიც აღარ ისმენენ ჩემს შეგონებებს. თავის ჭკუაზე არიან. ლამისაა, შევუვარდე ნაწარმოებში და თმები მოვწიწკნო. კიდევ კარგი, ჯერ არც ერთი პიესა არც ერთ თეატრში არ მიმიტანია. ალბათ, რეპეტიციაზე წამოვუხტები რომელიმე გმირს და ახალ შეგონებას წავუკითხავ (აქ სიცილის ღიმილაკი ან ღიმილის სიცილაკი ვიგულისხმოთ). ეს ნახევრად ხუმრობით, მაგრამ რეალურად ავტორები ძნელად ვაღწევთ ხოლმე თავს საკუთარ პერსონას. როცა ჩვენგან რადიკალურად განსხვავებული ხასიათის პერსონაჟს ვხატავთ, იქაც კი ვცდილობთ, ის როგორმე მივიმსგავსოთ ან მას მივემსგავსოთ. ალბათ ამიტომაცაა, რომ თითოეული ჩვენთაგანი ყველგან და ყველაშია

ისევე, როგორც თავად ღმერთის იდეის ერთ-ერთი რაკურსის ბანალური გაგება _ ღმერთი ყველა ჩვენგანშია.

ლია მეტრეველი

მონოლოგი შენზე...

არც გამიბედოთ და არც შემეკამათოთ. დაბეჯითებით ვიცი, შოთა რუსთაველი ჩემი თანამედროვე იყო...

მე და არა სხვა (თუნდაც თამარ მეფე) გაგიჟებით ვუყვარდი და «ვეფხისტყაოსანიც» მარტოდენ ჩემთვის დაიწერა.

ნუთუ ვერა გრძნობთ? სტრიქონები გაჟღენთილია ჩემით. . .

ომები, ქაჯეთის ციხის აღება, გამარჯვებები იწყება და მთავრდება ჩემით, წყაროს პირას ჩამომსხდარი ვაჟკაცებიც მხოლოდ ჩემთვის ტირიან და გმირებიც ჩემთვის ხდებიან...

წიგნის ფურცლებსაც ჩემი სუნამოს სუნი აქვთ. გადაშალეთ და ნახავთ... რაღაც ოდნავ გრილი, ტვინის ამღვრევი. დამიჯერეთ, ეს თვითონ მითხრა.

არც მკადროთ და არ მითხრათ, შექსპირს ჩემთვის ხელზე არ უკოცნია.

თქვენც დაინახეთ არა, როგორ მეამბორა?

ჯულიეტა ვარ, რომეოც მარტო ჩემი იყო. ახლა, აი, ამ რამდენიმე დღის წინ შევქმენით ლეგენდა მე და რომეომ...

ორი გვარის შერიგებასაც დღეს შევეცადეთ.

რომეო-შექსპირი ჩემი იყო და ჩემად დარჩება... ვიდრე არ მოვკვდები, რაღა თქმა უნდა.

წართმევას ნუ შეეცდებით... ძლიერი ვარ და გაჯობებთ... თუ არა და აქ არ არის ტრისტანი, ტრისტანი... მწვანე იასპის ბეჭედს ვაახლებ და ყველა ჯებირს გაარღვევს, ჩემთვის, იზოლდასათვის... მეტყვის, რომ არც საუკუნეების გაუგია რამ, არც საათის შესახებ სმენია; დღეები და ღამეები საერთოდ რას ნიშნავს მისთვის გაუგებარია...

«მოდი, საყვარელო, ბაღში შევიდეთ» _ ამას ხომ სულ ახლახანს, აქვე ჩემს ფანჯრებთან მღეროდა ჩემი (სხვისი) თანამედროვე.

ჩემთვის მღეროდა «მე კარგი, შენ კარგი»...

რუსთაველი ჩემი მიჯნურია. მე მისთვის ვიწვი, ის ჩემთვის ყოველდღე კვდება, ცოცხლდება _ კვდება...

ცოცხლდება _ კვდება.

მე მისთვის ყოველდღე სიცოცხლეს ვაწყდები, ვეხეთქები, ცაში მივდივარ, უკან ვბრუნდები...

იქნებ მიხვდით კიდეც ვინ ვარ. თქვენ არ იყავით, რომ მისაყვედურეთ: არ ხარ მართალი ასე დაუნანებლად მიჯნური რომ საომრად გაისტუმრე, თავიც მოანატრე, თავგანწირვაც შევუკვეთეო... შენ არ იყავი, ჰო, შენ... რომ მითხარი ვიღა იკლავს თავს და მიჯნურსაც თავის მოკვლისაკენ ვიღა უბიძგებსო... მე ჯულიეტა ვარ და შექსპირ-რომეოს გარეშე როგორ გავძლებდი?

ჩემი ტრისტანიც დაინახეთ, პიჯაკის ჯიბით ვარდი მოჰქონდა, კი მოჰქონდა, ჩემთვის მოჰქონდა... მერე ვარდიანად ადიდებულ მტკვარსაც ეკვეთა. მტკვარი ჩემს სახლსა და მის სახლს შორის გამყოფია... იცანით ხომ? მეც გამიხსენეთ?! რა

ბედნიერებაა, აღარ იტყვით, რომ რუსთაველი თამარ მეფეს ეტრფოდა. მეც ეს მინდოდა. მე ხომ ის გაგიჟებით მიყვარს და ვერავის დავუთმობ...

ნუ ეცდებით წართმევას, გაჯობებთ...

თქვენი
ლია მეტრეველი

ქეთი გზირიშვილი

მონოლოგი პირველ კრებულზე

კრებულის გამოცემაზე სერიოზულად ფიქრი ჯერ კიდევ იანვარში დავიწყე. მას შემდეგ უკვე მეშვიდე თვეს ვატარებთ, ჩემი ფიქრიდან საქმისკენ კი მხოლოდ ერთი ნაბიჯი მაქვს გადადგმული _ ეს ლექსების პირველადი გადარჩევაა. თუმცა არა, ყდის დიზაინზეც ვიფიქრე (ორი სავარაუდო სათაურის შესაბამისად). რა თქმა უნდა, დიზაინის (როგორც სათაურის) საბოლოო ვარიანტი ჯერ არ მაქვს. ეს საკითხი რთულად მეჩვენება და ვფიქრობ, მასზე საკმაო დროის დათმობა მომიწევს, რადგან მკითხველზე პირველ ეფექტს სწორედ წიგნის გარეგანი სახე და სათაური ახდენს. გადაწყვეტილებების შესაბამისად, მოგვიანებით ამაზე ვრცლად და არაერთხელ დავწერ. დღეს კი იმაზე ვისაუბრებ, რაც უკვე გავაკეთე და რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია როგორც კრებულის წარმატებისთვის, ისე ზოგადად, წინსვლისთვის.

ავტორებისგან არაერთხელ მსმენია საკუთარი ქმნილებების მიმართ გამოთქმული სენტიმენტალური ეპითეტები. ლექსებს, უმეტესად, შვილებს ადარებენ და გვერდზე გადასადებად არც ერთი მათგანი (და არ ცერთი სიტყვა მათში) არ ეთმობათ. ჩემი აზრით, სწორედ ეს დამოკიდებულება აქცევს ავტორთა (წინ)სვლას ადგილის ტკეპნად.

პირველადი შერჩევა მხოლოდ პირველადს ნიშნავს და მომავალში კიდევ რამდენჯერმე გახდება საჭირო არჩევანის გადახედვა. მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის ეს არცთუ ადვილია. ზოგადად, სიძნელე სენტიმენტების (ჩემ შემთხვევაში ყველა ლექსში "გაბნევით" გამოწვეული) მოცილება და რაც მთავარია _ უცხო, /კრიტიკული თვალით კითხვის შეძლებაა. ეს უკანასკნელი ჩემთვის ნაცნობ, სულ რამდენიმე ახალთაობელ ავტორს ახასიათებს. აქვე თამამად ვიტყვი, რომ არც მე მიჭირს მხოლოდ მკითხველის მანტიის მორგება, თუმცა ლექსების წიგნისთვის გადარჩევა მაინც ძნელად მომეჩვენა.

გადარჩევა თავისთავად ნიშნავს სათითაო ტექსტის წაკითხვას, რაც მათ მოწესრიგება, პუნქტუაციის ჩასწორებას, ხან მცირე რედაქტირებას იწვევს. თუმცა, გამოქვეყნებამდე, როგორც წესი, ამ ყველაფერს ვაკეთებდი. ალბათ, გაჩნდება კითხვა: რატომ ახლაც. დროთა განმავლობაში მომატებულმა გამოცდილებამ და გამძაფრებულმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ შეიძლება კიდევ აღმომაჩენინოს რაიმე; და რაკი ნაბეჭდ ტექსტში ხარვეზების ნახვა გულს დამწყვეტს, წინასწარ მეტი ყურადღებით ყოფნა მირჩევნია.

გადარჩევამ წიგნის სტრუქტურაზეც დამაწყებინა ფიქრი: ქვეთავების მიხედვით დავყო თუ არა. თუკი _ ლექსების კიდევ უფრო ვიწრო, შინაარსის მიხედვით დახარისხება მომიწევს. ორივე შემთხვევაში აუცილებელი იქნება თანმიმდევრობის

განსაზღვრა. თანმიმდევრობა ჰარმონიული უნდა იყოს. ავიღოთ ნებისმიერი მუსიკალური ალბომი _ შემავალი ტრეკების რიგითობა არასდროს არის შემთხვევითი, ის ყოველთვის აწესრიგებს მსმენელის "მაჯისცემას". ასევეა წიგნშიც.

კიდევ ერთი "თავსატეხი": პასუხისმგებლობა მემატება იმ ლექსების არჩევისას, რომლებიც იანვრის შემდეგ დავწერე და არსად გამომიქვეყნებია. წაკითხვა, შეძლებისდაგვარად, კიდევ უფრო მკაცრი თვალით მიწევს. განვიცდი მათ ბედს, თუმცა ათამდე მაინც მეგულება ისეთი, კრებულში რომ აუცილებლად მოხვდება (მეტი თუ არა).

ახლა კი, მონოლოგის ერთგვარი რეზიუმე:

ლექსები არ არიან შვილები და, მით უმეტეს, კალთაზე ჩამოკიდებულები;

კრიტიკული თვალი _ პირველ რიგში არა ტექსტის მოსაწესრიგებლად, არამედ წიგნში მისი შეტანის აუცილებლობის განსასაზღვრად. მეორე რიგში გასაკეთებელი _ უკვე წაკითხული წინადადების შემადგენელი ნაწილია;

ხედვა _ სივრცის და სივრცეში. ან ასე: მე მიყვარს შენობის დეტალების თვალიერება; ხოლო დეტალების ერთობლიობა ერთ მთლიანს ქმნის _ სახლს, რომელშიც ადამიანები შევლენ.

რაკი შერჩევა ერთი დამოუკიდებელი მოქმედებაა, წერას აქ შევწყვეტ და შემდეგ ნაბიჯებსა და მკითხველთან შეხვედრის მოლოდინზე სხვა დროს მოვყვები. ამ უკანასკნელით გამოწვეული სენტიმენტების მართვას, ვიცი, ვერაფრით შევძლებ...

ბესო ხვედელიძე

მონოლოგი საკუთარ თავთან

მე ვინ ვარ? აქამდე ერთ ჩვეულებრივ ადამიანად ვგრძნობდი თავს. ვინმეს თუ ეჭვი ეპარება, მობილურზე გადმომირიცხოს 5 ლარი, თან გადმომირეკოს და გამახაროს. აჰ, პროფესიით ვინ? ერთ დროს თბილისის მეტროპოლიტენში ვაცხადებდი ხოლმე _ «ფრთხილად, კარები იკეტება, შემდეგი სადგური ნაძალადევი». ეს თუ პროფესიაა... დღეს უკვე ღვთისმოსავი ლიტ-კალატოზი გახლავართ... ზოდიაქოც გაინტერესებთ? მშვილდოსანი, დეკემბრის 18-ის _ როგორც სტივენ სპილბერგი, იური ნიკულინი, სანტიაგო კანისარესი, კეიტ რიჩარდი და ბრედ პიტი. რაღაც არის ჩვენში საერთო და საკრალური. ბავშვობაში რა მინდოდა, რომ გამოვსულიყავი? მესაათე, ტაქსის შოფერი და ახალი პლანეტის აღმომჩენი. საბოლოოდ, მესამეში გამიმართლა უფრო... პირველად როდის რა და როგორ დავწერე? რა თქმა უნდა ლექსი. საბავშვო ბაღზე. ასე მესამე კლასში ვიქნებოდი. არ მახსოვს. შემომეწერა ალბათ თავისით. თან სკოლის გაკვეთილზე.

საბავშვო ბაღი

მერი მასწავლებელი
ერთი შტერი ქალია,
ტელეფონზე კაცებთან
უყვარს ბჭობა ძალიან.

რომ ჩამოგვსხა ქოთნებზე -

დავავიწყდით საერთოდ,
ტელეფონზე ქაქანით
თვითონ კარგად გაერთო.

ერთი საათის შემდეგ
ქოთნებს რომ აგვაწეპა,
ტაკუნებზე ზოლები
გვემჩნეოდა რკალებად!

მიშოს ტაკო ამბობდა _
ზუსტად სამის თხუთმეტ წუთს,
ნელიკოსი _ ორ საათს,
ხათუნასი სულაც ხუთს!

მაინც ყველა ჩაგვყარეს
ლოგინებში ძილისთვის,
ზუსტად ცამეტ საათზე
დროით ქალაქ თბილისის!

მაქვს თუ არა შენახული ჩემი პირველი მოთხრობები? 93-94-ში _ ცუდი დრო რომ იდგა, შეშის ღუმელს შევუკეთე. მით უმეტეს, ცხადლივ მახსოვდა ბულგაკოვთან ახალი წაკითხული _ РУКОПИСИ НЕ ГОРЯТ! იქამდე, ვიდრე დავწერდი _ კლასის წინ ვიდექი ხოლმე და ვყვებოდი ხმამაღლა. პირდაღებულები მისმენდნენ. მერე ვწერდი. ისე, არც უნდოდა დაწერა _ ზეპირად ვიცოდი მაინც. ახლაც მახსოვს. პირველი მოთხრობა ძალიან უბრალოდ გამოვაქვეყნე. ლიტერატურულ გაზეთ «არილში». 1997 წელს. მოთხრობას ერქვა «როლი». მივედი, დავტოვე, დამირეკეს, დამიბარეს, კორექტურა წამაკითხეს და გაუშვეს. მწერლების გავლენით თუ დამიწერია რამე? ყველაფერი გავლენაა მგონი. მეც ჩემი მშობლების გავლენა ვარ. გავლენით იწყება და გავლენით მთავრდება ეს ცხოვრება. რა გასაკვირია, რომ ლიტერატურაც კაცობრიობის მიერ უკვე დაგროვილი გამოცდილების გავლენით იწერებოდეს. მე რაც შემეხება, ყველაფერი წინ მაქვს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მჯერა, რომ ჯერ მხოლოდ მოთელვაა _ ანუ ჯერ კიდევ მხოლოდ ჟურნალია, ხოლო კინო ცოტა მერე დაიწყება. ცრურწმენები, შიშები, რიტუალები თუ მაქვს? კი. რამდენიც გენებოთ. ასე მაგალითად, სახლიდან რომ გავდივარ ყველა მეზობლის კარზე ზარს ვრეკავ და თავქუდმოგლეჯით გავრბივარ ხოლმე. სახლში რომ შემოვდივარ _ ბებიაჩემი კითხულობს ხოლმე, რომელი ხარ _ და მე მისი გარდაცვლილი ქმრის სახელს ვეუბნები; თან ვანუგეშებ, რომ მის წასაყვანად მოვედი და ზეციური პლეხანოვისკენ უნდა გავაქანო. მეშინია ოთხფეხა ძაღლების და სავსე მთვარის. არ მწამს ჰალსტუხიანების და გაუთოებული შარვლების. ასტროლოგიის თუ მჯერა? კარგით რა, ბატონო გუბაზ!

ნარინჯის მონოლოგი

სიტყვების გამოგონება მიყვარს _ სიტყვების გამოგონება ხატვას ჰგავს. უცნაური სიტყვების შეგროვება და მოსმენაც მიტაცებს _ აი ისეთების, ძველებურ ქართულ გამოცანებში რომ ისმინება: «ბეწიკური შუკანანაი, ბროლით გამოტენილანი», ან «აში-ბაში, თუნთრუბაში», ან კიდევ «ჩაიკსკილიკიმაჟურ-მოისკილიკიმაჟურა.» შეიძლება ასეთი სიტყვები არ დახატო?

მუსიკასაც ვხატავ ხოლმე _ ყველაზე კარგად ჯაზი იხატება, ჯაზს განსაკუთრებულად უხდება გრაფიკა. პირველად პეტრუჩიანის მუსიკა მოვხაზე და ნახატებს «პეტრუჩიანის აკორდი» დავარქვი, შვიდი ნოტა-სურათი იყო: «დო-მინანტი,» «რე-ვერანსი,» «მი-მიკა,» «ფა-ნტაზია,» «სოლ-ისტი,» «ლა-ილაი» და «სი-ნთეზი.» ისე, ბენსონიც არაჩვეულებრივად იხატება, ზავინულის ზოგიერთი კომპოზიციაც, სტინგიც.

ვხატავ წიგნებს _ მათ პერსონაჟებს. ორი წიგნი მაქვს, სულ თან რომ დავატარებ: «ნატვრის ხე» და «გზაზე ერთი კაცი მიდიოდა.» ჯერ ვერ გამიბედია მათი დახატვა, ასო-ასო გამომყავს ხაზები. ფორუხის ყვავილებს ვხატავ, განჯელის სალოცავ ქრისტიან ქალს, კიდევ . . . შაჰიდ ბალჰელის სახელს _ ჰო, სახელს! რა ლამაზად ჟღერს: შ-ა-ჰ-ი-დ ბ-ა-ლ-ჰ-ე-ლ-ი _ არდახატვა არ იქნება!

მეკითხებიან ხოლმე, ფერებში რატომ არ ხატავო და მიკვირს. იმასაც მსაყვედურობენ ქალები რატომ ჭარბობს შენს ნახატებშიო და მეღიმება. მიმაჩნია, რომ ორ ფერში (შავ-თეთრს ვგულისხმობ) რეალობა და ემოციები გაცილებით ექსპრესიულად იხატება. გრაფიკა თავის თავში განსხვავებულ ექსპოზიციასა და დამთვარიელებელს გულისხმობს, ისევე როგორც ჯაზის მოსმენას სჭირდება განსაკუთრებული გარემო და მსმენელი. რაც შეეხება ქალს, მისი მობილური და ელასტიური ბუნება თუ სხეული, მეხმარება გადმოვცე ნებისმიერი განცდა, მოვლენა, წელიწადის დრო თუ ამინდი, თუნდაც საგანი ან ნივთი. ამიტომ ქალი ჩემს ნახატებში მხოლოდ ქალი როდია; მას შეუძლია ფიქრიც იყოს, განწყობაც, სიტყვაც და დეკორიც.

გრძნობების გამოგონება არ მიყვარს. _ გამოგონილი გრძნობებით არც ნახატი გამოდის და არც ამბავი. მაინტერესებს, რომელ ფიქრს უფრო ხშირად ფიქრობს ადამიანი მოწყენილს თუ მხიარულს? დავდივარ და თვალებში ვუყურებ: დედამიწაზე მართალია, უამრავი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ თითოეულს ხომ მხოლოდ საკუთარი არსებობა მიაჩნია ყურადღების ღირსად. თითქოს ქუჩაში შემხვედრი ნებისმიერი მოკვდავი მის გარეშე არაფერს წარმოადგენს, ისტორიაც მისი არსებობის დღემდე იწერებოდა მხოლოდ. წარსული ფოტოებად აღიქმება _ გრძნობები, ემოციები და ოცნებები კი მხოლოდ აწმყოში, მის კონკრეტულ ცხოვრებაში ისხამს ხორცს. სინამდვილეში კი ყველა ერთ გზაზეა: ყოველ ოცდაოთხსაათში ერთხელ, წლიდან წლამდე _ თითოეული უხილავს, გაუგონარსა და ჯერარნაგემს დაეძებს.

ასეთ დროს ვხვდები, რომ ადამიანს უსათუოდ სჭირდება ზღაპრის დასანახი თვალი _ ცოტა ხნით გასახელად, წამით გასახედად მაინც. გრძნობამ რომ აავსოს, დაარწყულოს, ან პირიქით, გრძნობა რომ გადმოღვაროს.

გრძნობა თხევადია.

მარინე ტურავა

პოეტის მონოლოგი

ნებისმიერი მონოლოგი, მით უფრო ამგვარი, გამოსამზეურებლად დაწერილი, სხვის მოსასმენად და წასაკითხად, ყურადღების მისაქცევად დაწერილი, მაინც ვერ იქნება მონოლოგი. ნებისმიერი ტექსტი, ყველაზე პირადული და ინტიმურიც, თუ გადამალული არ გაქვს ან კაფკასავით სიკვდილის წინ გასანადგურებლად არ გაწირავ, ყოველთვის გულისხმობს მეორე ადამიანს ან სხვა ადამიანებს, რომლებიც არა მხოლოდ უბრალო მკითხველები, არამედ შენი მონოლოგის თანამონაწილეებიც ხდებიან და არაცნობიერში მაინც, სადღაც, შენი ინსტიქტებისა და რეფლექსების მიღმა, დიალოგში ტრანსფორმირებული ერთი ადამიანის, ამ შემთხვევაში პოეტის, მონოლოგად მოიაზრება.

პოეტი? ამ სიტყვამ ისეთი დესაკრალიზაცია განიცადა, ისე დაეშვა ციდან დედამიწაზე, ვირტუალური სამყაროდან, რომელსაც ადრე ლია სტურუას თქმით, «სპილოს ძვლის კოშკს» ეძახდნენ, ისე გადმოინაცვლა ყოველდღიურობაში, რომ დღეს ბევრად ადვილია გერქვას პოეტი. მთავარია შენ გაბედო, შენ დაირქვა, შენ იცხოვრო ამ სახელით მშვიდად, მაგრამ რუსთაველისა და ბესიკის ქვეყანაში, აკაკისა და გალაკტიონის ქვეყანაში? პათეტიკურია, მაგრამ ფაქტია. ეს ფაქტი კი, თუ ნივთმტკიცება არა, მინიმუმ რვა საუკუნით დადასტურებული რეალობაა.

პირველი პროფესიონალი პოეტი საქართველოში აკაკი ყოფილა, იმიტომ, რომ რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი იყო ჯერ და მერე «ვეფხისტყაოსნის» ავტორი, გურამიშვილი ჯაბადარბაში და მერე «დავითიანის» შემქმნელი, გრიგოლ ორბელიანი რუსული არმიის ოფიცერი და მერე «იარალის» დამწერი... აკაკი მხოლოდ ლექსებს წერდა და ამით ირჩენდა თავს, თუ ამას თავის რჩენა ერქვა... «ცოლი მყავს _ არა მყავს, შვილი მყავს _ არა მყავს, ფული მაქვს _ არა მაქვს», ეს სიტყვები ყველაზე კარგად გამოხატავს აკაკის მდგომარეობას და იმასაც, რომ ნამდვილ პოეტს პოეზიის გარდა არასოდეს არაფერი ჰქონია.

დღეს ვიღა ირჩენს თავს პოეტობით, ამიტომაც დღისით შეიძლება პროგრამისტი ან ხაკერი იყო, პოლიტიკური ოპოზიციის მიტინგებზე გამოდიოდე ან ბირჟის მაკლერად მუშაობდე, საღამოს კი შენს ვირტუალურ სამყაროს შეეხიზნო, ქაღალდზე ან ფაილზე გადაიტანო ტკივილი ან სიხარული და უდრტვინველად დაირქვა პოეტის სახელი. თუ შეძლებ, რატომაც არა?! ხომ არ დავდივართ დღეს ჩოხა-ახალუხითა და ჩიხტიკოპით, ხომ არ ვსაუბრობთ მაღალი სტილით, რევერანსულად?! ყველა დროს თავისი კანონები და მოდა აქვს. მთავარია შენ გამოაღწიო წარსულის ხსოვნიდან, კომპლექსები დასძლიო და იყო თანამედროვე ქართველი პოეტი.

მერე რაა, რომ შენს კონკრეტულ შემთხვევაში, ამას კიდევ ერთი მაგრამ ემატება: «საქართველოში ორგზის ძნელია იყო პოეტი და იყო ქალი». ქალობაზე შეგიძლია უარი თქვა, ნუ იქნები სუსტი და სხვაზე დამოკიდებული, ემანსიპირებული იყავი, დღისით პრაქტიკული პროფესიით თავიც ირჩინე და სხვებიც არჩინე, ღამე ლექსები წერე ძველ რვეულში ან «პენტიუმ ოთხში». თუ ესეც არ შეგიძლია და მაინც გეხამუშება პოეტობა, მონოლოგს მაინც დაარქვი სხვა სახელი, ამაში ხომ თავისუფალი ხარ, არავის შეუზღუდიხარ, არავის შემოუფარგლავს შენი მონოლოგების ზღვარი?! მაგრამ თუ ერთხელ მაინც განგიცდია ლექსის წერით მოგვრილი სიამოვნების ბანგი, გათავხედება მაინც ადვილია და ამ მონოლოგში მაინც უწოდებ საკუთარ თავს პოეტს. მერე რაა, რომ

სხვისი ამგვარი მონოლოგი ირონიულ ღიმილს მოგგვრიდა. ახლა სხვებმა გაიცინონ, ვისაც არასოდეს უწოდებია თავისი თავისთვის პოეტი, ვისაც არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია, ვისაც არაფერში სჭირდება «სპილოს ძვლის კოშკი» და ყოველთვის მკაცრ რეალობაში ცხოვრობს.

იოსიფ ბროდსკის ეპოქაც მოკვდა _ «ლექსების წერა არის სიკვდილში გავარჯიშება». ესეც მაღალი სტილია, პოეზიის მაღალი დანიშნულებისა და ფატალიზმის გარდაუვალობის აღიარება. მეოცე საუკუნეც მოძველებულა, თავისი თავგანწირვის პათოსითა და ბედისწერის აღიარებით. დღეს არავინ ფიქრობს ლიტერატურაზე ამგვარად. «ლიტერატურა არის ადგილი, სადაც ყველაფრის თქმა შეიძლება, რადგან მას სერიოზულად არავინ აღიქვამს» (გიგა ზედანია). ლექსის წერა სულაც არ არის სიკვდილში გავარჯიშება, ხშირად ეს ვერსიფიკაციული გავარჯიშება უფროა ან კონვერსიული ქაოსი, ან Commedia dell'arte (ნიღბების კომედია). ამიტომ პოეტი, როგორც წინა ეპოქებში, ციდან მოვლენილი, ღმერთის მიერ ადამიანებთან გამოგზავნილი შუამავალი კი არ არის, რომელიც მოკვდავთაგან განსხვავებით, სიტყვის პირველყოფილი არსის თანაგამცდელია, არამედ ჩვეულებრივი ჯამბაზი, მასხარა, კომედიანტი, ოღონდ სიტყვისმიერი, რითმისმიერი, ვერლიბრისმიერი. ჯამბაზობა კი სიკვდილზე ადვილია, ყოველლექსისმიერ სიკვდილზე ბევრად ადვილი.

არ არის მოდაში არაფერი ემფატიკური, არც ქალური სინაზე, არც ცრემლი, არც მანდილი ბრძოლის დროს საშველად მოვლენილი, არ არის მოდაში მოდიდან გადახვევა. ამიტომაც თუ დროებით მაინც დახუჭავ თვალს და ამ მონოლოგში მაინც იქნები პოეტი, თანამედროვე ქართველი პოეტი მაინც ვერ იქნები, რადგან ემანსიპირებულიც ვერ გახდები არაგულჩვილი და ღამე მაინც ისეთ რაღაცებზე იტირებ, რაზეც სხვები არტირიან, ისეთ რაღაცებზე იდარდებ, სხვები რომ არ დარდობენ. ღამე მაინც იოცნებებ შენი ცხოვრების ზე მორეირაზე, რომელიც ვერ იტანს ემანსიპირებულ ქალებს, სუსტი და მტირალა ქალები მოსწონს, მის ძლიერ მხრებს რომ დაეყრდნობიან და გულწრფელ, ძველმოდურ ლექსებს დაწერენ. ღამე, ლოკოკინასავით საკუთარ თაბლაში გამოკეტილი, ვერ იფიქრებ ლექსის «ფეშენზე» და ვერ იქნები ძლიერ მოდური. ახლა თვითკმარი პოეტები არიან მოდაში, სევდაც რომ საკმარისად აქვთ და სიხარულიც, მაგრამ გარეთ გამოსატანად, თაბლის იქით გამოსაჩენად მხოლოდ მეტაფორა რომ ემეტებათ, მაგრამ არა ცრემლი ან სისუსტე. შენც ირგებ დროდადრო რკინის ჯავშანს და ლოკოკინაზე დაცული, ამ ჯავშანში შემძვრალი, მეტაფორებს გამოფენ, მაგრამ ცრემლი და სიხარული იმ ჯავშნიდანაც გამოჟონავს და შენი თვითკმარობაცა და მოდურობაც დასასრულს უახლოვდება...

არათანამედროვე, ძველმოდურ პოეტს, ან დროში შეზღუდულ ერთ მონოლოგში გაცხადებულ პოეტს, მონოლოგიც ამგვარი ექნება ძველმოდური და ემფატიკური, ტკივილიც ტრადიციული _ უსამშობლობის, მარტოსულობის, გულგრილობის, უსასოობის ტკივილი, სიხარული ცოტა, მაგრამ ისიც ტრადიციული _ გაზაფხულის, კიდევ ერთი სიყვარულის, გულწრფელობის, ერთგულების გამო...

«მარტო ფერფლმა იცის, რას ნიშნავს ბოლომდე დაწვა» _ მხოლოდ პოეზიას შეუძლია ფერფლის განცდის აღდგენა, სრული თანალმობა, ან შეეძლო. დღეს კი ამგვარი რამის გამჟღავნება, გარეთ გამოტანა პოეტური სისუსტეა, რეტროგრადობაა, ჩამორჩენაა...

«ფორმის არხეინი, გამჭრიახი თაყვანისცემა» და «უბრალო ლაყბობა» საკმარისია ლიტერატურის შესაქმნელად, ამიტომაც უფრო ადვილად ირქმევენ პოეტის სახელს ჩემნაირებიც, უკეთესებიც, უარესებიც, უფრო ნიჭიერებიც, უნიჭოებიც.

ქართველი პოეტი მიჯაჭულია მშობლიურ მიწას, ხშირად მშობლიური ენის ტყვეობაშიც იმყოფება, მისი მძევალია, მისი პატიმარი... ამიტომაც მისი სამყარო

ლოკალურია, მისი მკითხველი შეზღუდული, მისი მონოლოგი ეროვნული, მისი სათქმელი _ ნაციონალური. თანამედროვე ქართველი პოეტი უფრო რადიკალია, უფრო კოსმოპოლიტია, უფრო თამამია, უფრო გამომწვევი, უფრო ღია და გახსნილი, მაგრამ მაინც ეროვნული, მაინც ქართველი. ესეც ჩვენი ბედისწერაა, ტვირთია... იყო ნიჭიერი, გენიოსიც, მაგრამ ეს იცოდეს სამყაროს უუმცირესმა ნაწილმა, უუმცირესმა ნაკუწმა... თუმცა «ტფილისის ბოჰემითა და ლექსით აღება უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის» (გრიგოლ რობაქიძე) და აქ პოეტად ყოფნა, ნიშნავს ყველგან შეძლებას პოეტად ყოფნის...

პოეტებს უნდათ არასოდეს დამთავრდეს ლექსის მადანი, რადგან ლექსი მათი პოეტური არსებობის ნივთიერი დადასტურებაა, ვერასოდეს ელევიან ფორმისმიერ ძიებებსა და ექსპერიმენტებს, რადგან სიახლე ზრდისა და წინსვლის გარანტიაა. თანამედროვე პოეტებს უყვართ პოეტური და ვირტუალურ გაერთიანებებში ყოფნა, რადგან ვებგვერდებზე გამოფენილი ლექსები იმის დასტურია, რომ არასოდეს შეგეპარება ეჭვი შენს პოეტობაში და აკადნუსხურში ან სილფაენში აკრეფილი, 12 ზომიანი ლექსი ყველასათვის ხელმისაწვდომია. იმათთვისაც კი, რომლებიც ლექსებს არ კითხულობენ, მაგრამ აღიარებენ პოეტად ყოფნის უპირატესობას, საქართველო ხომ პოეტების ქვეყანაა. არ მიყვარს ვებგვერდები და ვერ ვიტან ხელოვნურად შექმნილ, რეგისტრზე გადასაყვან სილფაენს, მაგრამ მეც ძალიან მინდა არასოდეს გათავდეს ლექსის მადანი, რადგანაც იქ ყველაზე მეტად ვგავარ საკუთარ თავს, იქ არ მჭირდება და არ შემიძლია სიყალბე, შემიძლია მხოლოდ პოზირება, ისიც დროდადრო, რადგან მთელი ცხოვრება ისედაც თამაშია და თამაში _ ლიტერატურაში ორმაგი პოზირება.

პოეტებს უყვართ ერთად ყოფნა და არ ვიცი რაზე ლაპარაკი, რადგან ჩემი არც ერთი მეგობარი არ არის პოეტი და მეც შეზღუდული პასუხისმგებლობის პოეტი ვარ, მხოლოდ ახლა, ამ მონოლოგში და ლექსის წერის მხოლოდ მცირე, ბედნიერ წუთებში, იშვიათად საათებში.

პოეტებს უყვართ ლექსების ხმამაღალი კითხვა, მე არც დეკლამირება შემიძლია, არც ხმამაღალი ვარ და მხოლოდ ჩურჩულით, ჩემთვის თუ წავიკითხავ რამეს, გულის ფანცქალით, ფარული შიშით... პოეტებს ბოჰემა უყვართ, მე კი ჩუმად, უხმაუროდ, მოწყენილად ყოფნა...

ხაკერად ან ბირჟის მაკლერად, სარეკლამო აგენტად ან ოპოზიციონერად ტრანსფორმირებული პოეტი ყველგან მეტაფორასა და პოეტურ სახეს ეძებს, მე ვებრძვი ჩემში ლექსად დაგროვილ სათქმელს და მხოლოდ «მოცალეობის ჟამს», როცა ვთავისუფლდები ჩემი პრაგმატული პროფესიის მძიმე ტვირთისგან, ბავშვებივით მძიმედ და მტკივნეულად ვაჩენ ლექსებს, ყველაზე ხშირად უსახელოებსა და უფორმოებს, ამიტომაც მეუხერხულება პოეტად ყოფნა. პოეტად ყოფნა ხომ მთელი სისხლის, მთელი ძალის, ენერგიის, მთელი სიცოცხლის გაღებას ნიშნავს, თავგანწირვას, მსხვერპლშეწირვას, ყურმოჭრილ მონად, უფრო ქურუმად ყოფნას გულისხმობს.

ამიტომაც შემინდეთ ჩემი არაპოეტური, ემანსიპირებული ცხოვრება და ჩემი ემფატიკური, ეკლექტური, მაგრამ გულწრფელი, ცოტათი პოზიორული ***მ ო ნ ო ლ ო გ ი.***

პირისპირ: ნინო ნადირაძე- გვანცა ჯობავა

ნინო: საიდან იწყება წერა ან როგორ?

გვანცა: წერა ღმერთიდან იწყება, ისევე როგორც ყველაფერი _ ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, ვინ იყო ის პირველი, რომელმაც დაწერა და იმაზეც, რატომ დაწერა... თუმცა, ამ შეკითხვას პასუხი ძალიან მარტივადაც შეიძლება გავცეთ: ღმერთმა მოიფიქრა ეს ყველაფერი, მერე შეარჩია ერთი განსაკუთრებული ადამიანი, ან სულაც ძალიან ჩვეულებრივი და ზემოდან ჩასძახა, რა უნდა გაეკეთებინა...

სხვანაირად არც ვიცი, როგორ შეიძლება ყოფილიყო. განა შეიძლება ჩვეულებრივ მოკვდავს ლექსის შექმნა მოსვლოდა აზრად?... ვერც კი წარმომიდგენია...

გვანცა: შენ თუ წარმოგიდგენია, როგორი იქნებოდა დედამიწა, ღმერთს რომ მწერალი და მწერლობა არ გამოეგონებინა და ადამიანებს იმ ყველაფრის გარეშე გვეცხოვრა, რასაც ლიტერატურა ჰქვია?

ნინო: ღმერთმა თავიდანვე ქმნადობა გამოიგონა იმით, რომ შეგვქმნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანებში თავიდანვე ჩადო ის, რასაც ადამიანის შექმნისკენ მიდრეკილება და ლტოლვა ჰქვია. სწორედ აქედან იწყება ყველაფერი. ლიტერატურის გარეშე ადამიანის განვითარება სულიერი, გონებრივი თუ სხვა თვალსაზრისით ჩემთვის და, ალბათ, ყველასთვის წარმოუდგენელია.

ნინო: როგორც ახალბედა, ახალგაზრდა ««წერომანი», თუ ხედავ ისეთ ვინმეს, რომელზეც ამბობ: აი, მე ვხედავ მასში რაღაც დიდს.

გვანცა: ჯერ ერთზე შევთანხმდეთ: მე ჩემს თავს პოეზიის მოყვარულს უფრო ვუწოდებდი, წიგნის, წერის, ფურცლის, კალმის მოყვარულს, მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდას საიმისოდ, რომ ვინმეს ვაფასებდე... ეს საუბარი ერთი-ორი კვირის წინ რომ შემდგარიყო, ალბათ, ანა კალანდაძეს დავასახელებდი _ დღეს კი უკვე გვიანია. მე მყავს ჩემთვის საყვარელი თანამედროვე პოეტები და ახალბედებშიც გამოვყოფდი რამდენიმეს, რომლებზეც ვფიქრობ, რომ მათი შემოქმედება შორს წავა, მაგრამ ახლა მათი სახელების ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ.

ისე კი, ის რაღაც დიდი, რაზეც შენ მეკითხები, ტერენტი გრანელში დავინახე, დღემდე ვხედავ და, შეიძლება ითქვას, მისი პოეზიით ვსუნთქავ. თუმცა, ზოგიერთ საკითხზე, რომელიც მის შემოქმედებაში იკვეთება, დიდი სიამოვნებით შევეკამათებოდი, იმ დროში რომ მეცხოვრა. ადამიანებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ღმერთთან შეჭიდება არასდროს დასრულებულა ადამიანის გამარჯვებით და არც არასდროს მოხდება ეს.

ქართველებს დიდი მწერლები არასდროს გვაკლდა და არც დღეს გვაკლია, მაგრამ ადამიანები საყვარელ მწერლებად ალბათ იმათ ვირჩევთ, რომლებიც ჩვენს სამყაროს უხდებიან... როგორც ტანსაცმელი, როგორც საკვები, როგორც წამალი...

გვანცა: როგორ გგონია, მაინც რატომ წერენ ადამიანები, რატომ ვერ ეტევიან კანში და რატომ იღვრებიან ფურცლებზე?

ნინო: იცი, არ ვიცი. ერთადერთი, რაც ჭეშმარიტად ვიცი, არის ის, რომ ძნელია სხეულში დაეტიო და თუ არ ეტევი, არც უნდა ეცადო. კარგად რომ დავფიქრდეთ, ჩვენ,

ადამიანებმა სულაც არ ვიცით არაფერი, სრულიად არაფერი, იმიტომ რომ ყველაფერი, რაც გარშემოა, უსასრულოა და შეუცნობელი. უფრო მეტიც, სამოთხით და ჯოჯოხეთით რომ დავიწყოთ, მათზეც სავარაუდო და მიახლოებითი ცოდნა გვაქვს, ისევე როგორც უფალზე. უბრალოდ ვიცით, რომ არსებობს, იქ, ზევით და მივისწრაფით მისკენ. ადამიანები ეძებენ, ეძებენ და ამ ძიებებში რომ არ დაიკარგონ, ეწყებათ ««წერომანია».

ნინო: როგორი უნდა იყოს ლიტერატურა?

გვანცა: ისეთი, როგორიც არის... ჭრელი, ძალიან ჭრელი... საზღვრების და საზომების გარეშე... უკიდეგანო ზღვას უნდა ჰგავდეს... ზღვას, რომლიდანაც დილით მზე ამოდის, ღამით ჩადის და მთვარე იკავებს მის ადგილს, მერე ეს ყველაფერი უნდა დაირღვეს: მზეს დილით ამოსვლა უნდა დააგვიანდეს, ჩაძინებული დაღამებამდე ვერ მოწყდეს ტკბილ სიზმრებს და ვერ გამოიღვიძოს, ამ დროს კი მთვარეს თავისი საწოლი უნდა ენატრებოდეს, ამთქნარებდეს, მაგრამ მაინც მზის გაღვიძებას ელოდებოდეს...

ლიტერატურა?.. დედამიწას უნდა ჰგავდეს, ერთ უზარმაზარ ბურთს, რომელშიც ყველაფერი ეტევა... წარმოიდგინე, რამდენ ადამიანს, რამდენ ტკივილს, რამდენ სიხარულს, რამდენ სიძულვილს თუ სიყვარულს იტევს დედამიწა... მიკვირს, რომ კიდევ ფეხზე დგას... აი, ასეთი უნდა იყოს ლიტერატურა ჩემი აზრით...

ლიტერატურა?.. გულს უნდა ჰგავდეს... ტერენტი გრანელი წერდა, «პოეზია უსაზღვროა ისევ და გულია პოეზია მხოლოდ...» მხოლოდო, _ ამბობს, მაგრამ განა მოიძებნება დედამიწის ზურგზე რაიმე, გულზე უსაზღვრო რომ იქნებოდეს? მე ასეთი არ მეგულება...

იცი, რაზე მიფიქრია? რა მოხდება, რომ ადამიანებმა ერთი უშველებელი, გრანდიოზული წიგნი გავაკეთოთ, სადაც ყველა ის წიგნი გაერთიანდება, რომლებიც კი ოდესმე სადმე დაწერილა... ლიტერატურის გლობუსს დავარქმევდი...

გვანცა: შენ თუ შეგიძლია ასეთი წიგნი წარმოიდგინო? როგორ გგონია, ყველაზე მეტად ვინ იმსახურებს პირველ გვერდზე განთავსებას?

ნინო: რთულია ამაზე პასუხის გაცემა. ამის წარმოდგენა ადვილია, მაგრამ პირველ გვერდზე ვის ეკუთვნის განთავსება, ამაზე პასუხი ძნელია და ამიტომაც თავს დავიძვრენ და გეტყვი, რომ წიგნს ჯერ წინათქმა დასჭირდება, სანამ იმ პირველ გვერდამდე მივალთ. ასე რომ, გამოვძვერი.

გვანცა: არა, ჩემო კარგო, ასე ადვილად ვერ დამიძვრები. მაშინ ის მიპასუხე: ეს წინათქმა ვიღამ უნდა დაწეროს?

ნინო: ვისაც კაცობრიობა მიიჩნევს დედამიწის მთავარ და შეუდარებელ რედაქტორად, იმან უნდა დაწეროს.

გვანცა: ალბათ, უფალს გულისხმობ...

ნინო: საქმე ისაა, რომ ჩვენ უკვე ვიწერებით: «განურჩევლად ყველა»

ნინო: კრიტიკაზე რა აზრის ხარ?

გვანცა: ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელია და მის გარეშე ლიტერატურის არსებობა წარმოუდგენლად მიმაჩნია. კრიტიკას შეუძლია ერთგვარად შეაჩეროს კიდეც ადამიანების ზედმეტად გაკადნიერება. დღეს კი, როცა ასე ადვილია გამოსცე წიგნი და პოეტობა ან პროზაიკოსობა დაიჩემო, განსაკუთრებით საჭიროდ მიმაჩნია კრიტიკა. თუმცა კრიტიკა მხოლოდ ძაგებას ხომ არ ნიშნავს, მასში შექებაც იგულისხმება და რჩევაც. შექება მწერლისთვის სტიმულის მიმცემია, რჩევა კი, განსაკუთრებით

ახალბედა ავტორებისათვის, აუცილებელიც კია. გონიერ ადამიანს უნდა შეეძლოს მისთვის მიცემული რჩევების სწორად გაანალიზება და ამ რჩევის მისსავე საქმისთვის სასიკეთოდ გამოყენება.

გვანცა: კრიტიკაზე რა აზრის ხარო, მკითხე და შენ როგორ ფიქრობ, პოეზია თავისუფლებაა?

ნინო: პოეზია თავისუფლებაა, პოეზია გულია, პოეზია ფრენის ხმაა, თუმცა მის გასაზუმფარებლად კრიტიკა აუცილებლია, რადგან თავისუფლება ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა. დრო ხომ შეიქმნა, როგორც მკრთალი ჩარჩო ჩვენი ცხოვრებისა, ისე შეიქმნა კრიტიკა ლიტერატურისათვის. რაღაცა რაღაცისთვის იქმნება, ვიღაცა ვიღაცისთვის. უფალმა ყველაფერი სწორად გათვალა, ალბათ.

ნინო: რა არის საჭირო იმისათვის, რომ თარგმანი გამოვიდეს ან იყოს «კარგი»? შენი მთარგმნელობითი გამოცდილებიდან გეკითხები.

გვანცა: ჯერჯერობით ჩემი მთარგმნელობითი გამოცდილება ამ კითხვაზე პასუხის გაცემის უფლებას არ მაძლევს, და არც ვიცი, მომცემს კი ოდესმე... იცი, საოცარია, ისე ჩავები ამ საქმიანობაში, გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რაღაცნაირად ჩემდა უნებურად მოხდა. ამას გარეშე პირებმა შეუწყვეს ხელი, და შეიძლება სრულყოფილად ვერც ვერასდროს ვაგრძნობინო, როგორ ვემადლიერები მათ ამის გამო. იქამდე კი თოჯინებივით ვეთამაშებოდი უცხო სიტყვებს, ხან აქეთ შევაბრუნებდი, ხან იქით და ამას არავის და არაფრის გულისთვის არ ვაკეთებდი, ისე, უბრალოდ, სრულიად უმიზეზოდ, და არც ვიცოდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი ერთ-ერთი მომავალი პროფესია.

კარგი თარგმანი რთული საქმეა, ერთნაირად სრულყოფილად უნდა იცოდე მინიმუმ ორი ენა მაინც _ მშობლიური და უცხო ენა. თუმცა, არც ეს კმარა. მთავარი ხომ ის არის, რომ ლიტერატურა გესმოდეს, გიყვარდეს და შენც გეწერებოდეს, თანაც კარგად უნდა გეწერებოდეს... არც ვიცი, არსებობს კი, ნეტა, ასეთი შემთხვევები _ ალბათ, არსებობს...

ამ ყველაფერს, პირველ რიგში, ალბათ, ღვთისგან ბოძებული ნიჭი უნდა, ნიჭს კი _ დახვეწა და გავარჯიშება, თორემ, როგორც სულხან საბას იგავი გვასწავლის, ხელი უნდა გაანძრიო, თორემ შენს ნაცვლად ვერავინ გაცურავს. მე დღეს ცურვას ვსწავლობ მხოლოდ და მსიამოვნებს სწავლის პროცესი. აი, ეს არის ჩემი მთარგმნელობითი გამოცდილება...

გვანცა: შენს გამოცდილებაზე რას იტყვი _ უკვე ორი პოეტური კრებულის ავტორი ხარ...

ნინო: არანაირი გამოცდილება, უბრალოდ, ხანდახან ვეღარ ვეტევი და ვწერ. ხომ ვთქვი, ძნელია-თქო დატევა. ეს ის შეგრძნებაა, როდესაც გინდა სხეულიდან ამოძვრე, კანიდან ამოძვრე. ჰოდა, სწორედ ამას ვაკეთებ, სულ ესაა.

ნინო: როგორ ფიქრობ, დღევანდელი მკითხველი ფართო «დიაპაზონისაა»?

გვანცა: ფართო დიაპაზონის მკითხველი ყველა საუკუნეში მოიძებნებოდა და დღესაც მოიძებნება. ამბობენ, რომ დღევანდელი თაობა გაუნათლებელიაო, მაგრამ მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ადამიანები ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილები ხომ არ არიან, რომ ყველა ერთმანეთს ჰგავდეს. მათ შეიძლება უბრალოდ სურვილი გაუჩნდეთ, რომ ერთმანეთს მიბაძონ და ალბათ, ესეც არ გამოუვათ სრულყოფილად. და იცი, რატომ? იმიტომ რომ ასეთია უფლის ნება. მას სურს, რომ ჩვენ ყველამ ჩვენი

სამყარო შევქმნათდა ისე ვიცხოვროთ, როგორც ამ სამყაროს მოუხდება. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ რამდენი მკითხველიც არსებობს, იმდენნაირია მათი დიაპაზონი.

მე მგონია, რომ დღევანდელ თაობას ლიტერატურა უყვარს. უამრავი ადამიანი წერს, უამრავი ახალგაზრდა და ეს სულაც არ არის ცუდი. დაე, იდუღოს მაჭარმა, დაილექოს, დაიწმინდოს და საბოლოოდ მხოლოდ გამორჩეულნი შერჩებიან ქართულ მწერლობას. ის კი, ვინც ვერ მოხვდება ამ გამორჩეულთა სიაში, გემოვნებიან მკითხველად მაინც ჩამოყალიბდება. ესეც ხომ საჭიროა, თორემ ვინ წაიკითხავს და ვინ გაიგებს გენიალურ შედევრებს, რომლებიც მრავლად მოეპოვება ქართულ მწერლობას და დარწმუნებული ვარ, არც მომავალში გვექნება ამის ნაკლებობა.

გვანცა: თანამედროვე ლიტერატურული პროცესების (და, რა თქმა უნდა, არა მარტო თანამედროვესი) მკითხველამდე მიტანაში უდიდესი როლი ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებს ეკისრებათ. როგორ გგონია, რამდენად კარგად ასრულებენ ქართული ჟურნალ-გაზეთები ამ მოვალეობას?

ნინო: კი, გეთანხმები და ვფიქრობ, რომ ამ მხრივ, ბოლო პერიოდია, გამოსწორდა საერთო სიტუაცია. ლიტერატურული სამყაროც ამოძრავდა ამ თვალსაზრისით. ბევრი კარგი ჟურნალი ამის მაგალითი და დასტურია. გGარდა ამისა, რამდენიმე ძველი ჟურნალიც აღდგა, რაც, უდავოდ, სასიხარულოა და საჭირო. მთავარია, ვიკითხოთ რაც შეიძლება მეტი და როგორღაც არ ჩავეფლოთ ყოველდღიურობაში, იმიტომ რომ წასაკითხი მართლაც ძალიან ბევრია _ როგორც ძველი, ასევე ახალი.

ნინო: რა აზრის ხარ ახლა უკვე კარგად გავრცელებულ ლიტერატურულ საიტებზე?

გვანცა: მე მგონია, რომ ეს საიტები უდიდეს, უზარმაზარ როლს ასრულებენ თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებაში, ახალი სახეების აღმოჩენაში, მათ დახვეწასა და ჩამოყალიბებაში.

ეს საიტები ძალიან ადვილი გზაა იმისთვის, რომ ლიტერატურული დუღილის შუაგულში ამოჰყო თავი. რაც მთავარია, კარი ყოველთვის ღიაა, შედიხარ, სამუზეუმო ექსპონატებივით ათვალიერებ პერსონალურ გვერდებს, ზოგი მათგანით მეტად ინტერესდები, ზოგით _ ნაკლებად. ამის შესაბამისად, შენს კომენტარებს და მოსაზრებებს უტოვებ, მერე სხვები მოიჩქარიან შენსკენ, გეცნობიან, ისინიც შენსავით მეტად ინტერესდებიან ან ნაკლებად. კარგი ის არის, რომ ამ ვირტუალურ სამყაროში არა მარტო ახალბედებს, არამედ უკვე გამოცდილ და აღიარებულ მოღვაწეებსაც გადაეყრები ხოლმე. აი, სწორედ მათი მოსაზრებები და რჩევებია, რომელთაც უნდა მოეჭიდო. მგონია, რომ ეს საიტები დამწყებთა დახვეწისა და მწერლად ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალებაა.

თუნდაც ეს ჩვენი დღევანდელი «პირისპირ საუბარიც» ხომ სწორედ ასეთი ლიტერატურული საიტის დამსახურებაა. შენი არ ვიცი, და მე კი, პირადად, არასდროს მიფიქრია, რომ ზოგადად ლიტერატურაზე ჩემი მოსაზრებებით ოდესმე ვინმე დაინტერესდებოდა... წახალისება და სტიმულის მიცემა, აი, ეს არის ამ საიტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დადებითი თვისება...

გვანცა: შენ თუ შეგმატა რაიმე ლიტერატურულ საიტებზე პერსონალური გვერდების გახსნამ?

ნინო: ცხადია, შემმატა. ძალიან ბევრ ისეთ ახალგაზრდა შემოქმედს გავეცანი, რომლებზეც წარმოდგენაც არ მქონდა და ვინ იცის, როდის მექნებოდა. არიან ისეთებიც, რომლებშიც ძალიან დიდ პერსპექტივას ვხედავ და ეს ძალიან მახარებს. აქ გამოცდილ,

პროფესიონალ მეკალმეებსაც ვხვდები და ვიზიარებ მათ რჩევებს. ეს კი უმნიშვნელოვანესია. არის კრიტიკა, შექება, მეგობრობა. ეს ხომ თავის წარმოჩენის საშუალებაცაა. ეს საიტები ურთიერთობის მთელი ფილოსოფიაა. მთელი განცდით ველოდები ხოლმე კომენტარებს. ასე რომ, მინდა ლიტერატურული საიტების ვირტუალურ მეგობრებს ვუთხრა, რომ ისინი მართლა ძალიან მიყვარს.

პირისპირ: ვანო ჩხიკვაძე - ვასილ გულეური

ვასილ გულეური: რადგან ჩვენი საუბარი ინტერნეტ-ჟურნალისთვის მზადდება, სწორედ, ამ თემით მინდა დავიწყო. დღეს ხშირად ამბობენ, რომ კომპიუტერმა დაუკარგა წიგნს მკითხველი. როგორ ფიქრობთ, შეუძლია კომპიუტერს მთლიანად ჩაანაცვლოს წიგნი? რა ხდება ამ მხრივ საქართველოში, თქვენ, როგორც მწერალი, რამდენად გრძნობთ მკითხველის სიმცირეს?

ვანო ჩხიკვაძე: მკითხველის სიმცირე მხოლოდ კომპიუტერს არ უნდა დავაბრალოთ. მრავალ მიზეზთა გამო განელდა წიგნისადმი ლტოლვა, სერიოზული ლიტერატურის წაკითხვის სურვილი.

ნამდვილი მკითხველი შეიძლება მაშინაც არ იყო ბევრი, როდესაც მრავალათასიანი ტირაჟები თვალის დახამხამებაში «აორთქლდებოდა» ხოლმე წიგნის მაღაზიებიდან, მაგრამ გამომუშავებული გახლდათ წიგნის შეძენის ჩვევა, აუცილებლობა მათი ყიდვისა და თაროებზე დალაგებისა.

შეიძლება წიგნის მყუდროება, რიგითი «ობივატელის» ოჯახში, კარადის ვიტრინაში გამოფენილ, ძვირფას, გაპრიალებულ ჭურჭელივით არავის დაერღვია, მაგრამ იმის იმედი მაინც იყო, რომ ადრე თუ გვიან მაინც გამოუჩნდებოდათ მკითხველი.

წიგნის მკითხველის რა გითხრათ და გაიზარდა კომპიუტერს მიჯაჭვული «მკითხველის» რაოდენობა, თუმცა, ზოგჯერ ვშიშობ ხოლმე, იქ წაკითხული ლექსი თუ მოთხრობა, ისევე სწრაფად ხომ არ გაქრება გონებიდან, როგორც ეკრანიდან-მეთქი.

წიგნს, ბევრი სიკეთის მიუხედავად, კომპიუტერი ვერ ჩაენაცვლება _ თაროზე დადებული, საყვარელი წიგნის თვალის ერთი შევლებაც გიღიზიანებს მეხსიერებას, იქ ამოკითხულს და გონებაში ჩაბეჭდილს გახსენებს, გაიძულებს, უკვე მერამდენედ, გადმოიღო და ჩახედო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ შეიძლება, მთელი ქვეყნის კომპიუტერებმა, ერთ მშვენიერ დღეს მეხსიერება დაკარგონ და დებილი მოწაფესავით მოგვაჩერდნენ?

წიგნს ეს საშიშროება არ ემუქრება _ ქვეყანაც რომ დაიქცეს, სადღაც, ვიღაცასთან მაინც გადარჩება.

«მდიდარი კაცი ღარიბს მიმართავს:

_ აჰა, მეგობარო, გამომართვი ეს პურის ნაჭერი, მხოლოდ პური არ ბეზრდება ადამიანს» (ჟიულ რენარი).

წიგნზეც იგივე შეიძლება გავიმეოროთ:

ყველაფერი, რასაც ტექნიკური პროგრესი გვთავაზობს, ადრე თუ გვიან ბერდება, კომპიუტერის თაობებს ჩვენს თვალწინ ყავლი გასდით.

მხოლოდ წიგნი არ ბერდება.

მხოლოდ წიგნი არ ბეზრდება ადამიანს.

ვასილ გულეური: ინტერნეტი და ელექტრონული ჟურნალები არის თუ არა ერთგვარი მცდელობა იმისა, რომ მკითხველი და მწერალი არ დაშორდეს ერთმანეთს?

თქვენ რამდენად გიხდებათ ურთიერთობა კომპიუტერთან? ვიცი, რომ ბევრი მწერალი დღეს საწერი კალმისა და ფურცლის ნაცვლად პირდაპირ კომპიუტერზე მუშაობს.

ვანო ჩხიკვაძე: უიღბლოა ქორწინება, თუ სიყვარული არ გაღვივდა.

ინტერნეტიც და ელექტრონული ჟურნალებიც მკითხველის და მწერლის შუამავალია, ერთმანეთთან დაკავშირების ისეთი საშუალებებია, რაზეც სულ ცოტა ხნის წინ ვერც ვიოცნებებდით. მაგრამ მკითხველს და მწერალს მაინც დაშორება უწერიათ, თუ რის გამოც შედგა მათი შეხვედრა _ შემოქმედება, არ იქნება სასურველი მხატვრული დონისა.

კომპიუტერთან ურთიერთობა შენი საშუალებით მიხდება და ნამდვილად ცოტა მკითხველი არ შევიძინე (ამაზე მათი მრავალრიცხოვანი შეტყობინება მეტყველებს), რისთვისაც დიდ მადლობას გიხდი.

რაც შეეხება კომპიუტერზე მუშაობას, ახალი ნაწარმოების შექმნას, ჩემთვის ისევე წარმოუდგენელია (იქნებ, მიუღებელიც), როგორც მეურმე ზებგერითი თვითმფრინავის სამართავად რომ დასვა.

წერის დროს, თითქოს სიტყვებს და ასოების მოხაზულობასაც კი ვეფერები. ამ სიამოვნებას, მგონი, კომპიუტერის ღილაკებით ვერ იგრძნობ.

რა ვიცი, ჯერჯერობით ასე ვფიქრობ და მომავალში ვნახოთ.

ვასილ გულეური: რადგან მკითხველისა და მწერლის ურთიერთობა ვახსენეთ, მინდა ჩვენს ქალაქში არსებულ მდგომარეობასაც შევეხოთ. ფაქტიურად, გორში წიგნის მაღაზია აღარ დარჩა. საუბარია ბიბლიოთეკების შემცირებაზე და დახურვაზეც. რა უნდა გაკეთდეს ამ მხრივ ან თუ შეუძლია საზოგადოებას შეცვალოს რამე?

ვანო ჩხიკვაძე: ამას პატიოსანი, რიგითი მოქალაქე რომ არ სჩადის და არც მისი სურვილით ხდება წიგნის მაღაზიების დახურვა (უფრო სწორად, გაყიდვა), ბიბლიოთეკების შემცირება, ხომ ცხადია? თევზი, ტრადიციულად, საიდანაც ყარს, ვიცით მე და შენ! ამიტომ, საზოგადოებამ უნდა შესძლოს და შეცვალოს არა ზოგადი, აბსტრაქტული «რამე», არამედ ხელისუფლებაში გაწვეული ის «მოხალისეები», ვისაც თავისი გაუნათლებლობის თუ უფრო სერიოზული, შორს მიმავალი უკუღმართი ზრახვებით, შეუძლიათ დახურონ, შეამცირონ წიგნის მაღაზიები, ბიბლიოთეკები, ხელი წამოარტყან ყოფითი პრობლემებით ისედაც შეურაცხყოფილი ერის თავმოყვარეობას, შეუგინონ რაც კი ფასეული შეუქმნია...

ვასილ გულეური: საერთოდ, როგორ უყურებთ ლიტერატურაში მოზღვავებულ ჟარგონს, ხშირად უხამსობასაც კი? თანამედროვეობის მოთხოვნაა თუ ეპატაჟისთვის მიმართავენ ამას? ან იქნებ, საჭირო და აუცილებელია ლიტერატურის განვითარებისთვის?

ვანო ჩხიკვაძე: ლიტერატურის განვითარებისათვის კარგი ლიტერატურაა «საჭირო და აუცილებელი», სხვა დანარჩენი, უფრო ხშირად, უნიჭობის შესანიღბი «კამუფლაჟია». რუტინულ სიმყუდროვეს, დაჭაობებულ ცნობიერებას იაფფასიანი ეპატაჟით ძვრასაც ვერ უზამ, ანდა თუ უხამსობაა, მაშინ ლიტერატურაში რა ესაქმება?

ეკლესიაში იმიტომ შედის ადამიანი, ლოცულობს და ანთებს სანთელს, რომ იქიდან უკეთესი გამოვიდეს.

განა დიდი ლიტერატურაც განსაწმენდელი არ არის?

ვასილ გულეური: მართალს ბრძანებთ. რადგან ჟარგონი ვახსენეთ, ენის სიწმინდის საკითხს გვერდს ვერ ავუვლით. თუმცა, ეს ახალი და კომპიუტერის «მოტანილი» პრობლემა არ არის.

გასული საუკუნის დასაწყისში ვაჟა-ფშაველა წერდა: «ამ ბოლო ხანს ჩვენს საზოგადოებაში შეხვდებით სამდურავს ქართული ენის შებღალვის გამოო.» იმავე

წერილში მწერალი ენას და მდინარეს ადარებს ერთმანეთს _ «თუ ხელოვნურად არ მოსტაცე, არ წაართვი, არ შეამღვრიე მდინარის გემო და ფერები, თავისთავად არასდროს არ დაჰკარგავსო» _ ამბობს იგი.

დღეს ქართული ენა სწორედ ასეთ მდგომარეობაშია: არა მარტო ჟარგონი, უცხო ენიდან შემოსული სიტყვები თანდათან «ჭამენ», ამღვრევენ მას. ადრე თუ რუსული ენა იმკვიდრებდა ყოველდღიურ დიალექტში ადგილს, დღეს ინგლისურმა გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა ქართულ ენას. და არა მარტო უცხო სიტყვებმა _ გაუმართავი ქართულით მოსაუბრე პოლიტიკოსები თუ ჟურნალისტები უმცირესობაში ნამდვილად არ არიან. «დღეს ჩვენი სტუმარია ცნობადი სახე...» «გავდივართ რეკლამაზე...» ასეთი ფრაზები თითქმის ყოველდღე გაისმის.

ვანო ჩხიკვაძე: ისედაც, უსულგულო დროის წყალობით, რამდენი სიტყვა ჩვენს თვალწინ ქრება, იკარგება ცოცხალი მეტყველებიდან, ილექება დამტვერილ ლექსიკონებში... ეს ისეთივე პროცესია, ეროზია რომ ემართება ნაყოფიერ ნიადაგს და თანდათან იფიტება, მოცოცავს, მიწას ავიწროებს გაუდაბნოება თუ გაუდაბურება... კვდებიან, იკარგებიან ულამაზესი, ტევადი, როგორც გიორგი ლეონიძე ბრძანებდა «მუხლადი, ბედაური» ქართული სიტყვები და მათ ნაცვლად მოდის რაღაც უჯიგრო, უსახური, ბრმად გადმოღებული ნათარგმნი ფორმები, ძალით შეკოწიწებული, უგემური ნაზავი. უგემურობას კიდევ ავიტანდით, ეს ბაკქანალია ენას, ჩვენს ცოცხალ მეტყველებას თუ წერის კულტურასაც რომ არ ანგრევდეს... როდესაც ტელეგამომსვლელებს ვუსმენ ანდა დღევანდელ ჟურნალ-გაზეთებს ვკითხულობ, ქართული ენა, ხშირად მეციხოვნეების გარეშე დარჩენილი ციხე-სიმაგრე მგონია, რომელსაც ყველა მხრიდან ლოდსატყორცნებით ულეწავენ გვერდებს.

ამას წინათ, საზოგადოებაში პოპულარული და ხმაურიანი გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი ქალი, ერთ პოლიტიკოსზე ბრძანებდა **«მას აქვს ძალიან მაღალი ყურებადობაო!»**

შენ მაინც მითხარი, ვასო, რა ხდება, მართლა ბნელა?

ახლა ჩვენს ყოფილ განათლების მინისტრს მოვუსმინოთ:

«... ეს არის იმის გარანტია, რომ ჩვენი განათლების სისტემა არის განწირული წარმატებებისათვის!»

და სხვა და სხვა.

და ა.შ. და ა.შ.

«ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა»...

მე ვერ გეტყვი, ასე და ამგვარად მოაზროვნეებს რა ეშველებათ, როგორც მოქართულეებს, მაგრამ ის ვიცი, რომ მათ ხელში კიდევ დიდხანს ვიქნებით «განწირული წარმატებებისათვის» თუ...

აღარ გავაგრძელებ!..

ვასილ გულეური: თქვენი თაობის ავტორებზეც მინდა ვისაუბროთ...

ვანო ჩხიკვაძე: ერთ ინტერვიუში ვამბობ, ლადო ასათიანის თაობის შემდეგ, ბედისწერის სიმუხთლე, ალბათ, ყველაზე მეტად 70-იანელებმა იწვნიეს მეთქი.

მიუხედავად ასაკით სხვაობისა, ვახლობლობოდი და ვმეგობრობოდი შოთა ჩანტლაძესთან, გიგლა სარიშვილთან, ნია აბესაძესთან, თედო ბექიშვილთან, გიორგი ბაქანიძესთან, გიორგი ჯაფარიძესთან, სოსო პაიჭაძესთან... იმათთან, ვისთანაც ჩემი სტუდენტობის წლებმა და პირველმა ლიტერატურულმა ნაბიჯებმა, უნივერსიტეტმა და ცნობილმა უნივერსიტეტის ბაღმა დამაკავშირა... ისინი ნაადრევად გამოაკლდნენ ჩვენს საერთო სამეგობროს... მათ ხშირად ვახსენებ ჩემს ლექსებში, მოთხრობებში, წერილებში თუ ინტერვიუებში...

აუ, მათთან ერთად გატარებული რა ლამაზი წუთები, საათები, დღეები და წლები მახსოვს!..

ვასილ გულეური: სულ ახლახანს ანა კალანდაძე გამოაკლდა ქართველ პოეტებს. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ არც იგი და არც ქართული მწერლობის სხვა შესანიშნავი ავტორები, ხელისუფლების ყურადღებით განებივრებულნი არ ყოფილან და არ არიან. ყოველთვის იყვნენ კარის პოეტები, მაგრამ ნუთუ დღეს ამ პრინციპით უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო თავის ინტელიგენციაზე? **ვანო ჩხიკვაძე:** «განებივრებული მწერალი», მითუმეტეს ხელისუფლებისაგან, ჩემში მაინცდამაინც სასურველ ემოციას ვერ იწვევს.

უანგაროდ შეიძლება მხოლოდ უფალმა გაგანებივროს _ გიბოძოს «სამკალი» და მისი მოვლის ნიჭი, უნარი, გამძლეობა.

ანა კალანდაძეც მხოლოდ ღვთისა და მკითხველის ნებიერი იყო.

ბოლოს 2006 წლის მაისში, «საბას» პრემიით დაჯილდოების დროს შევხვდით.

ახლაც, მუჭში დამწყვდეული ჩიტის ბარტყივით ვგრძნობ მისი ხელის სითბოს და ძალიან თბილ, მოსიყვარულე დამოკიდებულებას.

მაქვს იმ საღამოს, ქალბატონ ანასთან გადაღებული სურათები.

ჩემთვის, ბედისგან ეს «განებივრებაც» ძალიან ბევრს ნიშნავს.

რაც შეეხება სახელმწიფოსგან ინტელიგენციაზე ზრუნვას, ყურადღებას მწერლობის მიმართ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ამ სახელმწიფოს რა ფასეულობებზე ორიენტირებული ხელისუფლება ჰყავს, «კარის» ნებიერები ურჩევნია თუ თავის ქვეყანაზე, მის ბედსა და უბედობაზე ჩაფიქრებული შემოქმედი.

ვასილ გულეური: სახელმწიფოსგან, უფრო სწორად, ხელისუფლებისაგან განებივრების ავ-კარგი გასაგებია, მაგრამ დღეს ავტორმა რომ წიგნი გამოსცეს, ან მდიდარი სპონსორი უნდა მოძებნოს, ან საავტორო ჰონორარის ნაცვლად რამდენიმე საკუთარი წიგნი მიიღოს. ვინ უნდა დაიცვას ეს უფლებები? როგორ ხდებოდა «შავბნელ კომუნისტურ» წლებში ეს ურთიერთობები?

ვანო ჩხიკვაძე: «შავბნელ კომუნისტურ» წლებში წიგნიც გამოდიოდა (დღევანდელობისთვის წარმოუდგენლად დიდი ტირაჟებით), მკითხველსაც ხელი მიუწვდებოდა მის შესაძენად და ავტორის შრომაც, შესაბამისი ჰონორარით ფასდებოდა.

მხოლოდ სპონსორის იმედად, თუ სახელმწიფოც არ დაინტერესდა, კულტურის, ხელოვნების საქმე წინ ვერ წავა.

ხელისუფლება მოვალეა ნებისმიერ თავის მოქალაქეს გამოესარჩლოს.

მათ შორის მწერალსაც _ მიუხედავად თავისი პოზიციისა.

ბოლოს და ბოლოს _ «პირველად იყო სიტყვა.»

ვასილ გულეური: რადგან ჩვენს საუბარს ასე ვასრულებთ, იქნებ თქვენი რომელიმე ახალი ლექსი შევთავაზოთ მკითხველებს...

ვანო ჩხიკვაძე:

შობის იები

მეუფე ისაიას

იები, იები მეუფეო,
იები თვალებში ღაღანებენ.

გალობ და სიმშვიდე ეუფლება
ხატიდან გადმოსულ მახარებელს.

სადარდელს ლოცვებით მოუოხებ,
ტკივილებს კვერივით გვინაწილებ,
ვიდრე უსინათლო მოხუცივით
ქვეყნის უბედობას მივაცილებთ.

ვიდრე გაზაფხული მოაბღავლებს,
ხელებაპყრობილო, ვედრებითა,
იები ტაძარში, შობა ღამეს,
ცვივა უცოდველი ბგერებიდან.

მთვარეა დამცხრალი ფოცხვერივით,
მაქეზებს გაფიჩხულ ნატვრის ხიდან _
შემინდე, ზეცისკენ მოწყენილი
სული ასაფრენად აიზიდა...

ნისლებში კანდელი აქანავდა _
ვხედავ, იის შუქით ნაამბორალ,
ქარში მოფარფატე ჭაღარას და
თოვლში, ძახილივით _ ანაფორას...

იები, იები მეუფეო,
იები თვალებში ღაღანებენ.
გალობ და სიმშვიდე ეუფლება
ხატიდან გადმოსულ მახარებელს.

როგორც გაბრწყინებულ საკურთხეველს _
ლოცვით, ქურმუხიდან გონიომდე,
ისე შემოუვლი საქართველოს,
თითქოს ბეწვის ხიდზე მოდიოდე.

პირისპირ: გიორგი ბუნდოვანი - მარსიანი

გიორგი ბუნდოვანი: შენი, როგორც პოეტისა და ლიტერატურული კრიტიკოსის თვალსაწიერიდან როგორ ჩანს თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარების საფეხურები?

მარსიანი: ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს პოეზიის განვითარებად ლექსის პოეზიისაგან დაცლა, ყოფით წვრილმანებამდე დაქვეითება მიიჩნევა. მეტისმეტად მოხშირდა ლექსებში იმგვარი რეკვიზიტი, როგორიცაა: ყავა, ჩაი, ნამცხვარი, სარეცხის თოკები, პრეზერვატივები და ა. შ. მაგრამ ლექსიკის ამგვარ გაპროზაულებასაც რომ თავი დავანებოთ, წერის კულტურა დაქვეითდა სრულიად აშკარად. დღეს მეტ-ნაკლებად ცნობილი პოეტებიდან თითო-ოროლას თუ შეუძლია დიდოსტატურად წერა.

ვერსიფიკაციის დაბალი დონე ვერლიბრის ფორმაში უფრო ადვილად აფარებს თავს, კონვენციური ლექსის დაწერის შემთხვევაში კი უმალ თავს იჩენს ავტორის გაუწაფაობა და დილეტანტობა.

გიორგი ბუნდოვანი: მე უფრო კრიტიკული ვიქნებოდი: ვერლიბრსაც ვერ აფარებს თავს დაბალი დონის სალექსო ტექნიკა, რადგან დახვეწილ ვერლიბრს უნდა გააჩნდეს თავისებური, ფარული მუსიკალურობაც, რიტმიკაც და არცთუ იშვიათად, რითმაც; უამისოდ ვერლიბრიც ვერ ივერლიბრებს საკადრისად. შენი აზრით, ყოფითმა საგნებმა, ტერმინებმა, სნობურმა ლექსიკამ შეიძლება თუ არა პროფესიონალი პოეტის ხელში ლექსს დახვეწილობაც კი შესძინოს, არათუ დააკნინოს იგი?

მარსიანი: კარგი ვერლიბრის დაწერას, რა თქმა უნდა, დიდი ოსტატობა სჭირდება, ზოგჯერ უფრო მეტიც კი, ვიდრე კონვენციური ლექსისას, რადგან ვერლიბრში იმდენი რამ აღარ გამოიყენება ტრადიციული სალექსო ტექნიკის არსენალიდან, რომ ყველაფერ ამის საკომპენსაციოდ რაღაც განსაკუთრებული ხერხების აღმოჩენა-დაუფლება არის საჭირო. სხვანაირად ლექსი ვერც შედგება ალბათ. რაც შეეხება ლექსიკას, რა თქმა უნდა, კარგი პროფესიონალის ხელში ნებისმიერი სიტყვა შეიძლება გახდეს პოეზიის საგანი. მე რომ ზემოთ ზოგიერთი «არაპოეტური» სიტყვა დავასახელე, იმიტომ კი არა, რომ ამგვარი რამეების ლექსში გამოყენებას ვეწინააღმდეგები _ უბრალოდ, გარკვეულ ტენდენციაზე მივანიშნე, ლექსის ზედმეტ «დამიწებაზე», რაც არ გახლავთ სასურველი მოვლენა. მაგრამ ყველაფერი ეს, რაც აქამდე ვილაპარაკეთ, თეორიული დონეა. მოდი, მაგალითებით ვცადოთ ამ დისკურსში მეტი კონკრეტულობის შეტანა: მე მომეწონა შენი ლექსი «რღვევიდან რღვევამდე», რომელშიც, ჩემი შეტყობით, რითმები საერთოდ არ უნდა იყოს, მუსიკალურობაც ნაკლებად იგრძნობა, ლექსიკაც მეტწილად პროზაულია. აი შენ კი, არ მოგეწონა ჩემი «ელორა», რომელიც იმდენად მუსიკალურია, რომ მისი ცალკეული ადგილები კიდეც იმღერება, ერთგან კი ორი სტროფი გარითმულია, რომ აღარაფერი ვთქვათ სიტყვათა განმეორების ტექნიკაზე (ეს უკანასკნელი შენც შეამჩნიე). შენი შთაბეჭდილებით, ეს ლექსი კი არა, ესეი უფროა! მე კი ვიტყოდი, რომ არათუ უბრალოდ ლექსი, არამედ საგალობელია, ფსალმუნი, რამდენადმე სუფიური ტიპის მისტიკური ნაწარმოები...

გიორგი ბუნდოვანი: «რღვევიდან რღვევამდე» მართლაც ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ბოლო პერიოდის ლექსია, რომელშიც მე ალბათ ჩავაქსოვე მთელი ჩემი ბუნტარული სული და უკომპრომისო, არაკონფორმისტული ხასიათი (სხვათა შორის, ეს ლექსი სხვა ჩემს ლექსებთან ერთად დაიბეჭდა «კავკასიური სახლის» ჟურნალ «აფრას» ახალ, მეცამეტე ნომერში და თვით ნაირა გელაშვილმაც ძალზედ მოიწონა ეს პუბლიკაცია. მან მითხრა: «შენს ლექსებში ისეთი განსაკუთრებული ნერვი თუ მუხტი იგრძნობა, რაც სხვა, შენი თაობის პოეტებთან თითქმის არ შემხვედრიაო». ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდად სასიამოვნო იყო ამგვარი შეფასება). იმაში გეთანხმები, რომ ამ ლექსში ნაკლებადაა მუსიკალურობა, მაგრამ შინაგანი რიტმიკა ნამდვილად შენარჩუნებულია. ეს ლექსი ვერლიბრიც არაა, უფრო რაღაც პირადულ-პოეტურ მანიფესტს ჰგავს, ვიდრე რომელიმე ტრადიციული ტიპის სალექსო ფორმას მისადაგებულ ნაწარმოებს; ხოლო შენი «ელორა» შენს სხვა, საკმაოდ ძლიერ ლექსებთან შედარებით, გაუგებარი და ოდნავ ფორმისეულად მიუღებელიც კი აღმოჩნდა, თუმცა შემდგომ, ჩვენი ცხარე დისკუსია-კამათის დასრულებისას, შენეული ახსნა-განმარტების მერე მივხვდი, თუ რა ტკივილითა და ტრაგიზმით იყო ნაკარნახევი ამ ლექსის შექმნა. მაგრამ ტერმინები «დედა-ეკლესია», «ბულბული», «ჩიტი», «გალობა» და ა. შ. ჩემთვის

მიუღებელია პოეზიაში, მით უფრო ამ და მსგავსი ტერმინების რამდენჯერმე განმეორება... თუმცა საბოლოო ჯამში ამ ლექსის ტრაგიკულობა, მასში გამოხატული მძიმე სულიერი ტკივილი ქმნის მის მისაღებ და საინტერესო სახეს. ალბათ, პირველად წაკითხვისგან მიღებული შთაბეჭდილება ზუსტი არ იყო... მაგრამ ზემოთ დასახელებულ სიტყვებთან დაკავშირებით კი უნდა გკითხო: განა თანამედროვე ქართულ პოეზიაში, XXI საუკუნეში, კიდევ შეიძლება მსგავსი შაბლონური ტერმინებისა თუ სიტყვების გამოყენება? განა მსგავსი «ვარდბულბულიანობის» ეპოქა კარგა ხანია არ დასრულდა?

მარსიანი: შენს ლექსთან დაკავშირებით რაც თქვი, ყველაფერში გეთანხმები: ბუნტარულიცაა, გულწრფელიც, რიტმულიც, ენერგიულიც, განსაკუთრებული ნერვისა და მუხტის მქონეც, პირადულ-მანიფესტურიც; ერთისიტყვით, მე გავიგე შენი ლექსი და ალბათ, ამიტომ მასზე იმავე აზრისა ვარ, როგორისაც შენ თვითონ. ჩემი ლექსი კი, ვეჭვობ, განმეორებით წაკითხვისა და ჩემეული ახსნა-განმარტების შემდეგაც მთლად გასაგები იყოს შენთვის: რას უწოდებ აქ «ვარდბულბულიანობას»? (საერთოდ «ვარდი» არც ნახსენებია ამ ლექსში და არც შეფარულად ნაგულისხმევი). თუ ვინმეს არ მოსწონს სიტყვები «დედა-ეკლესია», «ბულბული», «ჩიტი», «გალობა» და ა. შ. ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი! შაბლონური ტერმინები თუ სიტყვები საერთოდ არ არსებობს, არამედ სიტყვების გამოყენება შეიძლება იყოს ან შაბლონური, ან ახლებური. და თუ შენ ფიქრობ, რომ ამ სიტყვების გამოყენებით ჩემს ლექსში შაბლონურობის მომენტი გაჩნდა, მოგახსენებ, რომ ეს მცდარი შთაბეჭდილებაა. რაკი «თანამედროვე ქართული პოეზია» და «ოცდამეერთე საუკუნე» ახსენე, ერთ რამეს ვიტყოდი: პოეტს არას არგებს «თანამედროვეობაზე» მეტისმეტი მიჯაჭვულობა იმის შიშით, დროს არ ჩამოვრჩეო; მხატვრული სიტყვა მონურად არ უნდა ემორჩილებოდეს ე.წ. «დროის მოთხოვნებს». ეგ ჩვენი «თანამედროვეობა» ხვალ უკვე გუშინდელი დღე იქნება და მასზე მეტისმეტად მიჯაჭვულ ჩვენს «თანამედროვე პოეტსაც» გადაიყოლიებს გუშინდელ დღეში, ანუ მოძველებულად აქცევს; თითქოს პარადოქსია, მაგრამ მრავალი მაგალითით დამტკიცებული, შემოწმებული რეალობა გახლავთ. დროგამძლე მხოლოდ იმგვარი პოეზიაა, რომელიც ერთ რომელიმე კონკრეტულ ეპოქას კი არა, ყველა დროს გულისხმობს თავის თავში და ამდენად, ზედროულობის ნიშნით არის აღბეჭდილი. ასეთი პოეზიისათვის ვარდი, ბულბული, გალობა და მისთანები არასოდეს იქცევიან რაღაც მოძველებულ, შაბლონურ რეკვიზიტებად: მარადიული საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები ეგრე ადვილად არ ძველდებიან! თქვენ კი, ვითომ მოძველებული სიტყვებისადმი მაგგვარი ნეგატიური დამოკიდებულებით მხოლოდ იმას მიაღწევთ, რომ თქვენი ენა არ იქნება ლექსიკურად მდიდარი და შესაბამისად, ვერც გაამდიდრებს სიტყვებით ლიტერატურას თუ სასაუბრო მეტყველებას. შენ თუ იცი, ისეთი საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვა, როგორიცაა «შინაარსი», ილია ჭავჭავაძის დამკვიდრებული რომ არის? ასევე ფართოდ გავრცელებული სიტყვა «შინაბერა» კი კონსტანტინე გამსახურდიამ დაამკვიდრა ქართულ ენაში. აი, ამას ჰქვია ენის შემოქმედება, ენის განვითარებაში მწერლის მიერ შეტანილი წვლილი. თქვენ კი ისე ამრეზით მოისვრით გვერდზე თქვენს მიერ «შაბლონად» შერაცხულ სიტყვებს, ვითომ სიტყვებზე უკეთესი რამ გააჩნდეს მწერალს, პოეტს...

სხვათა შორის, რაკი ჟურნალ «აფრაზე» და მის მთავარ რედაქტორზე _ ნაირა გელაშვილზე ჩამოაგდე სიტყვა და აღნიშნე, რომ მან განსაკუთრებით მოიწონა შენი ლექსები (ისევე, როგორც მე მოვიწონე), ბარემ ისიც ითქვას, მან ისევე დაიწუნა ჩემს «ელორა»-ში სიტყვები «დედა ეკლესია» და «ბულბულთა ქოროს პრიმადონა, პრიმა ბულბულო ელორა», როგორც შენ დაიწუნე: მისი აზრით ეს გაცვეთილობა და

უგემოვნებაა. მე კი, ორივე თქვენგანისგან განსხვავებით, ვფიქრობ, რომ ბულბულის მხატვრული სახის ამგვარ რაკურსში წარმოჩენა შეეძლო მხოლოდ მოდერნ-პოსტმოდერნისა თუ ავანგარდ-ტრანსავანგარდის ლაბირინთების გამვლელ და უკან მომტოვებელ, ნეოკლასიცისტური ესთეტიკის პოზიციაზე გადასულ პოეტურ ინდივიდუალობას. მაგრამ ვატყობ, დღეს ამის გამგები არავინაა. მე მინდა, ერთი რამ გკითხო: ვთქვათ, უცნობი პოეტის ლექსი ჩაგივარდა ხელთ და არ იცი, თანამედროვე პოეტია თუ ძველი. მასაც ისევე დაუწუნებ «შაბლონურ სიტყვებს»? სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ «ვეფხი და მოყმის» ბალადის მეორე ნაწილი (სადაც მოქმედებაში მოყმის დედა შემოდის) ძველ დროში კი არაა დაწერილი, არამედ XX საუკუნეში, მიხა ხელაშვილის მიერ. რა ვქნათ ახლა, დავიწუნოთ ის მეორე ნაწილი? ის ხომ გარეგნულად არ განსხვავდება პირველი ნაწილისგან და მხოლოდ სპეციალისტ-ფოლკლორისტმა, ტრისტან მახაურმა აღმოაჩინა მასში ახალი დროისთვის დამახასიათებელი ნიშნები? ვარდი, ბულბული, გალობა და სხვა მსგავსი სიტყვები ყველა დროის კუთვნილებაა, მხოლოდ სხვადასხვა ეპოქაში სხვდასხვანაირად გამოიყენება პოეზიაში. აი, «პრივატიზაცია» კი, შენ რომ გაქვს ერთ ლექსში გამოყენებული, არა მგონია ყველა დროს ეკუთვნოდეს და, ვთქვათ, ორმოცდაათი წლის შემდეგაც გასაგები იყოს ვინმესთვის, თუ რა შინაარსია მასში ჩადებული. მსგავსს კანცელარულ ტერმინოლოგიას, გამოტეხვით ვიტყვი, მე მართლაც შეძლებისდაგვარად ვარიდებ ლექსს, თუმცა ზოგჯერ შეიძლება არც ავარიდო; მაგრამ ალბათ ამგვარი, წარმავალი შინაარსის მქონე სიტყვებით გაჯერებული ლექსის დიდი იმედიც არ მექნებოდა... სამომავლოდ.

გიორგი ბუნდოვანი: შენს შეკითხვაზე, როგორც გავიგე, ასე გიპასუხებდი: თუ მე ხელთ ჩამივარდებოდა ასეთი შაბლონებით დახუნძლული ლექსი და არ მეცოდინებოდა ავტორი და ეპოქა, მაინც ერთმნიშვნელოვნად დავიწუნებდი ალბათ, რადგანაც ჩემთვის ეს შაბლონური სიტყვები არა მხოლოდ წარსული «ვარდბულბულიანობის» ეპოქის გადმონაშთებია, არამედ ისედაც მაღიზიანებს და არ მომწონს; რატომღაც ასეა და ბოლომდე ვერც ავხსნი რატომ _ გემოვნებაზე არ დაობენო, ნათქვამია; ხოლო «ვეფხისა და მოყმის» ლექსზე ვერაფერს გეტყვი, რადგანაც ხალხური პოეზია მე არასოდეს მაინტერესებდა (თუმცაღა ვაჟაც ხალხური პოეტია, მაგრამ ვაჟა გამონაკლისია ნამდვილად!). ნაირა გელაშვილის პოეტური გემოვნება კი უბრალოდ დაემთხვა ჩემს პოეტურ გემოვნებას და ამიტომაცაა, რომ ნაირამ ასე ემოციურად მომიწონა ლექსები. მე ერთის თქმა შემიძლია პირდაპირ, შენთვის: შენ გაცილებით უკეთესი ბევრი ლექსი გაქვს, განსაკუთრებით კი მომწონს შენი ზაუმისტური ლექსები (ესეც გემოვნების საკითხია) და მოდი, ამ «ელორაზე» ნუღარ გავაგრძელებთ კამათს...

საინტერესო ჩემთვის უფრო ისაა, შენ, როგორც ფართო სპექტრის ხელოვანი, შენში რომელ ნიჭს ანიჭებ პრიორიტეტს _ მხატვრობას, პოეზიას, პროზას, მუსიკას თუ ლიტერატურულ კრიტიკას? _ ეს მართლაც ძალიან მაინტერესებს, რადგანაც ამ შენს უნარებს კარგად ვიცნობ და შენი აზრი მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩემთვის!

მარსიანი: ქართველ ავანგარდისტებზე ცოტა წინ წასული კი იყო ალბათ ტ. ს. ელიოტი, რომლის კალამს ეკუთვნის ლექსი «სვინი და ბულბულები». რა თქმა უნდა, «ვარდბულბულიანობასთან» არაფერი კავშირი აქვს ამ ლექსს, მაგრამ თუ სათაურიდანვე დაიწუნებ «ბულბულების» გამო, ხომ დაგრჩება წაუკითხავი მისი ტექსტი... თუმცა, როგორც ვატყობ, ჩემი ეს ლაპარაკი წყლის ნაყვას ემსგავსება, რაკი მაინც ასე ჯიუტად და აკვიატებულად «შაბლონურს» არქმევ სრულიად ჩვეულებრივ, სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ გავრცელებულ სიტყვებს და ოდნავაც არ უწევ

ანგარიშს ჩემს ძალიან მარტივ და ზუსტ განმარტებას _ თავისთავად სიტყვები კი არ არიან შაბლონური, არამედ ამ სიტყვებთან მიმართება, ტექსტში მათი გამოყენების მეთოდი შეიძლება იყოს შაბლონური ან არაშაბლონური. მაგგვარად თუ მივუდგებით, «ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტიც» შაბლონი გამოდის... აღარც ჩემს ლექსზე საუბრის გაგრძელებას ვაპირებ, რაკი ასე მოსაწყენია. ისე, ვაჟა ხალხური პოეტი არ გახლავთ, უბრალოდ, ხალხურ კილოს იყენებდა თავის პოეზიაში...

ახლა შენს შეკითხვაზე გიპასუხებ (თუმცა მაკვირვებს შენი განაცხადი, რომ ამ ჩემს «უნარებს» კარგად იცნობ): პოეზია და პროზა ჩემთვის პროფესიონალური თვითგამოხატვის ფორმებია, მხატვრობაში თვითნასწავლი მეთქმის ალბათ, მუსიკაში კი _ ველური, თუმცა, ოთხივე ამ დარგში ჩემი შესაძლებლობები (პოტენციური თვალსაზრისით) ალბათ თანაბარია; კრიტიკაშიც პროფესიონალი ვარ, თუმცა ეს დარგი ჩემთვის მაინც მეორადია, რაოდენ კარგიც არ უნდა ჩანდეს ჩემი წერილები. აქ კონტრკითხვა გამიჩნდა: თვითონ როგორ შეფასებას მისცემდი ამ «უნარებს»?

გიორგი ბუნდოვანი: მოსაწყენი კი არ არის «ელორაზე» საუბარი, უბრალოდ, ამ კონკრეტულ პოლემიკაში დავასრულოთ-მეთქი, რადგანაც ძალიან გაგვიგრძელდა... ხოლო ტერენტის «გაზაფხულის საღამო» ნამდვილად შედევრია, ჩემის აზრით! მაგ ლექსში «ჩიტის» ნაცვლად სხვა სიტყვა, უფრო მეტად შაბლონურიც რომ ყოფილიყო გამოყენებული, მაგალითად «გვრიტი», «მშობელი დედის ძუძუ» ან რაიმე მსგავსი, გრანელი ისეთი სუპერპროფესიონალი პოეტია, ამას ისე ზეპროფესიონალურად გააკეთებდა, რომ ჩემში არანაირ გაღიზიანებას არ გამოიწვევდა ნამდვილად! ხოლო შენს უნარებზე ასე ვიტყოდი _ ჩემი სუბიექტური აზრით თუ შთაბეჭდილებით _ ჯერ მხატვარი ხარ (თუნდაც თვითნასწავლი), საკმაოდ ოსტატურად ხმარობ ისეთ ძნელად გამოსაყენებელ, მეტისმეტად შრომატევად საშუალებას, როგორიცაა პასტა, ხშირად პასტელში შერეული, ხელის თითებსა თუ ფრჩხილებსაც კი იყენებ... შემდეგ პოეტი ხარ და ბოლოს კრიტიკოსი: ასეთი მიმდევრობით დავახასიათებდი შენს შემოქმედებით უნარებს; პროზას, მართალია ჯერ არ გავცნობივარ, მაგრამ კომპეტენტური ადამიანებისგან მსმენია მისი დადებითი შეფასება, რომელსაც ვენდობი. ხოლო მუსიკას რაც შეეხება, შენი მელოდიები შენივე შესრულებით რამდენჯერმე მომისმენია, თუმცა არასათანადო აკუსტიკურ გარემოში, თანაც უაკომპანემენტოდ... მაინც შემიძლია ვთქვა, რომ შენი საგალობლები და მელოდიური დეკლამაციები, სხვადასხვა პოეტების (მათ შორის ჩემს) ლექსებზე რომ გაქვს გაკეთებული, უდავოდ საინტერესოა.

საინტერესო კიდევ ისაა (თუ შენს კრიტიკას შევეხებით), ის ხალხი (პოეტები თუ პროზაიკოსები), რომელთა შემოქმედების განხილვა-შეფასებაზე ასე გულმოდგინედ გაისარჯე შენს წიგნში «კრიტიკა», რატომ არ გაქცევენ სათანადო ყურადღებას, როგორც ხელოვანს, როცა მათ უმრავლესობას საკმაოდ მოეპოვება სათანადო ბერკეტები, რათა შენი პოპულარიზაცია მოახდინონ? ვგულისხმობ იმას, რომ საკმაოდ არიან (შენგან განსხვავებით) გათქვეფილნი დღევანდელ სნობურ-ელიტურ კულტურულ წრეებში, ასევე კარგი ურთიერთობები აქვთ გამომცემლებთან და, რაც მთავარია, ტელევიზიებთან! ნუთუ მათ არ უნდა გასჩენოდათ სურვილი, თუნდაც ერთხელ მიეწვიე რომელიმე ტელეარხზე, ან შენზე დაეწერათ რაიმე, ან შემოქმედებითი საღამო მოეწყოთ შენთვის, თუნდაც რომელიმე ლიტერატურულ კაფეში, მაგალითად «ქარავანში?» რა არის ამ უყურადღებობისა თუ უმადურობის მიზეზი?

მარსიანი: მაგ კითხვაზე მე რა უნდა გიპასუხო, თვითონ მათ უკეთ ეცოდინებათ... ალბათ, არ აწყობთ კიდევ ერთი კონკურენტი ამ ისედაც პოეტებითა და მწერლებით გადატვირთულ სივრცეში... მაგას მოვეშვათ, ახლა მინდა ერთი მოულოდნელი და

კადნიერი განაცხადი გავაკეთო: მაშ შენ თვლი, რომ ტერენტი გრანელი «სუპერპროფესიონალურად» გამოიყენებდა იმ ე.წ. «შაბლონურ» სიტყვებს, მარსიანი კი ამას ვერ აღწევს, არა? მე კი ვიტყოდი, რომ გალაკტიონის შემდეგ თუ ვინმეზე ითქმის «სუპერ» თუ «ზეპროფესიონალი» ქართულ პოეზიაში, ეს უმალ მარსიანი გახლავთ, ვიდრე გრანელი და ვისაც სურვილი ექნება, კონკრეტული მაგალითებით დავუმტკიცებ ამ სიტყვების სიმართლეს! გთხოვ, სწორად გამიგო, პროფესიონალიზმში მე სალექსო ტექნიკის უზადობასა და სირთულეს ვგულისხმობ: ტერენტის ლექსთა უმეტესობა ტექნიკურად არც ისე რთულია და ზოგჯერ მის საუკეთესო ლექსებშიც მცირეოდენი «ჩავარდნები» შეინიშნება, მაგალითად, სტრიქონში «როგორც ლურჯი პარიკებს, ღამე ფიქრებს არიგებს», არასწორია «ლურჯი პარიკებს», უნდა იყოს «ლურჯ პარიკებს». სხვა ლექსშიც აქვს «ლურჯი ზღვასავით»; ორივე შემთხვევაში დარღვეულია მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში. თუ გინდა «პოეტური ლიცენცია» დავარქვათ ამას, მაინც ხარვეზია, იმით გამოწვეული, რომ სწორი ფორმის გამოყენების შემთხვევაში სტრიქონს მარცვალი დააკლდებოდა... ახლა მეც მაქვს ასეთი კითხვა: შენ ხშირად ხმარობ იმგვარ რითმებს, დღევანდელი პოეზიისათვის მოძველებულად და პრიმიტიულად რომ მიიჩნევა, მაგალითად «ნახვა-სახვა», «ოღონდ-მხოლოდ» და არაერთი სხვაც. რატომ ამ შემთხვევაში არ გაწუხებს შაბლონის შეგრძნება, ამგვარ რითმებს ხომ აკაკის ეპიგონები ხმარობდნენ გასული საუკუნის დასაწყისში, ხოლო გალაკტიონის მართლაც სუპერვირტუოზული რითმების შემდეგ ხომ არც ერთი ჭეშმარიტი პროფესიონალი აღარ მიმართავს მსგავს არათანამედროვე ტექნიკას!

გიორგი ბუნდოვანი: რატომ არ მაღიზიანებს ჩემს ლექსებში მოძველებული რითმები? გიპასუხებ: საერთოდ რითმა დიდი ოხერი და მამაძაღლი რამაა! რითმამ უდიდესი პოეტებიც კი ათამაშა და თავის უღელქვეშ მოიქცია არცთუ იშვიათად _ გინდ გალაკტიონი ვთქვათ, გინდაც _ სხვები. ხშირად იძულებული ხდები, რითმა რომ არაშაბლონური, თანამედროვე გამოვიდეს, თავი იმტვრიო, ურტყა კედელს... და ამ დროს «ლექსის მუზიდან ამოვარდნა» გემუქრება, განწყობილების დარღვევა... ამიტომაც ზოგჯერ შეგნებულად არ ვახდენ რითმაზე აქცენტირებას! თუმცაღა ეს მინუსია _ ვაღიარებ, მაგრამ მე, ზოგჯერ კი არა, უმეტესწილად, ჩემი მოზღვავებული პოეტური ემოციის დროულად გადმოცემას ვლამობ ხოლმე და ასეთ ტექნიკურ დეტალებზე, უბრალოდ, ვეღარ ვფიქრობ წერის მომენტში. თანაც შეგახსენებ _ მე არასოდეს ლექსებზე არ ვმუშაობ და შემდგომში არ ვაშალაშინებ, არ ვხვეწ. მირჩევნია პირველი ამოხეთქვა დარჩეს, პირველი ვულკანი...

ახლა, რაც შეეხება შენს «სუპერამპარტავნულ» განაცხადს, ტერენტისთან დაკავშირებით რომ გააკეთე: ვგონებ ამის შემდეგ აზრი აღარ აქვს ამ საუბარს და აღარც იმის სურვილს მიტოვებ, რომ მეტად და უკეთ გავეცნო შენს პოეზიას _ ამას შენ მიაღწიე ამ წუთებში! და აქედან გამომდინარე, მე ვწყვეტ ამ დიალოგს. გინდა გადაეცი იქ, სადაც ეს დიალოგი უნდა გამოქვეყნდეს, გინდა არა _ შენი ნებაა!

შენ ისე ცდილობ, თავს მომახვიო შენი პოეტური შემოქმედების გენიალობა თუ შედევრულობა, რომ პირუკუ რეაქცია გამოიწვიე _ საერთოდ აღარ შემრჩა მასში ჩაწვდომის სურვილი! ვაცხადებ დღეიდან _ შენ ხარ არაჩვეულებრივი მხატვარი და კარგი პოეტიც, რამდენადაც ვიცნობ შენს ლექსებს... (იმედია, ეს პოლემიკა პიროვნულ, მეგობრულ ურთიერთობებზე არ აისახება!..).

მარსიანი: მე კი გთხოვე, სწორად გამიგე-მეთქი (რადგან პროფესიონალიზმში მხოლოდ სალექსო ტექნიკის უზადობასა და სირთულეს ვგულისხმობდი და არა «გენიალობა-შედევრულობას»), მაგრამ ვატყობ, არც ჩემმა თხოვნამ გაჭრა და არც

სათქმელის დაზუსტებამ. თუ შენ ტერენტისთან დაკავშირებულმა ჩემმა ექსცესმა გაგაღიზიანა და ჩემს პოეზიაში ჩაწვდომის სურვილი აღარ შეგრჩა (გქონდა კი?), რა გაეწყობა: მე დიდი ხანია შეჩვეული ვარ იმას, რომ ჩემს კოლეგებს მხოლოდ თავიანთი შემოქმედების მეხოტბედ და პოპულარიზატორად ვუნდივარ და არა კონკურენტად, ამიტომ პიროვნულ ურთიერთობებში ასეთი რამ გართულებას არ მიქმნის; მაგრამ ვაითუ მარსიანსაც გადაედოს კოლეგების გულგრილობა და «აღარ შერჩეს მათ შემოქმედებაში ჩაწვდომის სურვილი»...

ისე შენს ადგილას მე პირიქით მოვიქცეოდი: აუცილებლად შევამოწმებდი, მოკამათის განაცხადი რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს; ალბათ, ასე უფრო სამართლიანიც იქნებოდა და კოლეგიალურიც, მეგობრობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

გიორგი ბუნდოვანი: რა თქმა უნდა, მეგობრობა მეგობრობად რჩება, მაგრამ ისეთი ტიტანების გინდაც სტილისტური კრიტიკა, როგორიც ტერენტი გრანელია, გავმეორდები _ მიმაჩნია ზეამბიციურობად და ზეამპარტავნობად, რადგანაც დღევანდელი ქართველი ცოცხალი პოეტებიდან, ჩემი ჩათვლით, არავინ მიმაჩნია ტერენტი გრანელის ფრჩხილის ფასადაც! (ეს ჩემი სუბიექტური და მყარი აზრია).

მარსიანი: თუნდაც ასე იყოს. კრიტიკოსს უფლება აქვს, გააკრიტიკოს ნებისმიერი ტიტანი. ეს ლიტერატურის ანაბანაა და თუ კაცი ხარ, ზედმეტი და თანაც ბავშვური თავგამოდება საჭირო არ არის. ტერენტის არ სჭირდება, დამიჯერე.

გიორგი ბუნდოვანი: ტერენტი გრანელს მე ბავშვურად და თავგამოდებით კი არ ვიცავ, ეს მას მართლაც არავისგან სჭირდება, არამედ იმის თქმა მინდოდა და მგონი ან კარგად ვერ გამოვთქვი, ან შენ ვერ გამიგე, რომ არის (ჩემის ღრმა რწმენით!) რაღაც ისეთი აქსიომები, ზოგადად ცხოვრებაში (და ლიტერატურაც ხომ ცხოვრების ნაწილია/!), რომელთა ან აწონ-დაწონვა, ან გადაფასება, და მით უფრო კრიტიკა _ არ უნდა ხდებოდეს (ვიმეორებ, ეს მე მწამს ასე!)

მარსიანი: გწამდეს!

11.06.20

პირისპირ: იკა ქადაგიძე _ მარსიანი

იკა ქადაგიძე: თავს უფლებას მივცემ, ჩვენი საუბარი ქართულ კრიტიკაში არსებული მდგომარეობის შეფასებით წარვმართო. სანამ თქვენ ჩაგეძიებით, დავძენ, ქართული კრიტიკა მარკესის «გამოუცხადებელი მკვლელობის ქრონიკას» მაგონებს. წინასწარ ყველამ იცის ამ მკვლელობის შესახებ, მაგრამ მსხვერპლის დაცვის ნაცვლად ნაწარმოების პერსონაჟებს ერთხმად აქეზებენ და აიძულებენ დანაშაული ჩაიდინონ. ამგვარ საუკუნო დანაშაულს ახლავს მიჩქმალულ ხელოვანთა აკრძალვა. თავის დროზე ეს ხვედრი ტერენტი გრანელმა, ნიკო სამადაშვილმა და სხვა დიდმა პოეტებმა იწვნიეს. ბევრი ამას კომუნისტურ გადმონაშთად მიიჩნევს. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ტოტალიტარიზმი პიროვნების მოკვდინების ხელოვნებას სრულყოფილად ფლობს. საკითხავია, ჩვენ რამდენად გავთავისუფლდით ამ მარწუხებისაგან? ქართულ კრიტიკას გეზი არ უცვლია, რის გამოც აკრძალულ შემოქმედთა რიცხვი მატულობს. ახალმა თაობამ და ბევრმა ძველგაზრდამაც ყურმოკვრით იცის (ან არ იცის) კოტე

ხიმშიაშვილის, ადამ ბობღიაშვილის, გაბრიელ ჯაბუშანურის სახელები. ამ ადამიანებმა ეპოქა შექმნეს. უფრო თანამედროვეებიდან შოთა ჩანტლაძე, არჩილ ფირცხალავა, ლაშა გახარია, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ გამოგვეცალა ხელიდან. თქვენ «უსათაურო მონოლოგში» გიორგი კორნაპელი ახსენეთ, მე კი შალვა მჭედლიშვილზე ვიტყვი ორიოდე სიტყვას. დისიდენტებზე დღეს ბევრი რამ იწერება და იბეჭდება, ვის აღარ იხსენებენ, მაგრამ ვიწრო წრის გარდა არავინ იცის, რომ შალვა მჭედლიშვილი, გამორჩეული დისიდენტი, მთელი ცხოვრება რუსეთის ციხეებში იჯდა. მას სიკვდილის შემდეგაც არ აღირსეს რეაბილიტაცია. ლეგენდარული ბიოგრაფიის პატრონს თბილისში დაბრუნების უფლებას დიდხანს არ აძლევდნენ, პროფესიით ექიმი უმძიმესი მდგომარეობის გამო (მთელი ცხოვრება მასზე ზედამხედველობა იყო დაწესებული) პაციენტებს უსასყიდლოდ მკურნალობდა. ასეთი ზნეობრივი მაგალითი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ შალვა მჭედლიშვილის სახელი შთამომავლობას შემოვუნახოთ? იგი დიდი პოეტი იყო ამავდროულად და ძალიან მიკვირს, რომ ამ თემაზე საუბარს ბევრი დღეს თავს არიდებს, არადა რას არ მისცემდნენ, თვითონ ამგვარი ბიოგრაფია რომ ჰქონდეთ. რა გვემართება? ბ-ნი შალვა 2007 წელს გარდაიცვალა. მუდამ იქ იდგა, სადაც თავის ქვეყანას უჭირდა. ჩვენ კი თბილისის ერთი ქუჩაც არ გვემეტება, მისი სახელი რომ ვუწოდოთ? ამ წამოწყებას კრიტიკოსები უნდა მოთავეობდნენ. შემოქმედის ღვაწლის შეფასებით მათ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, მაგრამ ყველა ძველ გზას მიუყვება. საბედნიეროდ, გამონაკლისი გვყავს, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მართლაც რა ხდება?

მარსიანი: მოდით, რაკი «მიჩქმალულებზეა» საუბარი, ისეთ სახელებს, როგორიცაა შოთა ჩანტლაძე და გაბრიელ ჯაბუშანური, მაგათში ნუღარ მივათვლით: ესენი უკვე კარგა ხანია, ცნობილნი გახდნენ და მათ ნაწარმოებებს თაობები კითხულობენ. სხვები, შენს მიერ ჩამოთვლილნი, რა თქმა უნდა, შედარებით ნაკლებად ცნობილნი არიან, თუმცა ალბათ არცთუ მთლად უჩინონი, რადგან უკვე კარგა ხანია დაიწყეს მათ ღვაწლზე ლაპარაკი (უფრო დისიდენტურ ღვაწლს ვგულისხმობ); არაერთი მკვლევარი ცდილობს, სახალხოდ ცნობილი გახადოს ეს ტრაგიკული ბედის ადამიანები (მარტო ოთარ და როსტომ ჩხეიძეების ძალისხმევა რომ გავიხსენოთ ამ მხრივ, ესეც კმარა).

რაც შეეხება შარშან გარდაცვლილ მწერალს, ბატონ შალვა მჭედლიშვილს, რომელსაც ორივენი ვიცნობდით, მართლაც საშური საქმეა ამ შესანიშნავი პიროვნების ხსოვნის პატივსაცემად თბილისის რომელიმე ქუჩას მისი სახელი ეწოდოს. ალბათ, მალე მზის სინათლეზე გამოვა მისი დისიდენტური მოღვაწეობა და მოწამებრივი ცხოვრება, მისი შემოქმედება: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს...

ახლა გიორგი კორნაპელზე მოგახსენებ: იგი არც დისიდენტი ყოფილა (ჩვეულებრივი, პოლიტიკური თვალსაზრისით) და არც ნიკო სამადაშვილივით ან შოთა ჩანტლაძესავით დაუბეჭდავი ავტორი: მისი ათი პოეტური კრებული მისსავე სიცოცხლეში გამოიცა და ბოლო კრებულს «ფენიქსს», რომელშიც თითქმის სრულად არის წარმოდგენილი მისი შემოქმედება, სამი სხვადასხვა ავტორის წინასიტყვაობებიც აქვს დართული, სადაც იგი მსოფლიო რანგის ლირიკოსად არის შერაცხული: ამ ავტორთაგან ერთ-ერთი მე გახლავართ. ასე რომ, გ. კორნაპელს სიცოცხლეშივე წილად ხვდა გენიოსად აღიარება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ერთობ ცოტანი იცნობენ და ვინც იცნობს, იმათგან ცოტანი თუ სცნობენ მნიშვნელოვან შემოქმედად: უმრავლესობას (მეტწილ შემთხვევაში პოეტებს) იგი ერთ რიგით კალმოსნად მიაჩნია.> ცნობილ კრიტიკოსთაგან გურამ ასათიანმა და ჯანსუღ ღვინჯილიამ გაიმეტეს ორიოდ საქებარი სიტყვა მისთვის, ამან კი არ იკმარა; ჩვენ, მისი თაყვანისმცემლები, ძალიან ვცდილობთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შევძელით მისი სახელის ფართოდ პოპულარიზება, რადგან

ჩვენ თვითონ უჩინო ხალხი ვართ და არა ლიტერატურული ავტორიტეტები, საზოგადოებას ნაკლებად სჯერა ჩვენი. შორს რომ არ წავიდეთ, აგერ პირადად შენ, ჩემს მეგობარ პოეტს, შეგეკითხები: ასე აპრიორულად, მისი შემოქმედების გაუცნობლად, შეგიძლია დაიჯერო კორნაპელის გენიოსობა? ან, თუ გაგჩენია სურვილი მისი შემოქმედების გაცნობისა? ალბათ არა. გულახდილად გეტყვი, ეგრე ადვილად არც მე მჯერა, როცა ჩემთვის უცნობ ხელოვანს მიქებენ, ადვილად ვერ ვინ ტერესდები ახალი სახელით. იმავე კორნაპელზე მოგახსენებ: წლების განმავლობაში მესმოდა ცალკეულ პიროვნებათაგან მისი ქება, მაგრამ არ ვიჯერებდი, საგანგებო გულისყურს ვერ ვიჩენდი მისი შემოქმედების მიმართ; ხოლო ზერელე თვალის გადავლებით საშუალო დონის პოეტად მეჩვენებოდა. მერე კი მოხდა ისე, რომ მისმა რამდენიმე ლექსმა ნამდვილი ინტერესი აღძრა ჩემში: განსხვავებული, ორიგინალური ხელწერის პოეტი დავინახე; მაგრამ ამ დაინტერესებიდანაც ათმა წელმა განვლო, სანამ გიორგი კორნაპელის პოეზიას უმაღლეს შეფასებას მივცემდი: ამ ათი წლის განმავლობაში მე პერმანენტულად ვეცნობოდი და ვუღრმავდებოდი ამ ახალ პოეტურ სამყაროს; თვითონ კი ამასობაში ახალ ნაწარმოებებს წერდა, ახალ სიმაღლეებს იპყრობდა. მისი შემოქმედების გვირგვინი, პოემა «ნარცისი» 1988 წელს დაიწერა და 1989-ში დაიბეჭდა კიდეც. და აგერ უკვე საცაა მეოცე წელი გახდება, ვაქებთ და ვადიდებთ მისი თაყვანისმცემლები, ვამბობთ, რომ ეს არის მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი, მაგრამ ხმა ჩვენი რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... ვერც ვერავის დაძრახავ, რომ არ აინტერესებთ, არ გიჯერებენ და არ ცდილობენ მის გაცნობას: ჩვენც ხომ ზუსტად ასევე არ გვჯერა სხვების, ნაკლებად ვენდობით სხვათა გემოვნებას...

იკა ქადაგიძე: დღეს ბევრს ჰგონია, რომ უამრავი გამომცემლის არსებობის ხანაში მწერლებს ფართო არჩევანი აქვთ, ან ცენზურა საერთოდ მოიშალა. ამაზე რას იტყვით?

დროა გამოვტყდეთ, რომ ნანატრი თავისუფლება ძვირად გვიჯდება. ვინც წარმატებულ გამომცემელსა თუ გავლენიან პირს ვერ შეეწყობა, სტრიქონსაც ვერ დაბეჭდავს. ჩვენში ნაცნობ-მეგობრობის მენტალიტეტი მძვინვარებს. თუ გარისკავ და კრიტიკული წერილის გამოქვეყნებას გადაწყვეტ, თავაზიანად გეუბნებიან, რომ აკრძალულია. დიახ, არნახული აკრძალვის ჟამს უსიტყვოდ ვფართხალებთ. ვისაც სათანადო ბერკეტი აქვს, იმას როგორც წესი, ყველაფერი ეპატიება.

მარსიანი: დღეს რომ უამრავი გამომცემლობაა და მწერალს არჩევანის საშუალება აქვს მათ შორის, თან ცენზურაც რომ არ არსებობს, ეს, რა თქმა უნდა, კარგია; ოღონდ ის პრობლემები, რაზეც შენ ლაპარაკობ, ნამდვილად არსებობს. საბჭოთა პერიოდში წიგნის გამოცემას ზოგი უპირატესობა ნამდვილად ჰქონდა დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით: მაშინ გამომცემლობები სახელმწიფოს ეკუთვნოდა, სახელმწიფო აფინანსებდა და ყოველი გამოცემული წიგნი ავტომატურად ვრცელდებოდა მთელ რესპუბლიკაში. ტირაჟებიც დღევანდელთან შედარებით უზარმაზარი იყო. ჩემი პირველი წიგნი, რომანი «ანამაისი» ათიათასიანი ტირაჟით გამოიცა 1989 წელს: ეს იყო იმ დროისათვის უდაბლესი ტირაჟი პროზისათვის, ამაზე ნაკლების დაბეჭდვა, უბრალოდ, არ შეიძლებოდა. თანაც მკითხველს წიგნზე ხელი მიუწვდებოდა, რადგან ფასები დაბალი იყო. ჩემი წიგნი სულ რაღაც სამოცდათხუთმეტი კაპიკი ღირდა და სამ-ოთხ დღეში გაქრა წიგნის მაღაზიებიდან; მე სტამბაში ვიყიდე ასი ცალი, ნაცნობ-მეგობრებისთვის, რომ დამერიგებინა საჩუქრად...

«ნანატრი თავისუფლება» იმიტომაც გვიჯდება ძვირი, რომ დღეს წიგნის გამოცემაზე თვითონ ავტორმა უნდა იზრუნოს. დღემდე ვერ მოვახერხე ლექსების კრებულის გამოცემა, თუნდაც რამდენიმე ასეული ცალის, რადგან საამისო თანხა არ გამაჩნია.

ლექსების კრებულის უქონლად კი საზოგადოების თვალში პოეტად ვერ დაფიქსირდები. მთავარი უბედურება ალბათ მაინც ისაა, რომ დღეს წიგნს თითქმის აღარ ჰყავს მკითხველი, უფრო სწორად, მყიდველი, რადგან, ვისაც წიგნი უყვარს, წიგნის შესაძენი ფული არ აქვს, ვისაც ფული აქვს, წიგნი არ უყვარს....

იკა ქადაგიძე: პლაგიატობაზეც უნდა გკითხოთ. ბოლო ხანს განსაკუთრებიYთ გახშირდა ხელნაწერის გაქრობა, მითვისება. ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ ხმა სწრაფად ვრცელდება და რაც სამწუხაროა, დასტურდება. მართალია, ეს მწერლობის ფარგლებს სცილდება, თუმცა საგანგაშო ვითარებაზე მეტყველებს. ეს უხერხული სიმართლეა და ზოგადად მაინც შევეხოთ. გონებაგამჭრიახი ხელოვანი ამ თემაზე ურიგო დეტექტივს არ შეთხზავდა, მაგრამ პლაგიატები სკანდალურ ამბებს შესაშური ოპერატიულობით ახშობენ და მსხვერპლი საზოგადოების თვალში გიჟის სტატუსითაა აღჭურვილი. თქვენი აზრით, გამოსავალი რაში მდგომარეობს?

მარსიანი: პლაგიატობა და «ხელნაწერების გაქრობა»?

მე მართლაც გაოცებული ვარ _ ნუთუ დღეს მართლა იპარავს ვინმე ვინმეს ხელნაწერებს? რა ჭირად და დოზანად უნდა? ხელნაწერს კი არა, დაბეჭდილ წიგნსაც არავინ კითხულობს და კაცმა რაიმეს მოპარვა რომ დააპიროს, ხომ უნდა იცოდეს, რომ ის რაიმე რაღაცით ღირებულია, ანუ მოპარვად ღირს? თუ რაღაც განსაკუთრებულ, გამონაკლის შემთხვევებზეა ლაპარაკი, ეს სხვა საქმეა და ალბათ, დაკონკრეტებულად უნდა მიდგომა და გაჩხრეკა, მაგრამ გამორიცხული მგონია, დღეს ვინმეს მიერ სხვისი ხელნაწერების მოპარვა და მითვისება, საკუთარ ნაღვაწად გასაღება ხშირი მოვლენა იყოს: სხვისი ხელნაწერი კი არა, თავისიც ოხრად ურჩება უმეტესობას! ისე, თუ შენ ეს სერიოზულ პრობლემად გესახება, იქნებ საგანგებო შეკრება ჩაგვეტარებინა, გვესაუბრა ამ თემაზე და გაგვერკვია _ მაინც რა ხდება, ვინ გაძარცვეს, ვის მოპარეს ხელნაწერები და რომელი გაძარცული გამოაცხადეს გიჟად, როცა გაძარცვის გამო პროტესტი გამოთქვა? ეტყობა, აქ რაღაც კრიმინალურ შემთხვევებთან გვაქვს საქმე. ჩვეულებრივი ლიტერატურული პლაგიატობა სულ სხვა რამაა: ხელნაწერებს კი არ იპარავენ, არამედ რომელიმე ცნობილი ნაწარმოების მიბაძვით თხზავენ თავიანთ ნაწარმოებებს. ამისათვის ალბათ ვერავის დასჯი, ოღონდ კრიტიკამ კი მართლაც თავისი სახელი უნდა დაარქვას ამგვარ ფაქტებს.

იკა ქადაგიძე: საავტორო უფლების დაცვასაც აღარ დაადგა საშველი. მკითხველებს აუცილებლად გამოვეხმაუროთ. ბევრი (მათ შორის მეც) აღიარებს, რომ წიგნმა თავისი გულშემატკივარი დაკარგა, თუმცა მკითხველსაც გააჩნია. ბოლო ერთი წელია რადიომსმენელებთან ურთიერთობის საშუალება მომეცა და მათი მხრიდან ლიტერატურისადმი იმგვარი ინტერესი მჟღავნდება, გული სიხარულით მევსება. თითქოს რადიოს ასაკოვანი ადამიანები უფრო უსმენენ, მაგრამ ახლახან ერთმა ახალგაზრდამ მითხრა, მოვისმინე, სახლში მარტო ვიყავი და ცრემლები ვერ შევიკავე, იმ შემოქმედზე ისეთი გრძნობით საუბრობდითო. ამგვარი შეფასებებისათვის ღირს, დაბრკოლებებს შეერკინო. მთავარია, მკითხველმა (მსმენელმაც) იგრძნოს, რომ რაზეც საუბრობ, გიყვარს, სულით ხორცამდე თანაუგრძნობ და საყვედური თუ დაგცდა, ესეც ტკივილნარევი განცდის გამოძახილია.

თქვენი აზრით, მკითხველის გულის მონადირების რომელი ხერხია უმჯობესი?

მარსიანი: მკითხველის გულის მონადირებისათვის რომელი ხერხია უმჯობესი? ეგ რომ მცოდნოდა, აქამდე ხომ მოვინადირებდი მკითხველის გულს! ყოველ შემთხვევაში, არცთუ ეფექტური გამოდგა ჩემეული ხერხი _ აი, საკუთარ შემოქმედებაზე რომ კრიტიკული წერილები დავწერე: არც ჩემს ლექსსა და პროზას კითხულობს ვინმე და

არც ჩემს კრიტიკულ წერილებს: წერე და იკითხეო! _ მდუმარედ მეუბნება ლიტერატურული სამყარო.

რაც შეეხება რადიომსმენელებთან ურთიერთობას, რას იტყვი, იქნებ რადიოთი ვუკითხოთ ხალხს ჩვენი ლექსები და ასე «მოვინადიროთ მათი გული»? ტელევიზია, მოგეხსენება, სხვათა და სხვათა ხელშია უკვე და ჩვენ იქ არავინ გაგვაჭაჭანებს, ხოლო ინტერნეტული ურთიერთობები ალბათ დროთა განმავლობაში დაიხვეწება, დღევანდელივით განუკითხაობა და ქაოსი აღარ იქნება, ყველა უწიგნური მარგინალი ვეღარ იბოგინებს ფორუმებზე და ეს ახალი ტიპის ლიტერატურული პროცესი უფრო ელიტარული, კლუბური ხასიათისა გახდება, თუ გნებავთ, კასტურიც უწოდეთ, ოღონდ კარგი გაგებით....

იკა ქადაგიძე: თქვენ არაერთ შემოქმედს ზოგჯერ ტაქტიანად, ზოგჯერ უფრო პირდაპირ მიუთითებთ, რომ მწერლობისათვის მხოლოდ ნიჭი და სურვილი არ არის საკმარისი. ალბათ, გამოცდილებასთან ერთად შემოქმედის განვითარებას გულისხმობთ.

ჩემი აზრით, ის, ვინც მხოლოდ თავისი კასტის ან ზოგადად თანამედროვე ლიტერატურის მიღმა არ იხედება, მწერლობაზე სერიოზულად ვერ იმსჯელებს. ვთქვათ, ვინმეს აკრიტიკებ და იქვე აცხადებ, რომ მისი არაფერი წაგიკითხავს. სამწუხაროდ ამის დემონსტრირება მავანს მეამბოხეობა ჰგონია და ვერ ხვდება, თავს რა ხიფათში იგდებს. მწერალს თუ კითხვა არ უყვარს, მკითხველს რას სთავაზობს? ვის აბიაბრუებს? ერთჯერადი სკანდალით შენს ხარვეზს დიდხანს ვერ დამალავ. პირველი მამხილებელი ენაა, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის რუკასავით დაგლეჯილი და მიტაცებულია.

დიახ, ქართული ენის სიმდიდრეს მავანი ურცხვად იპარავს, აკნინებს. მუდამ იმას ამტკიცებს, თითქოს ქართული ანბანი ვიღაც გადამთიელებისგანაა დავალებული და მისი თვითმყოფადობა ჩვენი მონაჭორია.

გასაგებია, რომ ამის მთქმელს ფულს უხდიან და პრესტიჟულ სამსახურსაც უმალ სთავაზობენ, მაგრამ როცა ქართული ენის ღირსებას ლახავს და წინ ვერავინ ეღობება, რა მოვიმოქმედოთ? ამ ყაიდის «მწერლებს» გამართული მეტყველებაც უჭირთ, მათ «შედევრებზე» რომ არაფერი ვთქვათ.

მარსიანი: მოდით, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: ყველას, ვისაც ხელში კალამი აუღია, ეგრევე ნუ მივაკერებთ «შემოქმედის» იარლიყს! ხომ შეიძლება ამ ტერმინს უფრო უპრეტენზიო «ავტორი», «მწერალი», «მოკალმე» ჩავუნაცვლოთ (შესაბამის კონტექსტებში): «შემოქმედი» ღმერთის ატრიბუტია და გულზე ეკლად მესობა, ასე წარამარა, გაიაფებულ- დაკნინებულად რომ ფიგურირებს ეს სიტყვა ყოვლად უადგილო სიტყვათშეხამებებში: «შემოქმედი ახალგაზრდები», «შემოქმედი ბავშვები», «შემოქმედი მუშები»... იმისი არ იყოს, «მუზა» რომ ყველა დილეტანტი მელექსის შინაურ ღვთაებად იქცა და რაც უფრო დილეტანტი და პროფანია მავანი, მით უფრო ხშირად სტუმრობს მას «მუზა» და მით უფრო «შემოქმედად» გრძნობს თავს...

ამ პატარა გადახვევის შემდეგ უშუალოდ საკითხს დავუბრუნდეთ: რა თქმა უნდა, ნიჭი და წერის სურვილი არ კმარა, დაოსტატებაა საჭირო, რათა რაიმე ღირებული შეიქმნას. «საკუთარი კასტის მიღმა» ვინც ვერ იხედება და თანამედროვე ლიტერატურის გარდა არაფერს ცნობს, ასეთებს მართლაც არ ხელეწიფებათ ლიტერატურაზე სერიოზული მსჯელობა, ღირებული აზრის გამოთქმა. წაუკითხავად რომ ვინმეს აკრიტიკებენ და ეს ჰგონიათ «მეამბოხეობა» თუ «ნონკომფორმისტობა», ესეც სხვა არაფერია, თუ არა უმეცარ-დილეტანტის თავხედობა (არ ვიცი, მე მეჩვენება თუ

მართლა კონკრეტული ადრესატისადმი გაქვს მიმართული ამჯერად კრიტიკული ისარი).

ქართული ენის სიმდიდრეს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ბევრისათვის იგი ცხრა ბეჭდით დაბეჭდილი საიდუმლოა და იქნებ ქვეცნობიერი გაბოროტება ამის გამო აიძულებს მავანს და მავანს, ქართული ანბანის თვითმყოფადობაც უარყოს, ქართული კულტურის უძველესობაზეც ირონიულად იქირქილოს და საერთოდაც მოიძულოს ყოველივე ქართული: არადა, ხომ თვითონაც ქართულად წერენ ეს დალოცვილები, თან ზოგჯერ არცთუ ურიგოდ წერენ! არ შეიძლება საკუთარი წარმომავლობის, ფესვების უარყოფამ, ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ეროვნული ფასეულობებისადმი რაღაცით მაინც არ შეზღუდოს მწერალი: რაღაც მადლი უთუოდ დააკლდება მის შემოქმედებას, პირველ რიგში, მის სამწერლო ენას. ენა კი, მოგეხსენება, მწერლისათვის ყველაფერია. დიდი მწერლები, როგორც წესი, მშობლიურ ენას ამდიდრებენ: მათ მიერ შემოტანილი ნეოლოგიზმები, მათი ფრთიანი გამოთქმები თუ მათ მიერ გაცოცხლებული არქაიზმები ხშირად ისე ბუნებრივად მკვიდრდება თვით სასაუბრო მეტყველებაშიც კი, რომ ჩვენ შეიძლება არც კი ვიცოდეთ მათი წარმომავლობა: სიტყვა «შინაარსი» რომ ილია ჭავჭავაძის მიერაა დამკვიდრებული, ეს მე პირადად ძალიან გვიან გავიგე. ეს სიტყვა ხშირი ხმარების გამო ისე ბანალური გახდა, რომ ზოგს ეთაკილება კიდეც მისი ხმარება, გაცვეთილ «სასკოლო ტერმინად» აღიქვამს მას...

გავიხსენოთ აგრეთვე ზოგიერთი საკუთარი სახელი (ადამიანისა), დღეს რომ უამრავი ქართველი არქმევს თავის შვილს: «ტარიელი», «ავთანდილი», «ფრიდონი», «ნესტანი»... ესენი ხომ რუსთაველის მიერ შექმნილი სახელებია, უფრო სწორად, უცხოური სახელებიდან თუ სიტყვებიდან ნაწარმოები თუ გადმოქართულებული; ან სახელი «შორენა» ვნახოთ, დღეს რომ ასე გავრცელებულია საქართველოში: იგი კონსტანტინე გამსახურდიას გამოგონილია, ან, უფრო ზუსტად, ძველქართული სახელის, «ბორენას» გამსახურდიასეული ვარიანტია; სახელი «გელა» აკაკის «პატარა კახიდან» უნდა იყოს გავრცელებული, იქ ერთ კაცს განსაცვიფრებელი ვაჟკაცობის გამო მეტსახელად ეძახიან «გელა»-ს...

საკუთარი ფესვების უარმყოფელი მწერალი ენის შემოქმედი ვერ იქნება, რადგან მას ნებაყოფლობით აქვს დათმობილი «მუქთი» ქონება, მემკვიდრეობით რომ დაუტოვეს წინაპრებმა. აი, მეც ვახსენე სიტყვა «შემოქმედი» და ეს სწორედ ისეთი შემთხვევაა, როცა მართებულად უნდა ჩაითვალოს ამ ტერმინის ხმარება, რადგან «ენის შემოქმედება» მართლაც ღმერთისგან, უზენაესი შემოქმედისგან ნაწყალობევი ნიჭია, ესაა «მაღალი ბაძვა» უფლისადმი...

იკა ქადაგიძე: ქართული მწერლობის სამომავლო გზად რა გესახება? კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობის გაბატონება თუ ეროვნული მრწამსის შენარჩუნება?

მარსიანი: «კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი» ჰქვია ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პუბლიცისტური ჟანრის შედევრს: იქ ვაჟა ძალზე დამაჯერებლად და ცხადად ასაბუთებს, რომ კოსმოპოლიტობა არ გამორიცხავს პატრიოტულ, ეროვნულ თვითშეგნებას; რომ მაღალი სულიერი განვითარების მქონე ინდივიდში ორივე მხარე ჰარმონიულად უნდა იყოს მოცემული. ცალ-ცალკე ორივე უკმარია და მანკიერი: ვინც მხოლოდ კოსმოპოლიტია, ის აკაკის «ღამურას» ბედს იზიარებს _ სამშობლოსთვისაც უცხოდ რჩება და კაცობრიობისთვისაც, ხოლო ვინც მხოლოდ საკუთარ ერს სცნობს და მის მიღმა გახედვა არ უნდა, პროვინციალობის დაღს ვერ მოიცილებს.

იკა ქადაგიძე: ქართული კრიტიკული აზროვნების ორბიტაზე ჯემალ მეხრიშვილის სამი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი გამოჩნდა. ამაზე არაერთხელ გვისაუბრია, მაგრამ ობიექტურ კრიტიკაზე მსჯელობა მხოლოდ შინაურულ გარემოში სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. პირადად მე მიმაჩნია, რომ ბატონმა ჯემალმა სამაგალითო გმირობა გამოიჩინა, როდესაც პირუთვნელი სიმართლე არავის და არაფრის გამო არ დათმო. ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან დღეს უმრავლესობა პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობს და როდესაც ამგვარ საქმეს ეჭიდები, გააზრებული გაქვს, როგორი ხვედრი უნდა გაიზიარო. ამიტომ ყველა შეთქმულივით დუმს და თუ ვინმემ გაბედა და ამ კრიტიკას გაეცნო, შეძრწუნებასა და შიშნარევ ეჭვს თანაბრად განიცდის. ეს ეპოქალური საქმეა და ადრე თუ გვიან ქართული კრიტიკა ამას აღიარებს. ამ ნაშრომების მიმართ გულგრილობას თქვენც ვერ შეინარჩუნებთ. ჩვენში «ერთი ყველას წინააღმდეგ» იშვიათზე იშვიათი მოვლენაა.

ბატონ ჯემალს ვულოცავ ამ გამარჯვებას და ყველას ვუსურვებ (მათ შორის საკუთარ თავს) მსგავსი პოზიცია ოდესმე მაინც გამოუმუშავდეს.

კრიტიკა შეუვალი არგუმენტებით და არა ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის კორიანტელი.

ამგვარი კრიტიკა დაგვბედებოდეს.

მარსიანი: ჯემალ მეხრიშვილი შესანიშნავი პროზაიკოსია და კრიტიკის ჟანრში ამ ბოლო დროს მის მიერ გაწეულმა შრომამ მართლაც რომ პრეცედენტი შექმნა ლიტერატურული გაბედულების და გმირობისა, როგორც შენ უწოდებ სავსებით სამართლიანად. მე თვითონ ხომ კრიტიკაშიც ვმუშაობ, მაგრამ ასე «ნაჯახისებურად» პირდაპირი კრიტიკა ნამდვილად არ ხელმეწიფება; ეგ კი არა, «ტაქტიანი კრიტიკითაც» (როგორც შენ უწოდე) არაერთი მწერალი გავანაწყენე (ქართველი მწერლები ისე მოურჩენლად დაავადებულნი არიან ათასგვარი კომპლექსით, რომ მცირეოდენი კრიტიკული შენიშვნაც აპოკალიფსურ კატასტროფად ეჩვენებათ, თუნდაც ეს შენიშვნები ათჯერ და ოცჯერ აღმატებული ქება-დიდებით იყოს გადაწონილი). ისე, საინტერესო კია, ამგვარი შემთხვევა წარმოვიდგინოთ: ზოგი მწერალი, მე რომ ქებით ცაში ავიყვანე და მაინც გამინაწყენდა მცირეოდენი კრიტიკული შენიშვნის გამო. ვთქვათ, ბატონმა ჯემალ მეხრიშვილმა გააკრიტიკოს თავისი დაუნდობლად სამართლიანი, მახვილგონივრული და «ათიანში მორტყმული» შენიშვნებით, ნეტავი რა გუნებაზე დადგებიან, როგორ გადაიტანენ ამგვარ დარტყმას და შურისსაძიებლად რას მოიმოქმედებენ?

იკა ქადაგიძე: სათქმელი დამიგროვდა. დასკვნითი სიტყვა ბოლოსთვის მოვიტოვე. ჯერ პირველ შეკითხვას მივხედოთ. უეჭველად შეამჩნევდით, რომ უცნობ, უფრო მართებულია, ჩრდილში მდგომ ხელოვანებზე «მჭირს გართულება». ასე რომ, დაჩაგრულ ავტორებს საგანგებოდ დავეძებ და მათი ნიჭის შეფასებისას შესაძლოა სხვისი აზრი გავითვალისწინო, მხოლოდ ჩვენი გემოვნება უნდა ერთმანეთს ემთხვეოდეს. იმას უჯერებ, ვინც ანგარიშგასაწევია და ავტორიტეტი დამოუკიდებლად მოიპოვა. რაც მთავარია, ვინც ცოდნასთან ერთად ინტუიტიურად გრძნობს ჭეშმარიტ ხელოვნებას, ნამდვილსა და ფსევდოს ერთმანეთისგან განასხვავებს. მომაწოდეთ კორნაპელის წიგნები და სიტყვას გაძლევთ, მის წარმოსაჩენად მეც ვიღვაწებ.

სხვისი გემოვნების უგულებელყოფისას შენეულს, ჯერ გამოუთქმელსა და გამოუმზეურებელს ნებაყოფლობით ეთხოვები. სხვისი აზრის გათვალისწინება სრულებით არ ნიშნავს, რომ საკუთარ შეხედულებას თმობ; პირიქით, რაღაც ფასეულს იძენ.

პოპულარული სახელებით ვაჭრობა პირწმინდა სნობიზმია, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით. თუ არ გამოაჩენ, ცნობილი როგორ გახდება? თქვენ იცით ჩემი პრინციპი: ძირს პოპულარულები, გზა უცნობებს გავუხსნათ! არ შეიძლება, მუდამ ამოჩემებულ ხალხს დაარბენინებდე ყველგან. სხვებმა რა დააშავეს?

პლაგიატობას რაც შეეხება, გასაგებია, რომ ძნელია მწარე სიმართლეს თვალი გაუსწორო. შეკრება სახიფათოა, რადგან გიჟის სტატუსის მქონე დაზარალებულს უარესი დღე დაადგება. აქ ლიტერატურულ-კრიმინალური პლაგიატი ერთმანეთს შეერწყა.

შედეგი უარესი იქნება, რადგან საბოლოოდ ხმამაღლა ვერ იტყვის სიმართლეს. შერყვნილ ფაქტს კი, მოგეხსენებათ, უარესი განსაცდელი მოსდევს.

არ ვიცი, მომავალში რა გველის, საავტორო უფლებებზე კანტიკუნტად საუბრობენ. უპირველესად ეს მხარე უნდა მოგვარდეს.

შურისძიებას რაც შეეხება, კრიტიკის ობიექტებს, ეჭვიც არ მეპარება, საკმაოდ მრავალფეროვანი «არსენალი» ექნებათ: ვინ იცის, პირუთვნელ კრიტიკოსს რას დაუხვედრებენ! მათ ხელში უამრავი ბერკეტია თავმოყრილი და იმას მოიმოქმედებენ, რასაც ყველგან ვაწყდებით: კვლავ ქაჯეთის ციხეში გამაგრდებიან და სისხლისმღვრელ ომს აწარმოებენ. სხვათა შორის, ეს სისხლისმღვრელი ბრძოლები უხმაუროდ მიმდინარეობს, თუმცა მასშტაბობრივად კრწანისსა და ვატერლოოს ოდნავაც არ ჩამოუვარდება!

ასე რომ, ბევრ მწერალს ურჩევნია, თავი არ აიტკიოს და ყველასთან «მეგობრულ» ურთიერთობას დასჯერდეს, რაც სინამდვილეში ბატონყმური დამოკიდებულებაა, სხვა არაფერი.

ასეა! კრიტიკის ყულფი გაიძულებს ბოლომდე მოუღლელად იბრძოლო. თუ ჩაიჩოქებ, სიმართლის ლელოს შენზე ღირსეული გაიტანს. ღმერთმა ღირსეული პოეტები ამრავლოს და დაე, ჟანგმა დაფეროს კრიტიკის ქარქაში!

პირისპირ: თამრი ფხაკაძე _ ირაკლი ქასრაშვილი

ირაკლი ქასრაშვილი _ მინდა ისეთი რამ გკითხო, რაც კარგა ხანია მაწუხებს. შენი აზრით, რატომ აღარ კითხულობენ ადამიანები საქართველოში წიგნებს, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაცილებით ნაკლებად რატომ კითხულობენ? იმას ვერ მოვიტანთ მიზეზად, საინტერესო წიგნები აღარ იწერებაო. პირიქით, ახალი ნაწარმოებიც ბევრია წასაკითხი და ძველიც უფრო ხელმისაწვდომი გახდა. მე მახსოვს, რომ ბრეჟნევის ეპოქაში ბულგაკოვის «ძაღლის გული» ერთ ღამეში წავიკითხე, თან მაგრად ვიცინე. ახლა ის დახლებზე ან თაროებზე დევს და თითქმის აღარავინ ეკარება. დიდი-დიდი მის მიხედვით გადაღებულ ფილმს უყურონ. ან იქნებ ვაჭარბებ?

თამრი ფხაკაძე _ აშკარად აჭარბებ, ირაკლი. ისეთი ტრაგიკული სურათი დახატე, ბულგაკოვი იმქვეყნად შემეცოდა და საკუთარი თავი _ ამქვეყნად (ბოდიშს ვიხდი ესოდენ თავხედური პარალელისთვის). ის, ვისაც კითხვა უყვარს, ბრეჟნევის დროშიც კითხულობდა და პუტინის დროშიც კითხულობს. შენ გგონია, მაშინ შენს გარდა ბევრი კითხულობდა «ძაღლის გულს»? ან დღეს შენს გარდა არავინ კითხულობს? ასე არაა. ჩვენი თაობა ამ საქმეში მეტ-ნაკლებად სანუგეშო სურათს ხატავს. აი, უმცროს თაობაზე, ანუ დღევანდელ ბავშვებზე მართლაც უნდა ვინაღვლოთ. რაღაც ახალი ათვლის

სისტემა დაიწყო მგონი მკითხველების და მომავალი მკითხველებისა. ჩვენს დროს არ იყო მთავარი მოწინააღმდეგე, _ კომპიუტერი, ინტერნეტი. კონკურენცია არ არსებობდა. ახლა ინტერნეტი ყველა ნიშას ავსებს ბავშვის აზროვნებაში და სამწუხაროდ, ეს შეუქცევადი პროცესია! როგორც იტყვიან, აფერუმ იმ მშობელს, ვინც ბურატინო-პინოქიო-ტომ სოიერ-ჰეკლბერი ფინს მ ა ი ნ ც წააკითხებს შვილს! მერე ვილაპარაკოთ ყველანაირ საიდუმლო და განძის კუნძულებზე, უთავო მხედრებზე და ასე შემდეგ... ჰო. ჭეშმარიტად _ ვაგლახ!..

ირაკლი ქასრაშვილი _ მართალია, ეს ალბათ უფრო მომავალ თაობას ეხება. ზოგჯერ მგონია, რომ კომპიუტერმა შეჭამა ეს ბავშვები. იცი რა არის, მათთვის კომპიუტერი უფრო იოლია, ვიდრე წიგნი. განსაკუთრებით, თამაშები. მათი სირთულე მოჩვენებითია, რადგან საბოლოოდ რამდენიმე სტანდარტულ ოპერაციას ემყარება. წიგნის კითხვა კი გართობასთან ერთად აზროვნებაცაა, უფრო მრავალფეროვანი განცდაც, თუ გულისყურით კითხულობ. თუმცა წიგნს ვიზუალური ეფექტი არ აქვს. არადა, რაც კინო გაჩნდა და მერე კომპიუტერი, ეს ეფექტი ალბათ უფრო და უფრო მეტი მოთხოვნილებით სარგებლობს ადამიანებში. თუ დააკვირდები, ახლა ადამიანებს ფილმებიდან უფრო მეტი ციტატები მოჰყავთ, ვიდრე წიგნებიდან. მე მგონი, წიგნების ნაკლებად კითხვა ადამიანების აზროვნების სტილსაც ცვლის და შედეგად, რასაკვირველია, ეს თავისთვად კიდევ უფრო ზემოქმდებს ცხოვრების წესზეც. არა მითიური შეთქმულები ცვლიან ჩვენს ცხოვრებას, არამედ ის საგნები, რომლებთანაც ყოველდღე გვაქვს შეხება. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, და საერთოდ, ამ მოვლენის ცალსახად შეფასება ალბათ შეუძლებელიცაა, მაგრამ ის, რაც ვთქვი, ფაქტია.

თამრი ფხაკაძე _ ზუსტად ვიცი, რომ ეს ცუდია, რადგან:

1. როცა ვიღაც, მით უფრო რ ა ღ ა ც შენს მაგივრად აზროვნებს, ქმნის, ფანტაზიორობს _ საშინელებაა.
2. როცა შესაძლებლობა აღარ გეძლევა, წარმოიდგინო თუნდაც წითელქუდა, ან მგელი და გონებაში უამრავი მზამზარეული წითელქუდა და მგელი გეჭრება _ კოშმარია.
3. როცა შენი წარმოსახვა მანათობელი ოთხკუთხედის პატიმრობაშია, მიცემული აქვს ერთი შეხედვით განუზომელი თავისუფლება და სინამდვილეში, აბსოლუტური მონაა _ საზარლობაა.
4. როცა უბრალოდ, აღარ გაქვს შეხება წიგნის ფაქტურასთან _ ქაღალდთან, აღარ გრძნობ წიგნის სურნელს, აღარ ჩაიჭყიტავ მოუთმენლობისგან ბოლო გვერდებზე, არასდროს დაკარგულხარ ბიბლიოთეკის საცავებში, როცა უბრალოდ, ბალიშქვეშ არ ამოგიდია წიგნი, ან წვიმიან ამინდში მხარ-თეძოზე არ წამოწოლილხარ და გონებაში რომელიმე დიდებული წიგნის საკუთარი კინოვერსია არ გაგიშვია _ საცოდაობაა.
5.
6.
7. ...

ვიწუწუნეთ, ვივაგლახეთ. ახლა რა ვქნათ?

აღარ ვწეროთ?

დავდოთ კალამი?

ჟიულ ვერნს და მაინ რიდს თუ აღარ კითხულობენ, ცოტა ხნის შემდეგ, როცა წამოიზრდებიან, არც ფოლკნერს და არც დოსტოევსკის აღარ გაეკარებიან და მით უმეტეს, ჩვენ სულ არ გადაგვყვებიან ზედ. ღირს წერა მხოლოდ ერთი, ჩვენი თანამედროვე თაობისთვის? ვერაა რაღაც სახარბიელო სიტუაცია...

ირაკლი ქასრაშვილი _ ძალიან ლოგიკური კითხვა დასვი, საერთოდ ღირს თუ არა წერაო, მაგრამ მგონი, რაც არ უნდა იფიქრო ამაზე, მაინც დაწერ, თუ წერა გინდა, სხვაგვარად არ შეგიძლია. თუმცა ეს ალბათ ცალკე თემაა. რაც შეეხება უწიგნურობას, ჩვენს წინაშე ახალი ცივილიზაცია ყალიბდება, თანაც ძალიან სწრაფად. აი, ეს არის გასააზრებელი და საკუთარი ადგილის პოვნა ამ ცივილიზაციაშია მნიშვნელოვანი. წიგნის როლი ამ ცივილიზაციაში იცვლება, მცირდება. მე არ ვიტყვი, რომ ქრება, რადგან წიგნებს ყოველთვის ეყოლება მკითხველი, შეიძლება უფრო ნაკლები, ვიდრე ადრე, თუნდაც ასი წლის წინ, მაგრამ მაინც _ ეყოლება. თუმცა, როგორ წიგნებზეა მოთხოვნილება და როგორ წაიკითხავენ წიგნებს _ ესეც ცალკე საკითხია. ჩესტერტონი ამბობდა, სამსახურის შემდეგ დაღლილი ადამიანი და დასვენებული, მოცლილი ადამიანი სხვაგვარად კითხულობენ წიგნს და სხვაგვარად აღიქვამენო. შეიძლება დავამატოთ, რომ: 1. ისინი სხვადასხვაგვარ წიგნებსაც ეტანებიან; 2. წიგნი სხვა რამით (კინო, ინტერნეტი) იცვლება. მე არ მინდა ვთქვა, რომ ეს მაინცდამაინც კატასტროფაა და სასწრაფოდ რაღაც უნდა ვიღონოთ და ა.შ., რადგან ეს რეალობაა, რომელიც არსებობს და მისი შეცვლა არა მგონია, შეიძლებოდეს. აშკარაა, რომ ეს ტენდენციები გაგრძელდება და კიდევ უფრო გაძლიერდება. უბრალოდ, საინტერესოა, მკითხველთა რაოდენობის შემცირება და შეცვლა როგორ იმოქმედებს ლიტერატურაზე. ის უკვე ზემოქმედებს, რასაკვირველია, და თანაც ძალზე დიდი ხანია, მაგრამ საინტერესოა, რა სახით გაგრძელდება ეს პროცესი მომავალში.

თამრი ფხაკაძე _ მკითხველთა რაოდენობის შემცირება და შეცვლა ავტომატურად გამოიწვევს ლიტერატურის შემცირებასა და შეცვლას. როგორიცაა მოთხოვნილება, ისეთია ბაზარი. სამწუხაროდ. შემცირდება მოთხოვნილება წიგნზე? _ შემცირდება ლიტერატურა დახლებზე. გადაგვარდება გემოვნება? _ გადაგვარდება ლიტერატურა. სამწუხაროდ, აქ წამყვანი ძალა, ლოკომოტივი საზოგადოებაა, ანუ შემკვეთი და არა პროდუქტი. პროდუქტი რომ იყოს ხსნა, კი ბატონო, შეგიძლია აავსო მაღაზიის თაროები შექსპირით, სერვანტესით, ფოლკნერით, დოსტოევსკით... მაგრამ თუ მკითხველის გემოვნებაში აღარაფერი ეს აღარ ჯდება და ის დაჟინებით მოითხოვს რაღაც ლიტერატურულ მარაზმს, ბოლოს და ბოლოს, შენც მარაზმს გამოფენ და მუშტარს მოიზიდავ. ავტომატურად აღარ იშვება ახალი შექსპირი და სერვანტესი, აღარც ვაჟა და ილია; იშვება ის, რაზეც მოთხოვნილებაა. დარჩება თითო-ოროლა მანიაკი-მწერალი, რომელიც მაინც ისე დაწერს და თითო-ოროლა «კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს»... კაცობრიობის გლობალურ ინტერნეტიზაციასთან ერთად ისიც არ დაივიწყო, მწერლობა ცოცხალ ორგანიზმად რომ წარმოიდგინო, აღიარებ, რომ უკვე დაბერდა, გამოიფიტა, გადაგვარების ნიშნები დაემჩნა... ყველაფერი ნათქვამია, ყველანაირადაც ნათქვამია, სიბრძნის მარაგი ამოწურულია, ადამიანური ფსიქოლოგია _ გადაღეჭილი...

ირაკლი ქასრაშვილი _ სერიოზული წიგნების მკითხველების რაოდენობა ყოველთვის შეზღუდული იყო, მაგრამ ადრე ისინი განსაზღვრავდნენ საზოგადოების და რაც მთავარია, მკითხველთა გემოვნებას და მგონი, მოთხოვნასაც ბაზარზე. ახლა მოთხოვნას მასიური კულტურის მომხმარებელი განსაზღვრავს, მაგრამ სერიოზულ წიგნებს, მე ვფიქრობ, მაინც ყოველთვის ეყოლება მკითხველი. თუმცა მათი რაოდენობა შემცირდება და გემოვნებაც შეიცვლება. საერთოდ, მკითხველი ახლა ლიტერატურაში ძალიან ხშირად თამაშისა და ექშენის ელემენტებს ეძებს, ისე როგორც კინოში. დეტექტივების ასეთი პოპულარობაც ამით არის განსაზღვრული. დეტექტივი ახალი ხილი კია შედარებით, ას წელზე ცოტა მეტი ხნისაა, მაგრამ სერვანტესისა და რაბლეს

წიგნები უკვე საკმაოდ შეიცავენ თამაშის ელემენტებს, სარაინდო რომანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

თამრი ფხაკაძე _ ანუ, ცოტა არ იყოს, წრეზე მიდის ლიტერატურა, არა? ყველაფერი ახალი _ კარგად დავიწყებული ძველია...

შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ კაცობრიობა-მკითხველს სიმარტივე მოენატრა...

ალბათ, გამარტივება ენით უნდა დაიწყოს, გამარტივება და გასუფთავება. სალიტერატურო ენა დიდი ხანია ათასგვარი მიქსერით აითქვიფა სხვა მინარევებთან ერთად. მიღებული მასით, ანუ ასეთი ცომით მონატრებულ, გასაგებ და მყუდრო ნაწარმოებს ვეღარ «გამოაცხობ»...

გამოდის, რომ არჩევანი გვაქვს ენის კვლავ და კვლავ დაბინძურებასა და «ძველმოდურობას» შორის. რას იტყვი, არსებობს ამ შემთხვევაში ოქროს შუალედი?

ირაკლი ქასრაშვილი _ ჩემი აზრით, არსებობს. ეს მწერლის ნიჭიერებაზეცაა დამოკიდებული, თუმცა მე ამ შემთხვევაში არ გამოვყოფდი სალიტერატურო ენას ზოგადად ენისგან. მოდი, ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე ვილაპარაკოთ. სალაპარაკო ენის მკვეთრი შეღწევა სალიტერატურო ენაში საყოველთაო მოვლენაა და ვერც ჩვენ ვიქნებოდით გამონაკლისი. თუ გინდა, რომ მკითხველი დააინტერესო, უბრალოდ თუ გინდა, რომ გკითხულობდნენ, ცოცხალი ენით უნდა წერო. ცოცხალი ენა კი სალაპარაკო ენაა. მე არ ვარ იმის მომხრე, რომ პირდაპირ გადმოვიტანოთ ქუჩის ენა წიგნებში, მაგრამ რაღაც დოზით ეს საჭიროა. და აქ, მართალი ხარ, ოქროს შუალედის დაცვაა საჭირო. თუმცა ეს ქართულში კიდევ ერთ დამატებით პრობლემას ქმნის _ იმას, რომ ჩვენს სალაპარაკო ენაში ძალიან მრავლადაა სხვა ენებიდან, განსაკუთრებით რუსულიდან და ინგლისურიდან შემოსული სიტყვები.

თამრი ფხაკაძე _ ჩვენი სტუმართმოყვარე ბუნება ენასაც შეეხო. ენის საზღვრებს თურმე არანაკლები დაცვა სჭირდება...

ინგლისურ, რუსულ სიტყვებს, ჟარგონსა და დიალექტიზმს თავი რომ დავანებოთ, მეტისმეტი, მიზანდასახული ბილწსიტყვაობა რას ემსახურება? ყოველ ფრაზაში გინების გარეშე აზრი ვეღარ ყალიბდება?

ირაკლი ქასრაშვილი _ ყალიბდება, მაგრამ გაცილებით მეტი ფიქრი და მუშაობა სჭირდება, ნიჭი, კულტურა და განათლება. განცდა და ზომიერება. ეს კი ძნელია, ხშირ შემთხვევაში კონკრეტული მწერლისათვის შეუძლებელიც. გაცილებით იოლია, შეიგინო და მერე იძახო, ცხოვრებაში ასე ხდება და რაკი ცხოვრებას აღვწერ, სხვა გზა არ მქონდაო. ეს ჩემთვის უფრო მწერლური ოსტატობისა და ორიგინალური აზრების ნაკლებობის ნიშანია, მეტი არაფერი. საერთოდ, კარგი გემოვნება მწერლისთვის აუცილებელია. მას ხომ სიტყვებთან აქვს საქმე და როგორც ცნობილია «პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან». მერე ის ადამიანებს გადმოეცა და ახლა რას უშვებიან, მართლაც მხოლოდ ღმერთმა უწყის. კიდევ გავიმეორებ: თუკი მწერალი ბილწსიტყვაობს, ეს ჩემთვის მხოლოდ იმის ნიშანია, რომ მას ტალანტი არ ჰყოფნის და სურს რამდენადმე ყურადღება ეპატაჟით მაინც მიიქციოს. რა თეორიებიც არ უნდა შეთხზას მან ამის ასახსნელად, ეს სინამდვილეში ტყუილი იქნება და თუკი მთლად გადარეული არ არის, პირველ რიგში თვითონ ამ მწერალმა იცის ეს ყველაზე კარგად.

თუმცა აქ სხვა პრობლემასაც მინდა შევეხო: ზოგადად იმ ქართულს, რომელსაც მწერლები კი არა, ამ ქვეყანაში სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებები იყენებენ ოფიციალურ დოკუმენტებში. ეს საერთოდ ცალკე თემაა. კომუნისტების დროს ოფიციალური დოკუმენტები ძირითადად რუსულ ენაზე დგებოდა და ამიტომ ეს ასე მკვეთრად არ იგრძნობოდა. ახლა, როცა ქართული უკვე თხუთმეტ წელზე მეტია, სრულუფლებიანი სახელმწიფო ენაა, მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. უამრავ

სამსახურეობრივ საბუთში დარღვეულია ქართული ენის სტრუქტურა, მართლწერა. ნათარგმნ დოკუმენტებზე აღარც ვსაუბრობ. იქ პირდაპირი კალკირება ხდება, ძირითადად ინგლისურიდან. ბოლო წლების განმავლობაში უამრავი ისეთი საბუთი წამიკითხავს, რომლებიც ქართული ასოებით იყო დაწერილი, მაგრამ ქართულ ენასთან მხოლოდ ოდნავ იყო მიახლოებული. ჩვენთან რატომღაც ითვლება, რომ ქართველმა თუ რომელიმე უცხო ენა იცის, ავტომატურად შეუძლია თარგმნოს იმ ენიდან ქართულად, მაგრამ არავინ ფიქრობს, რომ ქართულის ცოდნაც სპეციალობაა და მასაც კარგად შესწავლა ესაჭიროება. შენ, როგორც ფილოლოგს, ეს კარგად გესმის.

თამრი ფხაკაძე _ საერთოდაც, ჩვენს დროში იოლად და გაბედულად ირქმევს ადამიანი სახელად მწერალს, მთარგმნელს, მხატვარს, მომღერალს...

ეგრევე «გაზრდილი» დიდოსტატები იმდენია, რომ აღარც კი არის იმის დრო, სათითაოდ «მიეძღვნა» თითოეულს და გაარკვიო, სახელდობრ, საიდან მოვიდა უკვე აი, ასეთი! «გაზრდილი»! როდის მოევლინა ამა თუ იმ სფეროს, როდის აიდგა ფეხი, როდის წამოიზარდა...

არადა, შენც კარგად იცი, ერთ გენიოს ქართველ მწერალს როგორ დაუჟინია, არა ვარ მწერალი, გადამწერი ვარო...

მარტო მე მითხარი, არავის ვეტყვი, ყურში ჩამჩურჩულე, _ მწერალი დაირქვი შინაგანად, თუ ჯერ არა?

მერე მეც გეტყვი...

ირაკლი ქასრაშვილი _ არა, ჩემს თავს მწერალს ნამდვილად ვერ ვუწოდებ. ამისთვის რამდენიმე პირობაა საჭირო: 1. უნდა იყოს მთავარი საქმე ცხოვრებაში; 2. სისტემატურად უნდა იბეჭდებოდე; 3. ნაწერები გარკვეულ (საკმაოდ მაღალ) დონეს უნდა აკმაყოფილებდნენ. 4. მკითხველების გარკვეული კატეგორია უნდა გყავდეს. რადგან მე ამ პირობებს აშკარად ვერ ვაკმაყოფილებ, ვერც მაინცდამაინც მწერალს ვუწოდებ საკუთარ თავს. თუმცა შენ კი ნამდვილად მწერალი ხარ. მე ასე ვფიქრობ.

თამრი ფხაკაძე _ მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შენში, შიგნით მწერალს გრძნობ. ცხოვრობს შენში ასეთი «მოხელე-ჩიქვანი». ერთ მშვენიერ დღესაც, (დაიმახსოვრე), გახსნი ახალ, სუფთა ფაილს და დაიწყებ წერას და ეს შენი ცხოვრების მთავარი საქმე იქნება. ამას მოჰყვება შენი მე-2 და მე-4 პუნქტები, ხოლო მე-3 უკვე სახეზეა. რაც შემეხება მე, ამ ბოლო დროს საკუთარი თავის მწერლად მოხსენიებას და ფიქრებშიც მოაზრებას მოვუხშირე, რაც თავზარს მცემს! რაც აღსარებაზე სათქმელი ამბავია! და რის გამოც სულ «ორშაბათიდან გამოსწორებას» ვაპირებ. და მეშინია კიდეც, რომ ღმერთმა არ დამსაჯოს ამ თავხედობისთვის და კალამბრგვნილობა არ დამმართოს. ნამდვილად გეუბნები. ალბათ ჩემი ოცნებაა ეს _ მწერალი რომ ვიყო. წერა არანორმალურად მიყვარს. წერისას ძალიან ბევრ ცხოვრებისეულ გულისტკენას ვიშუშებ, თავისუფლებითაც ვტკბები, შეურაცხადი მდგომარეობითაც, რომელშიც იმ დროს ვარ.

რას იტყვი, ეს საუბარი ლიტერატურაზე აქ გავაგრძელოთ თუ ლიტერატურულ კაფეში?

ი.ქ.-მე მგონი, უკვე კაფეში შეგვიძლია გავაგრძელოთ. ეს საუბარი ჩემთვის დაუსრულებელია, მაგრამ ახლა მგონი საკმაოდ ვილაპარაკეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ასე რომ, მომავალ, ან სულ მალე შეხვედრამდე.

თამრი ფხაკაძე _ შეხვედრამდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მ ო ნ ო ლ ო გ ე ბ ი

ნინო თარხნიშვილი - ამელი
ლიმნიანი მონოლოგი;
მარსიანი
უსათაურო მონოლოგი;
მაია კილაძე
ზევსის დაქალის მონოლოგი;
ნინო ნადირაძე
სხეულიდან გასულის მონოლოგი;
გვანცა ჯობავა
მონოლოგი მზის საქანელიდან;
ვანო ჩხიკვაძე
მწერლის მონოლოგი;
ვასილ გულეური
Cv-ის მონოლოგი;
იკა ქადაგიძე
ქვიშის მონოლოგი;
გურამ მეგრელიშვილი
წითელი წიგნების ერების მონოლოგი;
თამრი ფხაკაძე
თევზის მონოლოგი;
დარეჯან სუმბაძე - ანასტასია
ვერცხლისფერი გაზაფხულის მონოლოგი;
რუსუდან კაიშაური
ცოცხის მონოლოგი;
ნატა ვარადა
უმსგავსის მონოლოგი;
ირაკლი ქასრაშვილი
საათის მონოლოგი;
მარსიანი
ლომის მონოლოგი;
გიორგი ბუნდოვანი
გრანელისტის მონოლოგი;
ბელა ჩეკურიშვილი
სიტყვების ჩარჩის მონოლოგი;
გიორგი კეკელიძე
პოეტის მონოლოგი;
ბეგლარ იაკობაძე

შეყვარებულის მონოლოგი;

ლელა კოდალაშვილი

დრამატურგის მონოლოგი;

ლია მეტრეველი

მონოლოგი შენზე...;

ქეთი გზირიშვილი

მონოლოგი პირველ კრებულზე;

ბესო ხვედელიძე

მონოლოგი საკუთარ თავთან;

მაკა ლდოკონენი - ნარინჯი

ნარინჯის მონოლოგი;

მარინე ტურავა

პოეტის მონოლოგი;

პ ი რ ი ს პ ი რ

ნინო ნადირაძე _ გვანცა ჯობავა;
ვანო ჩხიკვაძე _ ვასილ გულეური;
გიორგი ბუნდოვანი _ მარსიანი;
იკა ქადაგიძე _ მარსიანი;
თამრი ფხაკაძე _ ირაკლი ქასრაშვილი;

Filename: monologi da pirispir.doc
Directory: D:\gio
Template: C:\Documents and Settings\ktomadze\Application Data\Microsoft\Templates\Normal.dot
Title:
Subject:
Author: nplg
Keywords:
Comments:
Creation Date: 17.11.2009 16:31:00
Change Number: 6
Last Saved On: 18.11.2009 14:33:00
Last Saved By: nplg
Total Editing Time: 89 Minutes
Last Printed On: 18.11.2009 14:33:00
As of Last Complete Printing
Number of Pages: 77
Number of Words: 31,354 (approx.)
Number of Characters: 178,724 (approx.)